# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 3 აპრილი, 2007 წელი.

№ 59 (5660)

ⴈⴋⴈⴑⴇⴀⴌⴀ ⴜⴋⴈⴌⴃⴀ ⴑⴀⴕⴋⴄⴘⴈ, ⴐⴍⴂⴍⴐⴈⴚ ⴁⴄⴝⴃⴓⴐⴈ ⴑⴈⴒⴗⴅⴀⴀ, ⴚⴐⴓⴈⴊⴄⴁⴈⴇ ⴃⴀ ⴝⴍⴐⴄⴁⴈⴇ ⴁⴓⴐⴇⴈⴑ ⴂⴀⴒⴀⴌⴀ ⴗⴅⴄⴊⴀ ⴓⴉⴀⴃⴐⴈⴑⴍⴁⴀⴆⴄ ⴓⴑⴀⴛⴀⴂⴊⴄⴑⴈⴀ.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.





## თბილისი. 2007 წლის 1 აპრილი





ჯემალ კასრაძის ფოტო.

არაპარტიული [illegible] 4

## რა ხდება, რა ამბავია ჩვენს თავს,

ანუ ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერი?..

ვითხოვ სიტყვას! 8

## საზოგადოებამ უნდა იცოდეს, ვინ არის მოღალატე და ვინ - მართლა „OHO“!

საქართველო: „რევოლუცია“ მარშზე 5

ქარი ქრის, ქარი ქრის... ყოფასოდ... 6

საქართველოსთვის ზვარაკად შეწირული 14

# სახელმწიფო

● ბატონი ზვიადი სიცოცხლეშივე იქცა სამშობლოს თავისუფლებისთვის თავგანწირვის სიმბოლოდ. მას აღარაფრის მიწერა არა სჭირდება. იგი მარადჟამს იქნება ერის თავისუფლებისკენ ლტოლვის, თვითმყოფადობის შენარჩუნების ხორციელად ჩამოსხმული იდეა



◎ 48-ე „მთაწმინდელი"

## მოწიწებად, ღირსებად და სინანულად დამდგარი საქართველო

**მადლობა ღმერთს, ელირსა საქართველოს პირველ პრეზიდენტს ქართული მიწა! მისი ნატანჯი სხეული მთაწმინდის მიწას მიაბარეს. საქართველოს 67 ტაძრიდან, ჩეჩნეთიდან და კონსტანტინე გამსახურდიას მშობელი სოფლიდან – ახალი აბაშიდან ჩამოტანილი მიწა ჩააყოლეს საფლავში. პატრიარქი იქაც აზრძანდა და ღვთის წინაშე მსახურებდა მიცვალებულის სულისთვის...**

ზვავივით მოსკდა, მცხეთა-თბილისს მიაწყდა სრულიად საქართველო და მოწიწებად, ღირსებად და... სინანულად დადგა. მილეთის ხალხის შემხედვარეს უნებურად ერეკლე II გამახსენდა, კრწანისში სულ 2500 მეომრით რომ ებრძოდა აღა-მაჰმად ხანის 30-ათასიან ურდოს, გარდაცვლილი მეფის ცხედარს კი 20 ათასი იარაღში ჩასილაღებული მეომარი მიაცილებდა...



მაგრამ ხალხი ბრძენია. საბოლოოდ მაინც მიაგებს ხოლმე ღირს პატივს ერის გამორჩეულ შვილებს.

დიახ, ხალხი მიაგებს, მაგრამ...

იოსებ სტალინი რომ გარდაიცვალა, მისი ყველაზე ძლიერი და თანამიმდევრული იდეური მტერი – დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი უინსტონ ჩერჩილი თავშეუბურავი გამოსულა თავისი რეზიდენციიდან, ფეხით მისულა სსრკ-ის საელჩოში და მიუსამძიმრებია. მთელი ბრიტანეთი გაოგნებული გაჰყვიროდა, პრემიერს ქუდმოხდილს ფეხით ქუჩაში რომ გაევლო, ქვეყნის ისტორიას არ ახსოვსო! ასე მიაგო პატივი ერთმა დიდმა გონმა, მეორე, მასზე აღმატებულ გონს, თუმცა ეს აღმატებული სულმუდამ ჯაბნიდა მას.

საქართველოს პრეზიდენტი (მეუღლითურთ) სამძიმარზე იყო მცხეთაში. რამდენიმე წუთით პარლამენტიდანაც გამოვიდა, როცა შენობის წინ დაასვენეს გამსახურდია და იქაც მიაგო პატივი მის ხსოვნას. ვერ დავიჩემებ, ახლა რომ ვიტყვი, უცილობლად ისე უნდა მოქცეულიყო-მეთქი, მაგრამ უკმარისობის გრძნობას ვერსად წავუველ – ჩემი აზრით, ეს ის უმცირესი იყო, ურომლისობაც აღარ შეიძლებოდა. ვფიქრობ, ბატონ სააკაშვილს, მთელ ხელისუფლებასა და მთავრობას (თუმცა, იქიდან ბევრი ამ პატივის ღირსი ნამდვილად არ იყო! ეგეც ხეირია, თუ თავისი ზედმეტობა, შეუსატყვისობა იგრძნესძ მთაწმინდაზე უნდა მიეცილებინათ პირველი პრეზიდენტის ნეშტი. პატივი მიეგოთ იმ იდეისთვის, იმ სიმბოლოსთვის, რის განსახიერებადაც ზვიად გამსახურდია იქცა – ეროვნული თავისუფლების, ეროვნული თვითმყოფადობისა და სამშობლოსთვის ზვარაკად შეწირვისთვის.

ამ იდეას, ხალხის ნებას პატივი არც დიპლომატიურმა კორპუსმა სცა. პარადოქსული იყო: იმ სახელმწიფოს ელჩი, ვინც ყველა ჩვენი უბედურების სათავედ მიგვაჩნია, ბატონი კოვალენკო პირველი პრეზიდენტის ოჯახის წევრებთან იდგა, ხოლო ე. წ. მეგობარი სახელმწიფოების საელჩოებიდან არავინ გაჭაჭანებულა. ვინმე რომ გამოჩენილიყო, იმედია, რეპორტაჟის წამყვანი ჩემი კოლეგები უთუოდ გვამცნობდნენ.

პრეზიდენტის სასახლეს 1918-1921 წლების საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის, მერმე კი მის მიერ აღდგენილი სახელმწიფო დროშა და გერბი ეფარა. ამ სამფეროვანი დროშების ტყე იყო აღმართული გარშემოც. მიმაჩნია, რომ საქართველოს ამჟამინდელი სახელმწიფო ჰიმნის შემდეგ სწორედ გამსახურდიას მიერ ასევე აღდგენილი იმდროინდელი სახელმწიფო ჰიმნიც უნდა აჟღერებულიყო. კარგი იყო სვანური „ზარი", მაგრამ საფლავში ომახიანი „შავლეგოთიც" ჩაესვენებინათ. ეს სიმღერა ხომ, ფაქტობრივად, ეროვნული მოძრაობის ჰიმნი იყო.

პრეზიდენტი გამსახურდია ქვეყნის შეიარაღებულ ძალთა მთავარსარდალიც გახლდათ. ამიტომ სამხედრო პატივიც უნდა მიეგოთ – ზარბაზნის ლაფეტზე დაესვენებინათ, საფლავზე კი შაშხანების საპატიო ზალპიც დაექუხებინათ...

ისტორიამ ასე იცის: დროთა განმავლობაში ღირსი ადამიანი ლეგენდად იქცევა ხოლმე. ხალხის ფანტაზია თავის გმირებს ბევრ სასიკეთოს თავისით მიაწერს, ანუ იდეალს აქვე, მიწაზევე ეძებს, უნდა, რომ მისაბაძად ჰყავდეს. ერს მუდამ სჭირდება გმირი, ვისი მაგალითიც შთააგონებს შთამომავლობას. ბატონი ზვიადი სიცოცხლეშივე იქცა სამშობლოს თავისუფლებისთვის თავგანწირვის სიმბოლოდ. მას აღარაფრის მიწერა არა სჭირდება. იგი მარადჟამს იქნება ერის თავისუფლებისკენ ლტოლვის, თვითმყოფადობის შენარჩუნების ხორციელად ჩამოსხმული იდეა.

**კონსტანტინე გურგენიძე**

**P. S. საქართველოს ტელეკომპანიებმა, ფაქტობრივად, დაკრძალვის მთელი ცერემონიალი გადმოსცეს. მხოლოდ „გამარჯვებული ხალხის ტელევიზია" გამოირჩა კოლეგებისგან და, პროცესიის მსვლელობის ნაცვლად, სამეცნიერო-პოპულარულ ფილმს უჩვენებდა, სადაც მეცნიერები ნეანდერტალელთა გონებრივ და ფიზიკურ შესაძლებლობებზე მსჯელობდნენ და ძალზე აინტერესებდათ, იცოდნენ თუ არა მათ ვოკალი. შიგა და შიგ კი თანამედროვე არჩევანზე – კონტრაცეპტივებზე ურთავდნენ რეკლამებს...**

**კ. გ.**

◎ ქუჩის ბავშვები

## რეალურად ვინ იზრუნებს მათზე?

**ათეულ წელზე მეტია, რაც საქართველოში ქუჩის ბავშვების პრობლემა წარმოიშვა. მძიმე სოციალურმა პირობებმა ბევრ მოზარდს მათხოვრობისკენ უბიძგა. ქუჩის მკაცრმა კანონებმა კი მათი უმრავლესობა კანონდამრღვევებად აქცია. ბავშვობადაკარგულ პატარებში „ბრძოლა არსებობისთვის" დღესაც გრძელდება, უამრავი სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციის ძალისხმევის მიუხედავად, პრობლემა პრობლემადვე რჩება.**



გუშინ სასტუმრო „თბილისი მარიოტში" არასამთავრობო ორგანიზაცია „ვოლდ ვიჟნის" ბავშვთა პრობლემებისა და ბავშვთა შრომის გამოყენების თაობაზე პრესკონფერენცია გაიმართა. აღნიშნული ორგანიზაცია 1990 წლიდან ოთხმოც ქვეყანაშია. მათ შორის, საქართველოშიც.

ქუჩისა და რისკის ქვეშ მყოფ ბავშვთა პროექტების მენეჯერმა შოთა შუბლაძემ აღნიშნა, რომ მათმა ორგანიზაციამ თბილისში ქუჩებში 285 ბავშვი აღნუსხა. მათგან 88-ს დეტალური კვლევა ჩაუტარდა. მისი შედეგები ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ ქუჩაში გასვლის უმთავრესი, თუმცა არა ერთადერთი საბაბი, ოჯახებში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობაა.

ამ კატეგორიის ბავშვები თავს იყრიან სავაჭრო ობიექტებისა და მეტროპოლიტენის სადგურების მიმდებარე ტერიტორიებზე, სადაც ისინი ძირითადად, მათხოვრობით, შემთხვევითი ფიზიკური სამუშაოთი და წვრილმანი ქურდობით ირჩენენ თავს. მაწანწალა ბავშვების 75 პროცენტი ბიჭია. აღსანიშნავია ისიც, რომ ობოლი ბავშვების რიცხვი ორივე მშობლის მყოლი ბავშვებისას აღემატება. თუმცა აღწერილთაგან, მხოლოდ 7 ბავშვია უდედმამო.

კვლევის შედეგად ასევე დადგინდა, რომ სკოლის ასაკის 202 ბავშვიდან მხოლოდ 37 ირიცხება სხვადასხვა სკოლაში, თუმცა, ისინი ხშირად აცდენენ გაკვეთილებს, რისი მიზეზიც ქუჩის „საქმიანობა" და მშობლების დაუდევრობაა. 285 ბავშვიდან კი 186-ს არანაირი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი არა აქვს.

საზაფხულო არდადეგების დადგომასთან ერთად, მაწანწალების რაოდენობა საგრძნობლად გაიზრდება, რადგან დედაქალაქში სხვადასხვა რეგიონიდან უამრავი ბავშვი ჩამოდის, ზოგი სამათხოვროდ, ზოგიც ფიზიკურად სამუშაოდ, მათი საქმიანობა, ძირითადად, ურიკებით ტვირთის გადაზიდვაა, რასაც დღისით ტრანსპორტად, ღამით კი საწოლად იყენებენ.

„ვოლდ ვიჟნის" წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ისინი მაქსიმალურად ცდილობენ ამ ბავშვებთან ახლო ურთიერთობის დამყარებას, თითოეულის პრობლემის დეტალურად შესწავლას. ფსიქოლოგიური რჩევებითა და იდეოლოგიური მუშაობით კი შეეცდებიან მათ ოჯახში დაბრუნებას.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ საქართველოში უამრავი მსგავსი ორგანიზაციაა, თუმცა მაწანწალა ბავშვების პრობლემა ისევ მწვავედ დგას. ერთი რამ კი ცხადია, მხოლოდ იდეოლოგიური მუშაობა ასეთ ბავშვებს მათ ოჯახებში ვერ დააბრუნებს. იმ ოჯახებში, სადაც სიცივე, შიმშილი და, ხშირად, უფროსების ძალადობაცაა, ისინი არ მივლენ.

ქუჩის ბავშვებს, ისევე, როგორც სხვა ყველა ბავშვს, კონსტიტუციით მინიჭებული უფლებები და თავისუფლებები აქვს, რაც, სამწუხაროდ, ყოველდღიურად ილახება. ალბათ, დროა სერიოზულად დაფიქრდნენ ამაზე ისინი, ვისაც ამ პრობლემის გადაჭრა რეალურად ევალებათ და მოვალენიც არიან

**ლელა მანაველიშვილი**

◎ ინფორმაცია

### ყველაფერში დამნაშავე პრეზიდენტი იქნება

**საქართველოს ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან ირანზე მოსალოდნელი სარაკეტო-ბირთვული იერიშით გამოწვეული კატასტროფის შედეგებზე პასუხისმგებლობას საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს აკისრებს.**

**როგორც პარტიის ოფისში გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე შალვა ნათელაშვილმა განაცხადა, მოსალოდნელი სარაკეტო ბირთვული დაბომბვის შედეგები კავკასიაზე და საქართველოზე ნეგატიურად აისახება, რადგან, რადიაციული გამოსხივების გამო, სხვა ქვეყნებთან ერთად საქართველოც კატასტროფის ზონად გამოცხადდება.**

**შალვა ნათელაშვილმა ამერიკის შეერთებულ შტატებს და ირანს მოუწოდა რადიკალური და ნაჩქარევი გადაწყვეტილებები არ მიიღონ და მსოფლიო ბირთვული იარაღით გამოწვეული საშიშროების წინაშე არ დააყენონ.**

**ლეიბორისტთა ლიდერი საქართველოს ხელისუფლებას „წითელი ლენტების გაჭრის, ტაშ-ფანდურისა და გართობის ნაცვლად აღნიშნული პრობლემის თავიდან აცილებასა და გაჭირვებული ხალხის პრობლემების მოგვარებისკენ მოუწოდებს".**

**ინტერპრესნიუსი**

**● არ ვიცი, სანამ გასტანს თქვენი „სიყრუე“, უფალო ხელისუფალნო, მაგრამ თქვენი პიარკამპანიების მიმართ ხალხის „სიყრუე“, ანუ დუმილი, დიდხანს რომ არ გაგრძელდება, ნაღდად ვიცი: ერთხელაც იქნება, მოსწყინდება მას თქვენი უაზრო და უზომო ტრაბახი, რომლის მიხედვითაც თურმე ოცდაათსაუკუნოვან საქართველოში კი არ ვცხოვრობთ, არამედ სულ სამი წლისანი ვყოფილვართ, რადგან ყველაფერი კარგი ჩვენთან მხოლოდ ვარდების რევოლუციის შემდეგ დაწყებულა და თანაც — პირველად საქართველოში!**



◎ „რიტორიკული“ კითხვები

# 2. „უაზრო ხმაური არ მსურს, უაზრო დუმილი მიჭირს“...

## მოლაყბე თუმც ყრუმ დაღალა, იქნებ ველირსოთ პასუხს?

### წინათქმის მაგიერ

**ნათქვამია, დუმილი თანხმობის ნიშანიაო. მართალია. თუმცა, მუდამ არ არის ასე. ზოგჯერ ადამიანი დუმს მოპაექრისა თუ გარშემო მყოფთა პატივისცემის გამო და, თუმცა გამოთქმულ მოსაზრებას არ ეთანხმება, საკუთარ განსხვავებულ პოზიციას არ გამოხატავს. ხშირად კი მავანნი, განსაკუთრებით უფროსნი, ხელისუფლების წარმომადგენელნი, დუმილს სხვათა აზრისა თუ პოზიციის, თუნდაც სავსებით მართებულის, იგნორირებისთვის იყენებენ — ილაქლაქეთ რამდენიც გსურთ, დაიღლებით და გაჩერდებით, ჩვენ კი ჩვენსას ვეწევითო.**

ამაზეა სწორედ ნათქვამი, მოლაყბე ყრუმ დაღალაო.

მოლაყბედ მიიჩნევს ღლევანდელი ხელისუფლება პრესას, ზოგადად მასმედიას: ილაყბეთ, წერეთ და თავადვე იკითხეთ რამდენიც გინდათ, ჩვენ კი სოფლის შენებას განვაგრძობთო.

**არ ვიცი, სანამ გასტანს თქვენი „სიყრუე“, უფალო ხელისუფალნო, მაგრამ თქვენი პიარკამპანიების მიმართ ხალხის „სიყრუე“, ანუ დუმილი, დიდხანს რომ არ გაგრძელდება, ნაღდად ვიცი: ერთხელაც იქნება, მოსწყინდება მას თქვენი უაზრო და უზომო ტრაბახი, რომლის მიხედვითაც თურმე ოცდაათსაუკუნოვან საქართველოში კი არ ვცხოვრობთ, არამედ სულ სამი წლისანი ვყოფილვართ, რადგან ყველაფერი კარგი ჩვენთან მხოლოდ ვარდების რევოლუციის შემდეგ დაწყებულა და თანაც — პირველად საქართველოში!**

**კარგით, რა!**

თუმცა, ვატყობ, სიტყვა გამიგრძელდა. ამიტომაც პირდაპირ საქმეზე გადავალ — შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს ლადო ჭიპაშვილს შევეხმიანები „რიტორიკული“ შეკითხვით. მან ახლახან ასეთი რამ თქვა: **საქართველოში უახლოეს მომავალში ასი საერთაშორისო სტანდარტების შესატყვისი საავადმყოფო აშენდება, რომლებიც თანამედროვე ტექნიკით აღიჭურვება და უმაღლესი კვალიფიკაციის კადრებით დაკომპლექტდებაო.**

რომ იტყვიან, თქვენს პირს შაქარი, ბატონო ლადო. ამას რა სჯობს. მაგრამ ხომ იცით ადამიანის ეჭვიანი, ჩამკირკიტებელი ბუნება.

ჰოდა, მეც ერთმა რამ დამაეჭვა. იმან, თქვენ რომ აღნიშნეთ, — რაც მთავარიაო, **ეს საავადმყოფოები ტერიტორიულადაც და ფინანსურადაც აბსოლუტურად ხელმისაწვდომი იქნება პაციენტებისთვის, 30-35 წუთში ნებისმიერ ადგილას მცხოვრებ ნებისმიერ ავადმყოფს შეეძლება მოხვედრა საავადმყოფოში, სადაც მისთვის მკურნალობა ფინანსურადაც ხელმისაწვდომი იქნებაო.**

**კი, მაგრამ,**

### როგორღა, ბნელა, ბატონო ლადო?!

**მეტისმეტად ეჭვიანი, უნდო და ჩასაფრებული ვარ, არა? მინდობილი საქმისადმი თქვენეულ მეტისმეტ ერთგულებასა და უმაღლეს პასუხისმგებლობის გრძნობას რა უთხარით, თორემ ჩემნაირი ხალხისთვის არც ღირს ამდენი შრომის გაწევა კი არა, უბრალოდ თავის შეწუხებაც, არა?**

> **უაზრო ხმაური არ მსურს,**
> **უაზრო დუმილი მიჭირს,**
> **უკეთუ არ გამცემ პასუხს —**
> **შეკითხვის წამართვი ნიჭი.**
> **მუხრან მაჭავარიანი**

იქნებ დაგთანხმებოდით ამაში კიდეც, ბატონო ლადო, რომ არა...

თუმცა, ვიდრე მხოლოდ ერთ ბოლოდროინდელ კონკრეტულ მაგალითს მოვიშველიებდე, უთუოდ უნდა აღვნიშნო ის სასიკეთო ძვრები, ჯანდაცვის სფეროში რომ მოხდა ამ ბოლო დროს: სხვა რომ არაფერი, ახლა ქუჩაში წაქცეულს, აქაოდა, ფული შეიძლება არ ჰქონდესო, ადრინდელივით უპატრონოდ არავინ დატოვებს: საავადმყოფოში წაიყვანენ.

ეს კი ცოტას არ ნიშნავს. **თუმცა ახლა იმ საავადმყოფოშიც, თუ ფული არ გაქვს, მდგომარეობის სირთულის მიუხედავადაც, მუდამ ოპერატულად როდი მოგაქცევენ ყურადღებას.**

არ გჯერათ? აი, თუნდაც მხოლოდ ის ერთი მაგალითი, რომელზეც ზემოთ მოგახსენეთ:

როგორც ტელევიზიით გვამცნეს, ჯარისკაცი (გვარი არ მახსოვს) მეოთხე სართულიდან გადმოუგდიათ. საავადმყოფოში უმძიმეს მდგომარეობაში მყოფისთვის სასწრაფო ოპერაცია არ გაუკეთებიათ — სამხედრო ნაწილს, რომელშიც იგი მსახურობდა, საოპერაციო ფული არ გადმოურიცხავს და იმიტომო, — გვამცნეს ექიმებმა ისევ ტელევიზიით.

მეორე დღეს კი ტელევიზიითვე შევიტყვეთ, სამხედროებმა ფული გადმორიცხეს და დაზარალებულს ოპერაცია გაუკეთდაო.

**რეზიუმემდე კიდევ ერთი ფაქტი:**

ამას წინათ ნაცნობი შემხვდა. ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ ულატაკეს ან თუნდაც სილარიბის ზღვარზე მყოფთა რიცხვს არ ეკუთვნის. ჩვენში ფაქტობრივად არარსებულ საშუალო ფენას შეიძლება მიაკუთვნოს კაცმა. ოჯახს როგორმე არჩენს.

შეწუხებული ჩანდა. ესა და ეს მტკივაო, ესა და ეს ანალიზები მაქვს გასაკეთებელი, მაგრამ ყველაფერს ერთად მინიმუმ 1000 ლარი სჭირდება, ხოლო თუ ოპერაცია გახდა აუცილებელი, მაშინ მთლად წასულია ჩემი საქმე, შესაძლოა, მანქანა ან ბინაც გამიხდეს გასაყიდიო.

**არ მითხრათ ახლა ვინმემ, ეს ფაქტები მოგონილია, ან უკიდურესი გამონაკლისიაო.**

**ჰოდა, ამის გათვალისწინებით გეკითხებით, ბატონო ლადო:**

**თუ ამჟამინდელ, სანახევროდ დანგრეულ საავადმყოფოებში (მათი ფოტოები ამის დასადასტურებლად თავად გვაჩვენეთ ტელევიზიითძ, რომელთა აპარატურაც, კვლავ თქვენივე სიტყვებით, საოცრად მოძველებულია, ხოლო იქ დასაქმებული სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაცია, რბილად რომ ვთქვათ, — სასურველზე ბევრად დაბალი (ესეც თქვენეული შეფასებაა), გამოკვლევის ჩატარება და, მით უფრო, ოპერაცია ადამიანს, შესაძლოა, ბინის გაყიდვადაც დაუჯდეს, პოეტისა არ იყოს, თუ კაცი ხართ, თუ ღმერთო გწამთ, ამიხსენით, ბატონო ლადო, საერთაშორისო მოთხოვნათა შესატყვის, თანამედროვე აპარატურით აღჭურვილ და უმაღლესი კვალიფიკაციის პერსონალით დაკომპლექტებულ იმ ას საავადმყოფოში როგორღა იქნება მკურნალობა ნებისმიერი პაციენტისთვის ფინანსურად ხელმისაწვდომი?**

რაო, სეზამ გაილეს მეთოდია?

სახელმწიფო გაილებს სუბსიდიებს? — გამორიცხულია!

ასეთი რამ საბაზრო ეკონომიკის პირობებში არ ხდება. იგი შეიძლება მოხდეს მხოლოდ ე.წ. მუნიციპალურ, უფასო საავადმყოფოებში, რომლებიც, ჩვენთანაც, ფასიანთან ერთად, წესითა და რიგით უნდა იყოს, მაგრამ...

**რაღა დარჩა?**

**რა და, მსოფლიოში კარგად აპრობირებული სამედიცინო დაზღვევის სათანადოდ ჩამოყალიბებული სისტემა, ურომლისოდაც ჩვენი შეჭირვებული ადამიანები თქვენს მიერ დაპირებულ ახალ საავადმყოფოებში გამოკვლევამკურნალობის საფასურს ვერ შეწვდებიან კი არა, ამაზე ვერც იოცნებებენ.**

ჩვენთან კი ამგვარი დაზღვევის არსებობის ნიშანწყალიც არ არის.

**თუ რაიმე მაგიური ჯოხის აქნევაღა გჭირდებათ ამის გასაჩენად, გვითხარით, თქვე კარგი დედ-მამის შვილო, რას გვიმალავთ და გვანერვიულებთ?!**

**ხოლო თუ არა გაქვთ, რად გვატყუებთ, ბატონო ლადო, ბნელა?!**

**იმედია, გაგვცემთ პასუხს და მე, ამ სტატიის აბეზარ, იჭვიან და სიკეთის დაუნახავ ავტორს, როგორადაც თქვენ თუ არა, ზოგიერთმა „ვარდოსანმა“ მაინც შეიძლება ჩამთვალოს, საჯაროდაც შემარცხვენთ, რისთვისაც, ნაწყენი კი არა, უღრმესი მადლობელი დაგრჩებით.**

**დიახ, სწორედაც უღრმესი მადლობელი, რადგან სულაც არა ვარ ჩემი ქვეყნისა და მისი ხელისუფლების მტერი, როგორადაც თქვენ თუ არა, ზოგიერთი „ვარდოსანი“ მაინც მიგვიჩნევს მეც და, საერთოდ, ლამის ყველა ჟურნალისტს, და, ამდენად, ქვეყნისა და ხალხისთვის გაკეთებული კარგი საქმე გულით გამიხარდება.**

სათქმელი კიდევ ბევრია, მაგრამ შემდეგისთვის იყოს. მით უფრო, თუ თქვენგან ჩემს გამამტყუნებელ პასუხს მივიღებთ.

**რუსლან რუსია.**

◎ დაპირისპირება

# ირინა სარიშვილი „თანასწორობის ინსტიტუტს“ ორმაგ სტანდარტებში ადანაშაულებს

**პარტია „იმედის“ თბილისის ორგანიზაციის ოფისში ირინა სარიშვილმა პრესკონფერენცია გამართა. მან „თანასწორობის ინსტიტუტის“ საქმიანობაზე გაამახვილა ყურადღება და ორმაგი სტანდარტებით მოქმედებაში დასდო ბრალი ამ ორგანიზაციას.**

ბოლო მომენტამდე, სანამ ჩვენი 12 პოლიტპატიმრის სასამართლო პროცესი დაიხურებოდა, მხოლოდ ზოგად განცხადებებს ვჯერდებოდი. მაგრამ ის, რაც დღეს ხდება, არ მაძლევს გაჩუმების უფლებას: ყველა არასამთავრობო ორგანიზაცია ვალდებულია ადამიანის უფლებები დაიცვას იმისგან დამოუკიდებლად, მოსწონს თუ არა ესა თუ ის პოლიტიკური ძალა, თუ პიროვნება. მიუხედავად იმისა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციათა უმრავლესობამ ერთხმად მოაწერა ხელი პოლიტპატიმრების განთავისუფლების მოთხოვნას, ხელმოწერაზე კატეგორიული უარი განაცხადა „თანასწორობის ინსტიტუტმა“. ამ უარის შემდეგ 2 დღეში „კინოს სახლში“ გამართეს შეხვედრა, სადაც, მათივე განცხადებით, მიიწვიეს არასამთავრობოები და ის პოლიტიკური ორგანიზაციები, რომლებსაც სასამართლოებში აქვთ საქმე. მათ შორის არც უხსენებიათ „სამართლიანობის“, „მონარქისტულ-კონსერვატიული“ პარტიები და პოლიტიკური გაერთიანება „იმედი“.

საკითხავია, ვინ მეტს აშავებს — აშკარად ბოროტმოქმედი ხელისუფლება, თუ ამ ხელისუფლების ოპოზიციად აღიარებული რომელიღაც არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც იმის მიხედვით იცავს ადამიანებს, თუ რომელი პარტიის მომხრენი არიან ისინი და როგორი წარმოდგენა აქვთ ამა თუ იმ პოლიტიკურ ძალაზე, — აღნიშნა სარიშვილმა.

„მინდა ჩემს „ძველ მეგობრებს“ შევახსენო, რომ ასეთი, ორმაგი სტანდარტებით დიდხანს ვერავინ გაძლებს. ძალიან მალე ყველა მიხვდება, ეს ხელისუფლება ბოროტებას სჩადის, თქვენ კი მის მიერ ჩადენილი უსამართლობის ნაწილს ხელს აფარებთ, ნაწილს კი — საკუთარი ინტერესებისთვის იყენებთ. გონს მოეგეთ, სანამ გვიან არ არის!“ — რიტორიკულად მოუწოდა მან „თანასწორობის ინსტიტუტს“.




ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, დაპირისპირება ორ ოპოზიციურ ძალას შორის აშკარაა. რას იტყვიან და იმოქმედებენ სარიშვილის საპასუხოდ „თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრები?

**ხათუნა ჩიგოგიძე**

◎ ინფორმაცია

## დისკრიმინაცია კრემლის მხრიდან კვლავ გრძელდება

**ახალი მემარჯვენეები რუსეთის ხელისუფლების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, რომ რუსეთის ბაზრებში უცხო ქვეყნის მოქალაქეების ვაჭრობა აიკრძალოს, „ეთნიკური ნიშნით განხორციელებულ ქმედებებს“ უწოდებენ.**

**ახალი მემარჯვენეების ერთ-ერთი ლიდერის ფიქრია ჩიხრაძის თქმით, ეს ნაბიჯიც მიმართულია ძირითადად ქართველი და კიდევ იმ ქვეყნების წარმომადგენლების მიმართ, ვის წინააღმდეგაც რუსეთს „დამსჯელი ღონისძიებების გატარება სურს“.**

**“საჭიროა ამ საკითხში საერთაშორისო ორგანიზაციები ჩაერიონ“, — აცხადებს ჩიხრაძე.**

**მას იმედი აქვს, რომ გაერო, რომელმაც რამდენიმე დღეში რეზოლუცია უნდა მიიღოს საქართველოში კონფლიქტის რეგიონებში რუს სამშვიდობოებთან დაკავშირებით, კრემლის ამ პოლიტიკასაც გაითვალისწინებს.**

ჯი-ეიჩ-ენი

# გზა არსაით

მაშ, გამაგებინეთ ერთი: ვის ეკუთვნის სახელმწიფო საქართველო? ხალხს თუ ათასი ჯურის კომპანიებს, რომლებსაც, როგორც ჩანს, სულ ფეხებზე ჰკიდიათ ხალხის აზრი (რაში ენაღვლებათ ჩვენი ხალხი, მაგალითად, „ტრანსყაზგაზს", „გაზპრომს", „რაო ესს" ანდა „ჯეოსელს"?ძ?



**არაპატრიოტულ ტალღაზე**

*ჩანს, მომავლისკენ გასავლელ უძნელეს გზაზე პოსტსაბჭოურობა კიდევ დიდხანს დაამგვანებს ერთმანეთს არცთუ შორეულ წარსულში ერთი დროშის ქვეშ გაერთიანებულ ქვეყნებს, რომელთაც ავად თუ კარგად ერთად აწყობილი ცხოვრების ნგრევა ჯერაც არ დაუმთავრებიათ და ნგრევის დაწყებიდან განვლილ დროში მხოლოდ ის მოასწრეს, რომ ათასგვარი ჯურის პოლიტიკური პარტიების საჯიჯგნად გადაიქცნენ და გაღატაკდნენ. თუმცა, სამაგიეროდ, არც დამოუკიდებლობა აკლიათ დეკლარაციულად, არც თავისუფლება და არც დემოკრატია. ამასთანავე, რადგან ბუნებაში არაფერი არ იკარგება, ხალხი თუ გაღატაკდა და გაქვავდა, სანაცვლოდ ქვეყნის სიმდიდრე თავი მოიყარა ერთი მუჭა „ყოჩაღი" ადამიანების ხელში და დიხაც ამ „ახალი ადამიანების" პოლიტიკურ ნებაზე ჰკიდია ქვეყნის ბედი.*

*ამ არცთუ მაინცდამაინც რთულ ჭეშმარიტებაში ერთხელ კიდევ დავრწმუნდი სულ ახლახან, როცა დღეს უკვე უცხოურად სახელდებულ პრესაში სრულიად შემთხვევით გადავაწყდი ერთ-ერთი პოსტსაბჭოური ქვეყნის ერთი ჩემი ძველი ნაცნობი მწერლის ჭირისუფლურ ნააზრევს, რომლის წაკითხვისთანავე თარგმნა გადავწყვიტე, რადგან, მართალია, ის თავის ქვეყანაზე და თავის ხალხზე წერდა, მაგრამ რასაც წერდა, ყველაფერი ისე ჰგავდა ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი ხალხის ამჟამინდელ ყოფას, როგორც ორი წვეთი წყალი ჰგავს ერთმანეთს. ამიტომ ავდექი და კი არა ვთარგმნე, სიტყვასიტყვით კი არ გადმოვიღე, არამედ გავაქართულე, ანუ, უფრო სწორად, იმ ჩემი ძველი ნაცნობის მწერლის ნააზრევი უბრალოდ „ქართულ ჭურჭელში" მოვაქციე, ვინაიდან იმ ნააზრევში ზუსტად ჩემი გულისტკივილიანი სათქმელი ამოვიკითხე, და არა მარტო ჩემი... თუ ჩემი ვარაუდი მართალი არ გამოდგა, ეს ჩვენი გაზეთი ხვალაც გამოვა და ზეგაც, მოიწერეთ და გამამტყუნეთ...*

# რა ხდება, რა ამბავია ჩვენს თავს,

## ანუ ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერი?..

*როგორ გვიხდება საცვალი,*
*ევროპის გამონაცვალი*
*შატო კვინტო (გ.„კალმასობა")*

### გამაგებინეთ

თუ ხალხი ხართ, ბოლოსა და ბოლოს მითხარით, რა ხდება? საქართველო მართლა აღმავლობის გზაზეა თუ უფსკრულისკენ მიექანება? წინ სტაბილურობა და აყვავება გველოდება თუ ახალ-ახალი კატაკლიზმები? ქვეყანა დიქტატურისკენ მიდის თუ ნელა, ბორძიკ-ბორძიკ, ნერგავს დემოკრატიას?

თუ საქართველოს ეკონომიკა მართლა ასე განვითარდა, მაშ, რატომ არის ამდენი უსახლკარო, ამდენი მათხოვარი, ამდენი უწამლო საავადმყოფო, ამდენი გაუთბობელი სკოლა? რას ნიშნავს ეკონომიკის აღმავლობა? იქნებ ზამთრის კურორტებზე ზოგიერთების გრიალს? ანდა გლაზგოში ფეხბურთის მატჩზე ისევ ზოგიერთების დასწრებას?

ოღონდაც ზრდის პროცენტებზე ნუ დამიწყებთ ლაპარაკს. ვერ გამიგია, რას ნიშნავს, რომ შარშანდელი წელი იყო დიდი ეკონომიკური წინსვლისა და შემობრუნების წელი? რომ შარშანდელი წელი ჩვენ დავამთავრეთ ძალიან შთამბეჭდავი, თითქმის 10-პროცენტიანი ეკონომიკური ზრდით? რომ ბევრ ქვეყანას გაუჭირდებოდა ის, რაც ჩვენ შევძელით საგარეო ვაჭრობის შენარჩუნების მხრივ? რომ, ჩრდილოეთით ჩაკეტილი ვაჭრობის მიუხედავად, საქართველოს სავაჭრო ბრუნვა წინა წელთან შედარებით 40 პროცენტით გაიზარდა და 2006 წელს თითქმის 5 მილიარდი ამერიკული დოლარი შეადგინა? მაშინ ძალიან გთხოვთ პასუხის გაცემას ასეთ ელემენტარულ კითხვაზე: სად არის ეს პროცენტები რეალურ ცხოვრებაში? რატომ არ გრძნობენ ამ პროცენტებს საქართველოს მოქალაქენი?

ასე თუ ისე, მაინც ჩანს, რა ხდება გლობალურ მსოფლიოში. მაგრამ აბსოლუტურად გაუგებარია, რა ამბავია საქართველოს თავს.

აი, მაგალითად, ვის შეუძლია პასუხის გაცემა, არის თუ არა სოფლის მეურნეობა აწინდელ საქართველოში? მინისტრი, კი ბატონო, გვყავს (თუმცა მაინცდამაინც კარგად ვერ არის გარკვეული — ძროხა მაკდება თუ ორსულდება, ანდა მაკე ძროხა საფურე და სახარე ხბორებს იგებს თუ „ქალ და კაც" ხბორებს „აჩენს"ძ. ის ტელევიზორითაც ხშირად ჩანს, მაგრამ თვითონ სოფლის მეურნეობა გვაქვს? ცხადია, იმ რამდენიმე ფერმისა თუ გადამამუშავებელი საწარმოს გარდა, რომელთაც ხან პრეზიდენტს აჩვენებენ ხოლმე და ხანაც — პრემიერ-მინისტრს? რა, გვაქვს? მაშინ მაჩვენეთ, ბატონო. არა, არა გვაქვს? მაშინ საიდან არის ეს ამდენი ძვირი სურსათი ჩვენს ბაზრებსა და ეგრეთ წოდებულ მარკეტებში? რომელი ქვეყნიდან და რა ფულით შემოაქვთ, მითხარით?

სხვის ნალაპარაკევს არ ვიმეორებ, მე ხშირად ვარ ქართლის სოფლებში და ვიცი, რა დღეშიც არის დღეს ქართველი გლეხი. გინდაც, საერთოდ, სოფლის მეურნეობის მიმდევარი ჩვენებური კაცი, წელიწადში ერთხელ ოცი ლიტრი საწვავის იმედად დარჩენილი. მიწა ბევრგან თითქმის დაუმუშავებელია, ტექნიკა განადგურებულია ან სულაც არ არის. არ ვიცი, ეკონომიკური ზრდის დროს იქნებ სწორედ ასე უნდა იყოს?

თუ ხალხი ხართ, ბარემ ისიც მითხარით, დღეს ჩვენში საერთოდ ვინმე რამეს აწარმოებს? თითოოროლა კაცი კი არა, საერთოდ ხალხი მუშაობს ფაბრიკა-ქარხნებში, ანდა სადმე პლანტაციებში თუ მინდვრად? თუ ყველანი უკლებლივ ვდგავართ და მარტოოდენ ალებ-მიცემობას ვეწევით, იქ ვიყიდით, აქ გავყიდით, ანდა უმთავრეს საქმედ გაგვიხდია ლანდშაფტური არქიტექტურა, ვებ-დიზაინი, რეკლამა, ჭრელაჭრულა ჟურნალ-გაზეთების გამოცემა, ანდა ლამის ყოველ ნაბიჯზე გახსნილ ფრიად საეჭვო ეგრეთ წოდებულ უნივერსიტეტებსა თუ აკადემიებში ვითომ მოძღვრობა-მასწავლებლობა?

ვერაფერი ვერ გამიგია. ვითომ რა წესრიგიც დღეს გვაქვს საქართველოში, მსგავსი არასოდეს არა ყოფილა? მაშინ რატომ ხდება ყოველდღიურად ამდენი ძარცვა-გლეჯა, ამდენი მკვლელობა! თუ სულ უფრო და უფრო უკეთესად ვცხოვრობთ, რატომ არის, რომ ჩვენი სულაც არაევროპული ციხეები გადაჭედილია ახალგაზრდებით, თანაც არა მარტო ჭაბუკებით, არამედ გოგონებითაც! საიდან ამდენი მეძავი, ამდენი თაღლითი, ამდენი გამომძალველი! თუკი მართლა აყვავებული, ცივილიზებული ქვეყანა ვართ, რატომ არის დღეს ჩვენში ათი ათასობით უპატრონო და ზრუნვასმოკლებული ბავშვი!

ანდა ეგება სულაც მართალია სტანისლავ ეჟი ლეცი, ცნობილი „დაუვარცხნელი აზრების" ავტორი: „იქნებ მართლა ისე არ არის საქმე, როგორც სინამდვილეშია?"

### არა, ბატონო, არ მეცინება!

ყველაზე მთავარი ის არის, რომ პრაქტიკულად ყველასი მჯერა. მავანი და მავანი ტელევიზორის ეკრანიდან გვმოძღვრავს, თავისუფლება ძვირი ღირსო, მოთმინებას ითხოვსო, მჯერა. მავანი და მავანი საბაზრო ეკონომიკის სამომავლო სიკეთეს გვპირდება, ანდა ადამიანის უფლებებს იცავს, მჯერა... არადა, მართლაც, ვინ მამაძაღლი იქნება ან თავისუფლების, ან დემოკრატიის წინააღმდეგი? ზოგიც იმისთანა პატრიოტულს უბერავს, ისეთნაირად ელაციცება ქართულ ტრადიციებს და ისეთ ქართულ გზას სახავს, აბა, ნუ დაუჯერებ, თუ ბიჭი ხარ! დღეს რომ არც ამერიკა ვართ და არც კიდევ გერმანია, ეს ყველა პატარა ქართველმაც კი იცის, კავკასიის მთების შვილმა, ხოლო ხვალ რომ ამერიკასთანა და გერმანიასთანა ქვეყანა უნდა გავხდეთ, ეს სუყველას გვინდა, დიდსაც და პატარასაც...

ეს რომ გვინდა, დიახაც იმიტომ მჯერა, როცა პრეზიდენტი საააკაშვილი საქართველოს მზარდ ავტორიტეტზე ლაპარაკობს. მაგრამ ჯერჯერობით ცოტა მიჭირს იმის დაჯერება, რომ ამოიძირკვა მრავალი საზარელი საბჭოთა ტრადიცია — მაგალითად, ჩვენების გამოძალვა წამებისა და ცემის გზით, იარაღის ან ნარკოტიკის ჩადება და იმის საფუძველზე ადამიანის გასამართლება. მაგრამ მე რომ დაჯერება მიჭირს, ეს სულაც იმას არ ნიშნავს, რომ პრეზიდენტმა არ იცის, რასაც ლაპარაკობს.

აი გამოდის უმრავლესობის ლიდერი მაია ნადირაძე და ასე და ისეო. ბევრ ოპოზიციურ მოსაზრებას სულ ყირამალა აყენებს. და არ ვიცი, საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, მჯერა. ასევე მჯერა, როცა შალვა ლაპარაკობს, ნათელაშვილი, ანდა ლევან ბერძენიშვილი. თქვენ წარმოიდგინეთ, ხან კახა ბენდუქიძისაც კი მჯერა. მაგრამ რა ვუყო, რომ ამავე დროს მჯერა აგრეთვე მსოფლიო ბანკის განცხადებისა, რომლის მიხედვითაც საქართველო კავკასიის რეგიონში ყველაზე უფრო ღარიბი ქვეყანაა თურმე, მჯერა, ანდა როგორ არ დავუჯერო გაეროს, რომელმაც, დემოგრაფიული თვალსაზრისით, მომაკვდავი ერების სიაში შეგვიყვანა.

არა მჯერა მხოლოდ ჩვენი შაბათის შოუებისა და თუნდაც ვანო ჯავახიშვილისა და ნიკა ქავთარაძისა, რომელთა მაყურებლებსაც მუცლები ხელით უჭირავთ. მაგრამ მე სულაც არ მეცინება, რადგან სიცილის დრო, მგონი, ჯერ არ დამდგარა...

ან იქნებ სულაც „ტოტალური სპექტაკლის" მოწმენი ვართ, რომელ სპექტაკლადაც გადაიქცა ჩვენი ამჟამინდელი ცხოვრება? იქნებ მარტოოდენ დეკორაციებს ვხედავთ? პრეზიდენტი ცდილობს, ნემსის ყუნწში ძვრება, მთავრობა ქოჩორზე ტრიალებს, მინისტრები ოფლში იწურებიან. სინამდვილეში კი რა ხდება? რა და, ყველა თავის საქმეს აკეთებს. დღეს ისეთი დროა, როგორი მოჩვენებისა თუ ფანტომის შექმნასაც მოინდომებ, ისეთს შექმნი. მუსიკასაც შენი ნებისად ჩართავ, არც კიდევ რამენაირი სცენური თანხლება გაგიჭირდება.

საქართველო დემოკრატიისაკენ მიდის?

მიდის.

საქართველო დიქტატურას ეთამაშება?

არც უამისობაა!

ერთიც სიმართლეა და მეორეც. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რომელ სპექტაკლზე გაქვს ბილეთი აღებული. ერთ თეატრშია მიუზიკლი — „საქართველო გაბრწყინდება", ხოლო მეორეში, პირიქით, წარმოდგენილია ტრაგედია — „საქართველო ილუზება". ერთგანაც გამაყრუებელი ტაშის ხმა ისმის და მეორეგანაც.

ნიცშე წინასწარმეტყველებდა, ახალი ეპოქის მთავარი გმირი მსახიობი გახდებაო, მსახიობობა, როლის თამაშის უნარი, თანამედროვეობის უმთავრეს პროფესიად გადაიქცევაო.

მართლაც ბრძენი იყო ის დალოცვილი. განსაზღვრა, მაგრამ რა განსაზღვრა!

### ვის ადგას გმირის გვირგვინი?

მაგრამ არის ზოგი რამ ისეთი, რაც ვერა და ვერ გამიგია.

მაგალითად, ვერ გამიგია, რატომ უნდა ვცემდეთ პატივს ეგრეთ წოდებულ ოლიგარქებს? ვერ გამიგია, რატომ ქმნიან ამ ადამიანთაგან ჩვენი დროის გმირებს? მე შენ გეტყვი, მილიონები თუ მილიარდები თავიანთი ოფლითა და შრომით მოინაგრეს. არა, ბატონო, ადგნენ და ერთ მშვენიერ დღეს კი არა, იმ ცნობილ სულაც არამშვენიერ წლებში ის ქონება მიითვისეს და ჩაიჯიბეს, რაც ყველას ერთად გვეკუთნოდა. მოდი ახლა და ასეთ ხალხს პატივი ეცი და წითელი კოჭი უგორე!

ვერ გამიგია, რატომ მიაჩნიათ დღეს საქართველოში ლიტერატურად ის ლიტერატურა, სადაც მთავარი უცენზურო ლექსიკა, პორნოგრაფია და ფსიქოპათიაა? ნუთუ აღარ არიან ჩვენში ნორმალური ადამიანები?

და საერთოდ — ვინ არის დღეს ქვეყანაში ბატონ-პატრონი? ხალხი? მაშინ რატომ აღარაფერს არ ეკითხებიან ხალხს? აგერ, უკვე თბილისის იპოდრომსაც დაადგა თვალი რომელიღაც სამშენებლო კომპანიამ. მალე აქ, ალბათ, როგორც იტყვიან, თაგვიც ველარ მოიქნევს კუდს.

მაშ, გამაგებინეთ ერთი: ვის ეკუთვნის სახელმწიფო საქართველო? ხალხს თუ ათასი ჯურის კომპანიებს, რომლებსაც, როგორც ჩანს, სულ ფეხებზე ჰკიდიათ ხალხის აზრი? (რაში ენაღვლებათ ჩვენი ხალხი, მაგალითად, „ტრანსყაზგაზს", „გაზპრომს", „რაო ესს" ანდა „ჯეოსელს"?ძ.

ან იქნებ ხალხი აღარც არაფერს წარმოადგენს და მხოლოდ საარჩევნო ფუნქციაღა აკისრია? არჩევნებიდან არჩევნებამდე კი აშკარაა, რომ იგი ვიღაც-ვიღაცებს ძალიან უშლის ხელს, და წარმოიდგინეთ, რა ბედნიერნი იქნებოდნენ ის ვიღაც-ვიღაცები, თუ ამ პერიოდში, ანუ ახალი არჩევნების დროის მოსვლამდე, ხალხი სულაც არ იარსებებდა?

### სხვა განზომილება

ერთმა შედარებით პატიოსანმა ნაცნობმა ბიზნესმენმა ახლახან გულწრფელად მკითხა: მითხარი, თუ კაცი ხარ, მაინც რაში მარგია ეს ეგრეთ წოდებული სახელმწიფო? ჩემი ბიზნესი მე თავად ავაწყე. შვილები ფასიან სასწავლებლებში მყავანან. ექიმებთან კერძო კლინიკებში დავდივარ. არც მუნიციპალურ ბინას ვთხოულობ, არც ავადმყოფობის ფურცლის ანაზღაურებას და არც პენსიას. მაშ, აბა, რაღატომ უნდა ვარჩინო ეს უამრავი სახელმწიფო მოხელე, რომელთაც ვითომ კორუფციასთან ბრძოლის საბაბით დიდდიდი ხელფასები ეძლევათ?

რა ვიცი, იქნებ მართალიც არის, ათასგვარი სწორი თუ არასწორი გადასახადისაგან თავმობეზრებული ეს ჩემი ნაცნობი ბიზნესმენი?

ჩვენმა სოციოლოგებმა ამას წინათ ახალგაზრდების დიდი ჯგუფი შეისწავლეს, და აღმოჩნდა, რომ ძალიან ბევრს (თითქმის უზომოდ ბევრსძ საქართველოდან წასვლაზე უჭირავს თვალი. საქართველო, კი ბატონო, იყოს, სად გაგვექცევა, მაგრამ რით არის ცუდი, თუ გერმანიაში, საფრანგეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში ან ბრაზილიაში ვიცხოვრებთო!.. ოფისები და კომპიუტერები ყველგან ერთნაირია, სტანდარტული ინგლისური კი ბუტანის სამეფოშიც ესმითო.

მოკლედ, ცარიელ საქართველოსა და ცარიელ ქართულ პატრიოტიზმს ხომ არ გადავყვებითო, რა თავში ვიხლით ან პარლამენტს, ან მთავრობას, ან პრეზიდენტსო. ჩვენ რა, თუ ვიღაც-ვიღაცები გამდიდრდნენ და უცხოეთის ბანკები გადატენეს, ხომ შეიძლება, რომ ქართველები სულაც არ ვყოფილიყავით და სულ სხვა სამყაროში, სულ სხვა განზომილებაში გვეცხოვრაო.

წარმოგიდგენიათ ის სხვა სამყარო თუ განზომილება, სადაც არ იქნებოდნენ არც ბოკერია, არც ბენდუქიძე, არც მერაბიშვილი, არც ნოღაიდელი, არც სარიშვილი, არც გამყრელიძე, არც ცაგარეიშვილი, არც სამყურაშვილი, არც ნადირაძე, არც ტყემალაძე, არც ალექსიშვილი, არც ხერხეულიძეები, არც გვარამია, არც ჭყონია და არც რჩეულიშვილი-კერვალიშვილები, არც ჯავახიშვილი და არც ქავთარაძე, არც მამრაძე, არც მაჭავარიანი, არც გრიგოლია.. და, რასაკვირველია, ჯუღელი თავისი ოქროს ბუხრიანად?..

თქვენ წარმოიდგინეთ, ბევრს ნამდვილად წარმოუდგენია...

ეს არის და ეს.

დასაბეჭდად მოამზადა
**გურამ გოგიაშვილმა.**

*P. S. ვინაიდან თავისუფალი სიტყვა დღეს ყოველმხრივ ანგარიშგასაწევია, ავტორმა, ბუნებრივია, მეტი გასაქანი მისცა ემოციას იმის იმედით, რომ მკითხველი წერილში გამოთქმულ მოსაზრებებს არ აღიქვამს როგორც ბოლო ინსტანციის ჭეშმარიტებას და ავტორივით ისიც არ მოექცევა ილუზიათა ტყვეობაში. ისე, თუ ვისმე ფიქრები აეშლება, ცოტა გაბრაზდება კიდეც და თავის სათქმელსაც მოგვწერს, ცუდი ნამდვილად არ იქნება.*

გ.გ.

№ 59. სამშაბათი, 3 აპრილი, 2007 წელი.

დღეს დაგროვდა დიდძალი მასალა იმისათვის, რომ შევაფასოთ ყველა იმ ცვლილების სიღრმე, რაც გამოიწვია ხელისუფლებაში მ.სააკაშვილის მოსვლამ. ასევე აუცილებელია აღინიშნოს, რომ ამ მოვლენის უფრო ღრმა, ყოვლისმომცველი, ობიექტური გამოკვლევა და შეფასება საჭიროებს მისგან უფრო მეტ დაშორებას დროში



დრო, რომელშიც ვცხოვრობთ

*პოსტსაბჭოთა საქართველოში სამჯერ გამოიცვალა ხელისუფლება და ეს სამჯერვე შემობრუნების წერტილად იქცა მის განვითარებაში: 1ძ „მრგვალი მაგიდისა“ და ზ.გამსახურდიას მოსვლა ხელისუფლებაში; 2ძ ზ.გამსახურდიას მთავრობის დაცემა და ხელისუფლებაში ე.შევარდნაძის მოსვლა; 3ძ მ.სააკაშვილის მოსვლა ხელისუფლებაში. მიუხედავად იმისა, რომ თითოეული ასეთი ცვლილება ქვეყნის ბედის განმსაზღვრელი ხდებოდა, რევოლუციად მხოლოდ მ.სააკაშვილის მიერ ხელისუფლების დაუფლება მოინათლა. ამით ხაზგასმულია ამ მოვლენის დიდი ისტორიულ-პოლიტიკური მნიშვნელობა წინა მთავრობის ორი ცვლილების ფონზე. ამასთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, უპრიანია დავსვათ კითხვა – რამდენად სამართლიანია, რომ მ.სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლას ვუწოდოთ „რევოლუცია“? ხომ არ წარმოადგენს ეს პროპაგანდისტულ ხერხს, პიარს, ამ მოვლენის გაპიარების მცდელობას, რაც გაზრდიდა მის მნიშვნელობას მსოფლიოს საზოგადოებისა და საკუთარი მოსახლეობის თვალში? იმისათვის,რომ ვუპასუხოთ ამ კითხვებს, საჭიროა პასუხი გაეცეს სხვა კითხვას – რამდენად შეესაბამება შევარდნაძის მთავრობის დამხობა, რომელსაც „ვარდების რევოლუცია“ ეწოდა, რევოლუციის არსებით მახასიათებლებს?*

# საქართველო: „რევოლუცია“ მარშზე

## რევოლუციის გაგებისათვის

ისტორიულ-დროითი სივრცის ზრდა (ყველა იმ მოვლენის ერთობლიობა, რასაც ადგილი ჰქონდა დროის განსაზღვრულ მონაკვეთშიძ გავლენას ახდენს „ფერადი“ რევოლუციების გაგებასა და შეფასებაზე. რაც უფრო ვშორდებით მათ დროში, მით უფრო იზრდება ჩვენი შესაძლებლობები იმისა, რომ უფრო ღრმად ჩავწვდეთ მათ არსს, უფრო ობიექტურად და ზუსტად შევაფასოთ მათი მნიშვნელობა. რევოლუციის კვლევის კავშირი დროითი სივრცის ზრდასთან გამომდინარეობს თავად რევოლუციის არსიდან, რომელიც დაკავშირებულია ულრმესი, ფუნდამენტალური ხასიათის ცვლილებებთან, საიდანაც წარმოიშობა საზოგადოების ახალი თვისებრივი მდგომარეობა. ხოლო ეს კი, თავის მხრივ, საჭიროებს განსაზღვრულ დროით ინტერვალს იმისათვის, რომ სრულად განხორციელდეს ყველა ის ცვლილება, რომელსაც საზოგადოება გამოჰყავს ძველი თვისებრივი მდგომარეობიდან და ამთავრებს მის ნახტომს ახალ თვისებრივ მდგომარეობაში. **რევოლუცია გულისხმობს სახელმწიფო ხელისუფლების განსაკუთრებით ღრმა ზემოქმედებას საზოგადოებაზე და არა კონფლიქტს, რომლის შედეგადაც იცვლება ხელისუფლება. ამ გავლენის სიღრმე იზომება საზოგადოების პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სულიერ და სოციალურ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებებით, რომლებიც ხორციელდება განსაზღვრული დროის ინტერვალში და რაც არ შეიძლება განხორციელდეს დაუყოვნებლივ, ხელისუფლებაში იმ ძალების მოსვლისთანავე, რომლებიც საკუთარ თავს უწოდებენ რევოლუციონერებს.** ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა გავიხსენოთ, რომ ი.ბ.სტალინი, ბოლშევიკების მიერ ხელისუფლების დაუფლებას 1917 წელს უწოდებდა არა რევოლუციას, არამედ უბრალოდ ოქტომბრის გადატრიალებას და ამით მნიშვნელოვნად ამცირებდა ამ აქტის მნიშვნელობას. ამისგან განსხვავებით, 2003 წლის ნოემბრის მოვლენებს საქართველოში დაუყოვნებლივ ეწოდა რევოლუცია. მათ უკვე სამზე მეტი წელი გვაშორებს.

ამ დროის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა ქვეყანაში. ამიტომ დღეს დაგროვდა დიდძალი მასალა იმისათვის, რომ შევაფასოთ ყველა იმ ცვლილების სიღრმე, რაც გამოიწვია ხელისუფლებაში მ.სააკაშვილის მოსვლამ. ასევე აუცილებელია აღინიშნოს, რომ ამ მოვლენის უფრო ღრმა, ყოვლისმომცველი, ობიექტური გამოკვლევა და შეფასება საჭიროებს მისგან უფრო მეტ დაშორებას დროში. სახელწოდება „ვარდების რევოლუცია“, რომელიც გაჩნდა მაშინვე, როგორც კი მ.სააკაშვილი ხელისუფლებას დაეუფლა, წარმოადგენს იმ კონფლიქტის უშუალო შთაბეჭდილების შედეგს, რომელიც უკავშირდება ხელისუფლების არაკონსტიტუციურ შეცვლას საქართველოში. **მაგრამ, რევოლუცია შეიძლება ეწოდოს არა იმდენად მთავრობის შეცვლის განსაზღვრულ წესს, რამდენადაც ამ შეცვლის გავლენის სიღრმეს საზოგადოების ეკონომიკურ, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე. თუ რევოლუციის ზოგიერთი განსაზღვრების მიხედვით ვიმსჯელებთ, მაშინ მთავრობის შეცვლის განსაზღვრული წესი ამ მოვლენის მხოლოდ ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად წარმოჩინდება, რომლის მეორე ნაწილსაც რადიკალური ხასიათის ცვლილებები წარმოადგენენ.**

**ენტონი ჰიდენსი რევოლუციას განსაზღვრავს, როგორც „ხელისუფლების დაუფლებას“ ძალადობის გზით, რომელსაც ახორციელებენ მასობრივი მოძრაობის ლიდერები და რომლის შედეგადაც მიღებული ხელისუფლება შემდგომში გამოიყენება რადიკალური სოციალური რეფორმების ინიცირებისათვის“.** „კარდინალურ ცვლილებებს“ უკავშირებს რევოლუციას ენდრიუ ჰეივუდიც, რომელიც მას განიხილავს, როგორც **„არასამართლებრივი ხასიათის საზოგადოებრივი გადატრიალება, მასობრივი მოქმედება, რომელიც მიმართულია თავად პოლიტიკური სისტემის კარდინალურად შეცვლისაკენ და არა მხოლოდ ერთი მმართველი ელიტის მეორეთი შეცვლისაკენ“.** ჰეივუდისა და ჰიდენსის განსაზღვრებების განზოგადების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ორივე ავტორი რევოლუციაში გულისხმობს მთავრობის შეცვლის განსაზღვრულ წესს, რომელსაც მივყავართ ისეთი ცვლილებებისაკენ, რომლებიც ყველა სხვა ცვლილებებისაგან განსხვავდებიან საკუთარი რადიკალიზმით. რევოლუცია – ეს მთავრობის ისეთი ცვლილებაა, რომელიც რეალიზდება არასამართლებრივი მასობრივი მოძრაობის შედეგად და რომელიც ღრმა გარდაქმნებს იწვევს საზოგადოების ცხოვრებაში.

რევოლუციების ზემოთ მოყვანილი განსაზღვრებების საფუძველზე შეიძლება გამოვყოთ ორი ცვლადი, რომელთა საშუალებითაც შეიძლება აღვწეროთ ის ცვლილებები, რომლებიც ხორციელდება საზოგადოებაში და განვსაზღვროთ ისინი, როგორც რევოლუციები: აძ იმ ხალხის რაოდენობა, რომელმაც მონაწილეობა მიიღო მთავრობის არაკონსტიტუციური გზით შეცვლაში; 2ძ ასეთი შეცვლის შედეგად საზოგადოებაში, ეკონომიკასა და პოლიტიკურ სისტემაში მომხდარი ცვლილებების სიღრმე. აღსანიშნავია, რომ ამ ორი ცვლადიდან დამოუკიდებელი ცვლადია ცვლილებათა სიღრმე. პირველი ცვლადი გვიხასიათებს მხოლოდ ცვლილებების ფორმასა და წესს და წარმოადგენს რევოლუციონერების მიერ დაგეგმილი და განსახორციელებელი ცვლილებების სიღრმის შედეგს. სწორედ ცვლილებების სიღრმე წარმართავს ჩვენს ყურადღებას რევოლუციის არსებაზე, რომელიც ფუნდამენტალური, თვისებრივი ხასიათის ცვლილებას წარმოადგენს.

ამიტომ სწორედ ის არის რევოლუციის არსებითი მახასიათებელი.

როგორც ჩანს, სწორედ ამიტომ არის ხოლმე, რომ როცა ზოგიერთი ავტორი იძლევა რევოლუციის ზოგად განსაზღვრებას, ხაზს უსვამს არა ცვლილებების წესს, არამედ ამ ცვლილებების ხასიათსა და სიღრმეს, განსაზღვრავს რა რევოლუციას, როგორც თვისებრივ ნახტომს განვითარებაში: **„რევოლუცია – ეს არის ღრმა თვისებრივი ცვლილება რომელიმე სოციალური წარმონაქმნის, მოვლენის ან პროცესის განვითარებაში ან ევოლუციაში. სოციალური პროცესის დინამიკის თვალსაზრისით – თანდათანობითობის დარღვევა, თვისებრივი ნახტომი. გამოყოფენ აგრარულ, სასოფლო-სამეურნეო, ანტროპულ, კულტურულ, ინდუსტრიულ, სამეცნიერო, საქალაქო, პოლიტიკურ, საინფორმაციო, ნეოლითურ და სხვა რევოლუციებს“.** ამ სიტყვის ეტიმოლოგიური მნიშვნელობაც მიგვითითებს სწორედ ცვლილებების ხასიათზე და არა ამ ცვლილებების წესზე: ის წარმოებულია გვიანლათინური revolutio –სგან, რაც ნიშნავს მობრუნებას, გადატრიალებას. ცვლილებების სიღრმე – ეს რევოლუციის არსებითი ნიშანია, ხოლო მასში მონაწილე მასების რაოდენობა კი ამ ცვლილებების შედეგია. იმის გამო, რომ რევოლუცია წარმოადგენს ღრმა გადატრიალებას საზოგადოების ცხოვრებაში, მას მოძრაობაში მოჰყავს მასები, რადგანაც მათი მონაწილეობის გარეშე მასშტაბური საზოგადოებრივი ცვლილებების დაწყება და დამთავრება შეუძლებელია. სწორედ ამიტომ, ყველა კლასიკური რევოლუცია გულისხმობდა ხალხის მასობრივ აქტიურობას.



**ვალერიან დოლიძე,**
**პოლიტოლოგი**

**(გაგრძელება იქნება)**

ინფორმაცია

## ბუთბა ჩვენ გვადანაშაულებს

**საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის გიორგი ხევიაშვილის შეთავაზებას აფხაზური მხარისათვის აღედგინათ ომის დროს უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიებისა და გადმოსვენების პროცესი, უგზო უკვლოდ-დაკარგულთა მოძიებისა და გადმოსვენების აფხაზური კომისიის თავმჯდომარე ადგურ ბუთბა ეხმაურება.**

**„ქართველების მიერ უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიებისა და გადმოსვენების ირგვლივ მოლაპარაკებათა აღდგენაზე ოთხი წლის განმავლობაში ქართულ მხარესთან მიმდინარე მოლაპარაკებებმა ვერავითარი შედეგი ვერ გამოიღო.**

**ადგურ ბუთბას ინფორმაციით, 1992-1993 წწ. მიმდინარე ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დროს, აფხაზური მხრიდან უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება სულ 121 სამხედრო და სამოქალაქო პირი.**

**„აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მოძიება-გადასვენების საკითხებზე მიმდინარე მოლაპარაკებები უკვე დიდი ხანია, ქართული მხარის ბრალეულობით შეწყვეტილია. ქართულმა მხარემ, თავის თავზე აიღო ვალდებულება ეჩვენებინა ჩვენთვის ომის დროს დაღუპული აფხაზი მეომრების სამარხების სქემები, მაგრამ ეს ვალდებულება არ შეასრულა“, – ამბობს ბუთბა და დასძენს, რომ ახალი მოლაპარაკებების დაწყებას არავითარი აზრი არა აქვს, რადგან ქართული მხარე ადრე მიღწეულ შეთანხმებებს არ ასრულებს.**

**ბუთბა აღნიშნავს, რომ თავის დროზე აფხაზურმა მხარემ ქართულ მხარეს დიდი დახმარება გაუწია ქართველ მებრძოლთა მოძიება-გადასვენების საქმეში, თუმცა საპასუხოდ ვერანაირი დახმარება ვერ მიიღო.**

**ჯი-ეიჩ-ენი**



№ 59. სამშაბათი, 3 აპრილი, 2007 წელი.

ქარის ენერგიის გამოყენებაც არ გვაწყენდა, მით უმეტეს, რომ საქართველოში ამისთვის ნამდვილად კარგი პერსპექტივებია. 90-იან წლებში ამ მხრივ გარკვეული გამოცდილებაც დაგროვდა

ინფორმაცია

## კოკოითმა კომიტეტი დააარსა

ოს სეპარატისტთა ლიდერმა ედუარდ კოკოითმა ახალი ე.წ. ბრძანება გამოსცა. კოკოითის განკარგულებით, „სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტთან სახელმწიფო კონტროლისა და ეკონომიკური უსაფრთხოების კონტროლის კომიტეტი“ დაარსდა. მის ხელმძღვანელად ბატრაზ ტაკაზოვი დაინიშნა. ედუარდ კოკოითმა ტაკაზოვს კომიტეტის სტრუქტურისა და საშტატო ერთეულის ჩამოყალიბებისათვის ორკვირიანი ვადა მისცა.

ოს სეპარატისტთა მიერ ხელმოწერილი მეორე ე.წ. ბრძანებით, ედუარდ კოკოითმა ე.წ. სამხრეთ ოსეთის მთავრობის თავმჯდომარეს იური მოროზოვს „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის საკონტროლო-სარევიზიო კომიტეტის“ სალიკვიდაციო ღონისძიებების ჩატარება დაავალა.

ჯი-ეიჩ-ენი

პრეზენტაცია

# 200-ლარიანი ევროზე უფრო დაცულია

**ამ დღეებში საქართველოს ეროვნულ ბანკში 200-ლარიანი ბანკნოტის პრეზენტაცია გაიმართა, რომელსაც დაესწრნენ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი რომან გოცირიძე, გერმანული კომპანია „ჰიზეკე უნდ დევრიენტის“ აღმასრულებელი დირექტორი ვალტერ შლებუში, კომპანიის რეალიზაციის რეგიონალური დირექტორი დიტმარ რაიჰელი და ახალი ბანკნოტის დიზაინის ავტორები ნოდარ და ბაჩანა მალაზონიები.**

ორასლარიანი ძალიან ლამაზია, ბანკნოტის წინა მხარეს გამოსახულია საქართველოს ეროვნული გმირის ქაიხოსრო (ქაქუცაძ ჩოლოყაშვილის პორტრეტი. ფონად გასდევს ქართული კულტურის ძეგლების რელიეფურ გამოსახულებათა ფრაგმენტები. უკანა მხარეს კი გამოსახულია სოხუმის ხედი და აფხაზეთში, სოფელ წებელდაში აღმოჩენილი რელიეფური გამოსახულების ფრაგმენტი. ბანკნოტზე იკითხება წარწერები ქართულ, აფხაზურ და ინგლისურ ენებზე „ორასი ლარი“, „სოხუმი, აფხაზეთი“.

პრეზენტაციაზე საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა რომან გოცირიძემ განაცხადა: „ფულის ნიშანზე დატანილი მხატვრული ემიტენტები ქვეყნის საზოგადოებრივი განწყობის, მიზნებისა და ოცნებების მაუწყებელია. 200-ლარიანი ბანკნოტის ერთ მხარეზე დატანილია ქალაქ სოხუმის ხედი, ხოლო მეორეზე – საქართველოს ეროვნული გმირის ქაიხოსრო (ქაქუცაძ ჩოლოყაშვილის პორტრეტი. ეს თემატიკა აერთიანებს საქართველოს წარსულს, აწმყოსა და მომავალს. იგი სიმბოლოა ქვეყნის თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისა“.

მისი თქმით, „შემთხვევითი არ არის, რომ ახალ 200-ლარიანზე გამოსახულია ქართველი და აფხაზი ხალხებისათვის ერთნაირად ძვირფასი აფხაზეთი. ქართველებსა და აფხაზებს საერთო კულტურული ფესვები გვაქვს. ქართული ფულის ნიშანზე აფხაზეთის ხედის დატანა იმის ნიშანია, რომ აფხაზეთი ჩვენმა ხალხებმა ერთად უნდა ააშენონ და იქ გვერდიგვერდ მშვიდობიანად იცხოვრონ. 200-ლარიანი უფრო დაცულია ვიდრე ევრო“.

„ჩემთვის დიდი პატივია შემოგიერთდეთ და თქვენთან ვიყო ამ მნიშვნელოვან დღეს 200-ლარიანი ბანკნოტი გერმანიაში „ჰიზეკე უნდ დევრიენტში“ დამზადდა და იგი ერთ-ერთი ყველაზე დაცული ფულის ნიშანია მსოფლიოში. 200-ლარიანზე დატანილია ფულის დამცავი ნიშნების რამდენიმე ექსკლუზიური ტექნოლოგიური სიახლე, რაც დღეისათვის მას მსოფლიოში გამორჩეულ ბანკნოტად აქცევს“, – აღნიშნა „ჰიზეკე უნდ დევრიენტის“ აღმასრულებელმა დირექტორმა ვალტერ შლებუშმა, რომელიც თბილისში სპეციალურად 200-ლარიანი ბანკნოტის პრეზენტაციისათვის ჩამოვიდა.

200-ლარიანი გამოირჩევა თავისი დიზაინითა და გამომსახველობით, რაც ახალი სიტყვაა ნუმიზმატიკაში, ეს კი ბანკნოტის შემქმნელების ნოდარ და ბაჩანა მალაზონიების დიდი დამსახურებაა.

დიზაინერმა ბაჩანა მალაზონიამ საზოგადოებას მიულოცა ახალი ბანკნოტის გამოშვება და მადლობა გადაუხადა გერმანული კომპანიის წარმომადგენელს, რადგან ფული უზადოდ შესანიშნავად არის დამზადებული.

200-ლარიანი მიმოქცევაში 15 აპრილიდან შევა. ვისურვოთ ჩვენი ქვეყნის მთელ მოსახლეობას ხშირად შეევლოს ხელი ამ მართლაც მშვენიერი კუპიურისთვის.





ენერგეტიკა

# ქარი ქრის, ქარი ქრის... უფასოდ...

## ჩვენ კი, ენერგოდეფიციტით გატანჯულნი და უქონელნი, ქარისა და მზის უფასო ენერგიას არ ვიყენებთ

**ამ რამდენიმე წლის წინათ ისრაელიდან ჩამოსულმა ქართველმა ებრაელმა მეზობლებთან საუბრისას თქვა, რომ ისრაელში მაქსიმალურად იყენებენ მზის ენერგიას, სახურავებზე დამონტაჟებული აქვთ სპეციალური მოწყობილობა – სარკეები და თბილ წყალს ვღებულობთ – გნებავთ, სამზარეულოში, გნებავთ, აბაზანაში. ელექტროენერგია ისრაელში საკმაოდ ძვირია და მზის ენერგიას აქტიურად ვიყენებთო.**

ნამდვილად არ ვიცი, ისრაელში რა ღირს ერთი კვტ/საათი ელექტროენერგია, მაგრამ საქართველოში რომ იგი ძვირია და მოსახლეობას უჭირს შუქის დანახარჯის გადახდა, ფაქტია. ამიტომაც ალტერნატიული, არატრადიციული განახლებადი ენერგიის გამოყენებას ჩვენს ქვეყანაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს. დასანანია, რომ მზიურ საქართველოში მზეს სათანადოდ ვერ ვიყენებთ.

საქართველოს ენერგეტიკის კარგი მცოდნის, შესანიშნავი მეცნიერის დემურ ჩომახიძის განმარტებით, 80-იან წლებში მზის ენერგიის გამოყენების საფუძველზე ქვეყანაში ცხელი წყალმომარაგების სისტემის მნიშვნელოვანი რაოდენობის სიმძლავრეები ამოქმედებულა, მაგრამ შემდგომში, ცნობილი მოვლენების გამო, ისინი გავერანებულა და დღემდე უმოქმედოდ არის. უმეტესობა გაიძარცვა და გამოსაყენებლად უვარგისია. არადა, 1990 წლის ბოლოს საქართველოში ასეთი სახის ცხელი წყალმომარაგების კოლექტორების საერთო ფართობი 65-557 კვადრატულ მეტრს შეადგენდა, ხოლო მათ მიერ გამოთავისუფლებული სათბობის წლიური ეკონომია 7867 ტონას უდრიდა. ეს მონაცემები იმაზე მიუთითებს, რომ ამ მიმართულებით აუცილებელია მუშაობის განახლება. ჩვენს პირობებში საშუალოდ თითოეული კვადრატული მეტრი მზის კოლექტორი დღეში 50-70 ლიტრ ცხელ წყალს იძლეოდა და ერთი გიგაკალორია თბოენერგია მაშინ 24 მანეთი ჯდებოდა. თბოენერგიის თვითღირებულება კი უკვე უტოლდებოდა წვრილ საქვაბეებში ამ ენერგიის წარმოებისათვის საჭირო დანახარჯებს (23-26 მანეთსძ. ცხადია, ეს თანაფარდობა დროთა განმავლობა-



ში მკვეთრად შეიცვლებოდა მზის ენერგიის სასარგებლოდ.

როგორც დემურ ჩომახიძე აცხადებს, ანალიზი უჩვენებს, რომ უახლოესი პერსპექტივისთვის საქართველოში მზის ენერგიის გამოყენებით შესაძლებელი გახდება წლიურად დაახლოებით 40-50 ათასი ტონა პირობითი საწვავის დაზოგვა.

სახალხო მეურნეობაში და საყოფაცხოვრებო პირობებისთვის მზის ენერგიის გამოყენება დიდ მოგებას მოგვიტანს. სამწუხაროდ, ამ მიმართულებით ჯერჯერობით არაფერი კეთდება. რატომღაც ქართველი სპეციალისტები, ბიზნესმენები მონდომებას არ იჩენენ ამ მომგებიანი საქმისთვის. შეიძლება სათანადო ცოდნა არ ჰყოფნით, მაგრამ ამ მხრივ მათ დიდად დაეხმარება საზღვარგარეთის ქვეყნების, კერძოდ, აშშ-ის, ავსტრიის, ჩინეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, კანადის, დანიის, იაპონიის, საფრანგეთის და სხვა ქვეყნების მდიდარი გამოცდილება. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ 1989 წელს აშშ-ში მოქმედებდა მზის კოლექტორები 14 მილიონ კვადრატულ მეტრ ფართობზე, ავსტრიაში – 150 ათას, ხოლო ჩინეთში – 100 ათას კვადრატულ მეტრზე.

მზით წყლის გამაცხელებლებისათვის მარტივი კონსტრუქციების კოლექტორების ხვედრითი ღირებულება კვადრატულ მეტრზე 15-დან 20-დოლარამდე მერყეობს.

ასე რომ, ქვეყანაში მზის ენერგიის გამოყენების მასშტაბების გაფართოება და მზის კოლექტორების დანერგვა ბევრ სიკეთეს მოგვიტანს, მოსახლეობას გაუიოლებს თბილი წყლის მიღებას და ფულადი დანახარჯებიც ნაკლები ექნებათ.

ქარის ენერგიის გამოყენებაც არ გვაწყენდა, მით უმეტეს, რომ საქართველოში ამისთვის ნამდვილად კარგი პერსპექტივებია. 90-იან წლებში ამ მხრივ გარკვეული გამოცდილებაც დაგროვდა. 1984 წელს ჩვენთან მუშაობდა სპეციალიზებული სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ქარის ენერგია“. სპეციალისტების დასკვნით, განხორციელებული სამუშაოები საშუალებას იძლეოდა, რომ უახლოეს ათწლეულში ქარის ენერგიის გამოყენებით საქართველოში დაზოგილიყო დაახლოებით 10 ათასი ტონა პირობითი საწვავი.

ენერგეტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გამოკვლევებით ქარის ენერგიის გამოყენება ეკონომიურია და იგი კონკურენტუნარიანია მცირე ჰესებში ელექტროენერგიის გამომუშავების ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით.

მიჩნეულია, რომ ქარის ენერგიის გამოყენება ყველაზე საუკეთესო ეკონომიურ მაჩვენებლებს იძლევა იმ რაიონში, სადაც ქარის საშუალო წლიური სიჩქარე წამში 5 მეტრზე მეტია. საქართველოში ასეთ ზონებს შეიძლება მიეკუთვნოს ცხრაწყარო, მთა-საბუეთი, ქუთაისი, ყაზბეგი, მამისონი, ბათუმი და სხვა. ეკონომიკური პარამეტრების დონე დამაკმაყოფილებელია წამში 3-5 მეტრი სიჩქარის პირობებშიც. ასეთ ზონებს კი მოიცავს საქართველოს ტერიტორიის უმეტესი ნაწილი.

უცხოეთში,100 კვტ და მეტი სიმძლავრის ქარის ენერგეტიკული დანადგარები მოქმედებენ აშშ-ში, კანადაში, დანიაში, შვეციაში, ნიდერლანდებში, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში. ამ მხრივ მნიშვნელოვანი მასალები ქართველ მეცნიერთა ჯგუფმა ჯერ კიდევ 1989 წელს დანიიდან ჩამოიტანა.

ამჟამად ჩვენში ქარის ენერგიის გამოყენების არეალი სულ ორი საცდელი გენერატორით არის წარმოდგენილი, რომლის ჯამური სიმძლავრე 12 კვტ-ს შეადგენს. ქარის მაღალი პოტენციალით გამოირჩევა კავკასიის მაღალმთიანი რეგიონები, მტკვრის ხეობა, სამხრეთ საქართველოს ფერდობები და შავი ზღვის სამხრეთი ნაწილი. ადგილობრივი სპეციალისტების მიერ დადგენილი ქარის კადასტრით დასტურდება, რომ აღნიშნულ რეგიონებში ქარის სიჩქარე 30 მეტრის სიმაღლეზე 6 მეტრს აღემატება წამში, ხოლო ქარიანობის პერიოდი საგრძნობლად ხანგრძლივია.

ამიტომაც ქარის ენერგიის გამოყენება საშური საქმეა, ისევე როგორც მზის ენერგიისა.

საქართველოს ბანკები ყოველ წელს სულ უფრო მეტ სესხებს გასცემენ მცირე და საშუალო ბიზნესისთვის. იქნებ ამ დარგის სპეციალისტები დაინტერესდნენ მზისა და ქარის ენერგიის გამოყენებით და სათანადო დაფინანსების წყალობით კარგ საქმეს ჩაეყაროს საფუძველი.

ალტერნატიული ენერგიის გამოყენებით იქნებ მოსახლეობის დაუცველმა ფენამ შეღავათიანი ტარიფებით ისარგებლოს და დიდი გადასახადისგან გათავისუფლდეს?

**ლალი ქინქლაძე**



№ 59. სამშაბათი, 3 აპრილი, 2007 წელი.

**და ჩემ წინ ის იყო, ვისი სახელიც ლეგიონია, რამეთუ ისინი ბევრნი არიან. იქვე გვერდით ერთი ოხერ-ტიალი სახლი იდგა, უპატრონო. თუკი ვიყოჩაღებდი, სახურავზე ასვლას მოვასწრებდი, იქ კი ლეგიონი ვეღარ მომწვდებოდა, რომელიც ძაღლის სხეულში იყო გამომწყვდეული და შეძლებითაც მხოლოდ ძაღლისოდენი შეეძლო**



## ◉ ჩვენი ბიბლიოთეკა

გამახსენდა, როგორ მოჩქარეობდა პეტრუსი მთელი ეს დღეები. გამახსენდა ჩვენი ბოლო საუბარი ნადგურცემულ ქალაქში. მომეჩვენა, დროის მოგებას ცდილობს, რათა თავადაც რამე გადაწყვიტოს-მეთქი თავისთვის. გული მომეცა და სავარჯიშოს შევუდექი.

რა არი ჰარმონია დამემყარებინა ჩემსა და იმ ყოველსავე შორის, რაც ჩემ გარშემო იყო, რამდენიმე RAM სიოს ქიქინი შევასრულე. მერე საათზე დრო დავნიშნე — თხუთმეტი წუთი — და ჩრდილთ დავაცქერდი — დაქცეული სახლების, ქვებისა და ხის, ჩემს ზურგს უკან აღმართული ძველი ჯვრის ჩრდილთ. ამ ცქერა-ცქერაში კი მივხვდი, თუ რა ძნელია გაგება, სახელდობრ რაზე ფიქრობ. ადრე ეს აზრი არცროდის თავში არ მომსვლია. როცა მრგვალ ორძელზე ფიქრობ, ის სწორკუთხა ხდება, უსწორმასწორო ქვები ბურთივით მრგვალდებიან. აგრე გრძელდებოდა პირველი ათი წუთი. გულისყურის მოკრება არ გამძნელებია — ამოცანამ უმალვე გამიტაცა. მერე მახვილის ძებნა-ძიებისას მიღებულ მცდარ გადაწყვეტილებაზე დავიწყე ფიქრი. აურაცხელმა იდეამ გამიარა გონებაში: სანტიაგოში ავტობუსით ჩასვლის შესაძლებლობიდან ცოლთან დარეკვის ვარიანტამდე, და ტელეფონთან მოსულს თავს თუ შევაცოდებდი, ჩემი სიყვარულითა და სიბრალულით გულაჩუყებული როგორმე გამომეტეხა, სადა ჰქონდა გადამალული მახვილი.

### „ჩრდილების“ სავარჯიშო

*მოდუნდი.*

*ხუთი წუთი შენ გარშემო თვალი არ მოაშორო არც საგნებისა და არც ადამიანების ჩრდილთ. ეცადე, რომ ზუსტად განსაზღვრო, იმათი რა ნაწილია განათებული.*

*მომდევნო ხუთი წუთი, ამ მეცადინეობის შეუწყვეტლივ, მთელი გულისყურის იმ პრობლემაზე გადატანას ეცადე, რომელიც გადაწყვეტას ითხოვს, და ყოველი ღონე იხმარე, რომ გადაწყვეტილების ყველა შესაძლო მცდარი ვარიანტი იპოვო.*

*და ბოლო ხუთი წუთი, კვლავ ჩრდილთა ცქერა-ცქერაში, იმაზე იფიქრე, რა სწორი გადაწყვეტილებანი დარჩა. მერე ისინი ერთიმეორის მიყოლებით მოსპე, სანამ ერთადერთიღა არ დარჩება, რომელიც სწორედ გადასაწყვეტ პრობლემას ეხება.*

... უკან მობრუნებულ პეტრუსს ღიმილიანი შევხვდი.

— რას იტყვი? — მკითხა მან.

— ახლა უკვე ვიცი, როგორ თხზავდა აგათა კრისტი თავის რომანებს, — მივუგე ხუმრობის კილოთი. — მცდარ ვერსიას ყველაზე უფრო სწორ ვერსიად აქცევდა. ჩანს, ჩრდილების სავარჯიშოს ტექნიკას ფლობდა.

მაინც სად არის შენი მახვილიო, მკითხა პეტრუსმა.

— არა, ჯერეთ ყველაზე უფრო უსაზრო ვერსიას გეტყვი, რომელიც ჩრდილების ცქერა-ცქერაში დავამუშავე. ამ ვერსიის მიხედვით, მახვილი სანტიაგოს გზის გარეთ არის...

— გენიოსი ხარ. ბოლოს და ბოლოს მიხვდი, რომ ამდენი ხანი მახვილის ძებნა-ძიებაში ვართ. მე მეგონა, ეს ამბავი ჯერ კიდევ ბრაზილიაში გითხრეს.

— ... და გადამალულია საიდუმლო რამ ადგილას, სადაც ჩემს ცოლს არ მიესვლება. მახვილი სრულიად ღიად დევს, ოღონდ ისეა შეხამებული და შერწყმული ყველაფერთან, რაც გარს აკრავს, რომ ადამიანს თვალში არა ხვდება.

ამჯერად პეტრუსს ჩემი გაბიაბრუება არ დაუწყია, და განვაგრძე:

— და რამდენადაც დიდი უაზრობა იქნებოდა იმის ფიქრი, რომ ის კაცრიელ, ანუ კაცმრავალ ადგილას არის გადამალული, მაშასადამე, სადმე თითქმის უკაცრიელ ადგილას უნდა ვიგულოთ. გარდა ამისა, რათა ჩემთვის განკუთვნილი მახვილი ვინმე თვალის დამდგმელს იმ უტყუარ ესპანურ დაშნათაგან ვერ გაერჩია, რომელთაც სუვენირებად ყოველ ნაბიჯზე ყიდიან, ამიტომ ის იქ უნდა მოვიძიოთ, სადაც ადამიანები ცივი იარაღის ნაირ-ნაირ სტილსა და სახეობაში მაინცდამაინც ვერ ერკვევიან.

— შენი ფიქრით რა, აქ სადმეა?

— არა, აქ არ არის. არამც და არამც არ შეიძლებოდა ამ სავარჯიშოს იქ შესრულება, სადაც მახვილია. ეს ჰიპოთეზა ხელადვე უარვყავი. ის უთუოდ სადმე ამ დაბისნაირ ქალაქში ან სოფელშია. ოღონდ არა მცხოვრებთაგან მიტოვებულში. უმოსახლო და დაცარიელებულ ქალაქში მახვილი უეჭველად მიიქცევდა როგორც პილიგრიმთა, ისე ჩვეულებრივ მოგზაურთა ყურადღებას. ძალიან მალე ის უკვე რომელსამე ბარში ეკიდებოდა კედლის დასამშვენებლად.

— კეთილი და პატიოსანი, — თქვა პეტრუსმა, და შევამჩნიე, რომ ნამდვილად კმაყოფილი იყო ჩემით ანდა იმ სავარჯიშოთი, რომელიც აგერ სულ ახლა შემასწავლა.

— ერთი რაღაც კიდევ... — დავძინე.

— რა?

— მოგვის კუთვნილი მახვილისთვის ყოვლის უფრო უკადრისი ადგილი საერო ადგილი იქნებოდა. ის წმინდა ადგილას უნდა იყოს. ეკლესიაში, მაგალითად, — იქიდან იმის გატაცებას კაციშვილი ვერ გაბედავს. ამრიგად: სადმე სანტიაგოს ახლოს მდებარე რომელსამე ეკლესიაში, ყველას დასანახად, ოღონდ გარემომცველ სივრცეს ჰარმონიულად შერწყმული დევს ჩემი მახვილი. მაშასადამე, გზად რამდენიც ეკლესია შეგვხვდება, ყველგან უნდა შევიდე.

— არ არის საჭირო, — თქვა პეტრუსმა. — მოვა დრო და გაიგებ, რაც გასაგებია.

— თუ კაცი ხარ, მითხარი ერთი, თავდაპირველად ისე რატომ ვჩქარობდით, ახლა კი ამდენი ხანი აქა ვყურყუტებთ?

— როგორი პასუხი იქნება ყველაზე უსწორო?

წამიერად ჩრდილთ შევავლე თვალი. პეტრუსი მართალი იყო. ტყუილუბრალოდ არ შეყოვნებულვართ — ამ ამბავს თავისი მიზეზი ჰქონდა.

მზე მთების უკან დახდა, მაგრამ შუქი ჯერეთ კიდევ საკმარისზე მეტი იყო, რათა ზოგი რამ მოგვესწრო და თავითავს მოგვეყვანა. ერთი გაფიქრება გავიფიქრე, რომ მზე ზედ ადგა რკინის ჯვარს, რომლის ნახვაც აგრერიგად მეოცნებებოდა, არადა — სულ რამდენიმე ასეულ მეტრში იყო ჩემგან. დაყოვნების მიზეზის გაგება კი მაინც არ მასვენებდა: მთელი კვირა მუხლჩაუხრელად ვიარეთ. მერედა მიზანი? მიზანი, ეტყობა, ის იყო, რომ აქ ამ დღეს და ამ დროს უნდა ვყოფილიყავით.

სიტყვის ჩამოგდება ვცადე, იქნებ დრო მალე გავიდეს-მეთქი, მაგრამ პეტრუსი დაძაბული და ამღვრეული იყო. გუნებაარეული და პირქუფრი ადრეც ბევრჯერ მინახავს, მაგრამ არ მახსოვს, რომ ოდესმე ესოდენ დაძაბული ყოფილიყო. არა, ვტყუი! მახსოვს, როგორ არ მახსოვს? მაშინ რომელიღაც პატარა ქალაქში ვიყავით — სახელწოდება გულიდან გადამვარდა — კაფეში ყავასა ვსვამდით, დილა იყო... ჯერეთ კიდევ მანამ, სანამ...

უცებ ჩემდა უნებურად შევბრუნდი. და აგერ ისიც. ნაგაზი.

სწორედ ის, პირველი შეხვედრისას რომ წამაქცია, ხოლო მეორედ ილაჩრა და გაიქცა. მესამედაც თუ მოგიხდა იმასთან შეხვედრა, უსიკვდილოდ წაგეშველებიო, შემპირდა პეტრუსი. თავი კი მივატრიალე დაგულებული ეტიკისკენ, მაგრამ გვერდით არავინ არ მედგა.




ნაგაზს თვალი თვალში გავუყარე, და უამრავმა ვარიანტმა გამირბინა თავში, თუ რარიგ უნდა მოვქცეულიყავი ასეთ ვითარებაში. არც ერთი არ ვინძრეოდით, გაშეშებულნი მივშტერებოდით ერთმანეთს, და ამ წაბზირებულ მზერათა ჭიდილმა წამიერ ვესტერნის სცენა გამახსენა. თუმცა, იქ ორთაბრძოლაში ადამიანები ეჭიდებოდნენ თუ ერკინებოდნენ ერთმანეთს: ადამიანისა და ნაგაზის შებმა ჯერეთ არცვის თავში არ მოსვლია — ნამეტანი დაუჯერებელი რამ იქნებოდა. მე კი აწ მხეცის პირისპირ ვიჯექი და სინამდვილეში განვიცდიდი იმას, რაც კინოში უხეირო გამონაგონად გამოჩნდებოდა.

და ჩემ წინ ის იყო, ვისი სახელიც ლეგიონია, რამეთუ ისინი ბევრნი არიან. იქვე გვერდით ერთი ოხერ-ტიალი სახლი იდგა, უპატრონო. თუკი ვიყოჩაღებდი, სახურავზე ასვლას მოვასწრებდი, იქ კი ლეგიონი ვეღარ მომწვდებოდა, რომელიც ძაღლის სხეულში იყო გამომწყვდეული და შეძლებითაც მხოლოდ ძაღლისოდენი შეეძლო.

მაგრამ მტრულად მზირალი მხეცისთვის კვლავინდებურად თვალგასწორებულმა გაქცევა გადავიფიქრე. სანტიაგოს გზას ადევნებულს ბევრჯერ განმეცადა ამისთანა შიშიანი წუთი, და ახლა ისევ მომაკითხა. სანამდე ჩემს მახვილს ვიპოვიდე, მტერთან შეხვედრას ვერ ავცდები — ან უნდა ვძლიო, ან უნდა, უნდა დავმარცხდე. როგორც ჩანს, თავი უნდა გადავდო და შევება, სხვა გზა არ არის. თუ გავიქცევი, მახეში გავებმები. ნაგაზი ამის მერე იქნებ აღარც გამოჩნდეს, მე კი სულ შიშატანილმა უნდა ვიარო თვით სანტიაგო-დე-კომპოსტელამდე. მერეც მთელი ღამეები სიზმრად უნდა მემაჯლაჯუნოს, ყოველ წუთს სულ იმის ცდაში უნდა ვიყო, ან ახლა გამოჩნდება, ან ახლა-მეთქი, და სამარის კარამდე ზარხდომილმა უნდა ვწიო წუთისოფლის ჭაპანი.

ვიდრე ამ საგონებელში ვიყავი, ნაგაზი გაინძრა. და ელდანაცემს ერთი ფიქრიღა შემრჩა — შებრძოლება, რის წუთიც, პოეტის თქმისა არ იყოს, ცოტაც და, დადგებოდა. პეტრუსი სადღაც მიფანიერდა, მარტო დამტოვა. როგორც კი შიში ვიგრძენი, ნაგაზი ღრენა-ღრენით წამოვიდა ჩემკენ. ეს ყრუ, მოგუდული ღრენა უფრო მეტად მოქმედებდა, ვიდრე თავზარდამცემი ყეფა, და შიში გამიძლიერდა. რახან თვალებზე შემატყო, რა დღეშიც ვიყავი, ნაგაზმა კამარა შეკრა.

და შურდულის ქვის სიძლიერით მეცა მკერდში. წამაქცია და ზედ შემდგა. აწ ბუნდადღა მახსოვდა სიკვდილთან ჩემი შეხვედრა და ისიც, რომ ასეთი ბოლო არ მელოდა, მაგრამ შიშმა სულ ერთიანად ამიტანა, და ნაგაზის მოგერიებას ვიღა ჩიოდა, ნეტავი როგორმე ყელი და სახე მაინც დამეცვა. დაგლეჯილმა ფეხმა ისე შემაღონა, სისხლიან ნაკბილარზე ჩემდა უნებურად ხელი მივიჭირე. ნაგაზმა დაუცველი ყანყრატო დამინახა თუ არა, უმალ ჩაფრენა სცადა. სწორედ ამ დროს მიწაზე აფათურებული ჩემი ხელი ქვას წამოედო, რომელიც მყის მუჭაში მოვიქციე და — ეტყობა, სასოწარკვეთილებამ მომამძლავრა თუ რა იყო, უღმერთოდ დავუწყე ნაგაზს რტყმა.

ძაღლი განზე გახტა — უფრო მოულოდნელობამ დააფრთხო, ვიდრე ტკივილმა — და წამოხტომა მოვახერხე. ის კვლავ უკან-უკან იწევდა, და იმის სისხლისაგან გაწებოვნებული ქვა აღმაფრთოვანებდა. ადრე ნამეტან პატივისცემას შთამაგონებდა ამ მხეცის ძალა, და ამიტომაც კინაღამ მახეში გავები. არადა ჩემზე უფრო ძლიერი ვერ იქნება! მკვირცხლი — კი, ბატონო, ყოჩაღიც, ოღონდ ძლიერი ვერა, რადგან ტანითაც მეტი ვარ და წონითაც. შიში დაოკდა, აღარ მატყულობდა, მაგრამ თავს ვეღარ ვიჭერდი და ქვაჩაბღუჯული მხეცზე არანაკლებ თავად ვიღრინებოდი. ნაგაზმა კიდევ ცოტა დაიწია უკან და გაირინდა.

ის თითქოს ჩემს აზრებს კითხულობდა. რა სიცხადეც ოდენ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილს ეუფლება, იმ სიცხადით ვგრძნობდი საკუთარ ძალას, მაგრამ თანაც მესმოდა, რამდენად უსაზრო იყო ნაგაზთან ჩემი შებრძოლება. სიძლიერის შეგრძნება მაბორგებდა, მაბობოქრებდა, გაუკაცრიელებული ქალაქიდან კი თბილმა ქარმა წამოუბერა. ვიგრძენი, რა მოსაწყენი ხდებოდა ამ ორთაბრძოლის განგრძობა: ერთს გავუქანებდი ნაგაზს შუბლში ქვას — და გამარჯვებაც მე დამრჩებოდა. და უცებ ყველაფერი ყელში ამომივიდა. მხოლოდ ერთი რისამესლა მნდომელი ვიყავი — ძაღლისგან დაგლეჯილი ფეხისთვის მიმეხედა და ერთხელ და სამუდამოდ შევშვებოდი ამ უაზრო თავგადასავლებს, რომელთაც ბოლო არ უჩანდათ სულელურ გზებზე სულელურ მახვილთა ძებნა-ძიებაში.

მაგრამ ესეც მახე იყო. ნაგაზი კვლავ წინ გამოიჭრა და ძირს დამცა. ამჯერად სულ ადვილად მოახერხა ქვისთვის თავის არიდება და ისეთნაირად გამკრა კბილი ხელზე, რომ მოკუმშული თითები გამეშალა და ჩემი საჭურველ-იარაღი გამვარდა. სხვა რა ჩარა იყო, შიშველი ხელებით დავუწყე ბუბნა, მაგრამ ბევრი ვერაფერი ვავნე, ერთი ეგ იყო, ჩემს სხეულზე კბილი არ მოვაკიდებინე. მეტი არაფერი. სამაგიეროდ თავისი ბასრი კლანჭებით სულ შემომაფლითა მთელი ტანსაცმელი და ხელებიც კარგა გვარიანად დამისისხლიანა; ცხადი იყო, რომ მალე ქვეშ ამომიდებდა.

და უცაბედად სადღაც ჩემ შიგნიშიგან ხმა გავიგონე, რომელი ხმაც მეუბნებოდა, ეგ თუ მოხდა, ბრძოლაც დამთავრდება, და ცოცხალი გადარჩებიო. დამარცხებული, ოღონდ ცოცხალიო. დაგლეჯილი ფეხი მღრღნიდა, დაგაზულ-დაღადრული სხეული მეწვოდა, ცეცხლი მეკიდებოდა. ხმა ჯიუტად შემაგონებდა ბრძოლის დამთავრებას, და აწ უკვე მივხვდი, ვისი ხმაც იყო — ასტრაინი, ჩემი მაცნე-მაუწყებელი მეძრახებოდა. ნაგაზი წამიერად გაიცქნაფა, თითქოს ისიც უსმენდა ასტრაინს, მე კი კვლავ ყოველივეზე ხელის აღების ჟინმა შემიპყრო. ჯანდაბას, რაც იქნება, იქნება-მეთქი, ვფიქრობდი. მერე რა, თუ ბევრმა ამ ცხოვრებაში თავისი მახვილი ვერ იპოვაო, ჩამჩიჩინებდა ასტრაინი. რაც მართალია, მართალია, მეც უარს არ ვიტყოდი, თუ ჩემს ჭერქვეშ აღმოვჩნდებოდი, ჩემს ცოლთან, თუ დავწვრილშვილდებოდი და იმას ვიზამდი, რაც მენდომებოდა. როდემდე შეიძლებოდა ამდენი გიჟობა, ჩანჩქერებიან კლდეებზე ბობღვა და ნაგაზებთან ღონეში გაჯიბრება! უკვე მეორედ გამიჩნდა ეს ფიქრი, ოღონდ ახლა უკვე ჯიუტად ჩამეჭედა თავში. დარწმუნებული ვიყავი, რომ სულ რამდენიმე წამში დავყრიდი ფარხმალს.

გაუკაცრიელებული ქალაქის ერთ-ერთ ქუჩაში რაღაც ხმაური გაისმა, თრიალი, და ნაგაზმა ყურები ცქვიტა, ყურადღება იქით გადაიტანა. მეც თავი შევაბრუნე და მწყემსს მოვკარი თვალი, მინდვრიდან ცხვარს მოერეკებოდა. და მყის გამახსენდა, რომ ის ერთხელ უკვე ნანახი მყავდა — მაშინ ძველი ციხე-დარბაზის ნანგრევებთან შემოგვხვდა. ნაგაზი ცხვრების დანახვაზე ეგრევე თავს გადამევლო და შესატევად მოემზადა. ეს ჩემი ხსნა იყო.

მწყემსმა შეჰყვირა — ცხვრები გაიფანტნენ. ნაგაზმა ჯერეთ ვერ მოასწრო მივარდნა, მე კი ცხვრებისთვის ცოტა შორს წასვლის დრო რომ მიმეცა, ნაგაზს უკანა მარცხენა ფეხში წავწვდი. ერთ-ორ წუთს მაინც გავუწევ-მეთქი წინააღმდეგობას, ვიფიქრე, რახან ვიგრძენი, რომ გულში იმედის ნაპერწკალი გამიჩნდა, — საკმაოდ აბსურდული — მწყემსი წამეშველება და დამიხსნის-მეთქი. და წამიერ ის იმედიც დამიბრუნდა, რომ ჩემს მახვილსაც მოვინაგრებდი და RAM ძლიერებასაც შევიმატებდი.

თარგმნა
**გურამ გოგიაშვილმა**

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 32-43, 45-58.

№ 59. სამშაბათი, 3 აპრილი, 2007 წელი.

# აფხაზეთი

ხელმოცარული ყოფილი სახელმწიფო მოხელე, დღეს იოლ გზას რომ ეძებს პოლიტიკაში, ვის უნდა დაეყრდნოს, როცა უსაფუძვლოდ ლაფს ასხამს სრულიად უდანაშაულო გალელებს – რაიონის შვილებს, რომლებიც რიცხობრივად აფხაზეთის ქართული მოსახლეობის თითქმის ნახევარს წარმოადგენენ (იქიდან წასული აფხაზეთის სხვა 5 რაიონში მცხოვრები გალელების გათვალისწინებით

## ◎ ინფორმაცია

### გაბაშვილი გადაწყვეტს დავით გარეჯის პრობლემას?

დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის საკითხთან დაკავშირებით საპარლამენტო ფრაქცია „დემოკრატიული ფრონტი" ფრაქციის სხდომაზე კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრ გიორგი გაბაშვილს იბარებს.

ამის შესახებ ფრაქციის წევრმა ზვიად ძიძიგურმა გასულ კვირას განაცხადა. მან მინისტრის დაბარების მიზეზად, დავით გარეჯის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟი დაასახელა და აღნიშნა, რომ გავრცელებული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ კულტურის სამინისტრომ დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი ტურისტულ ზონად საპატრიარქოსთან შეუთანხმებლად გამოაცხადა, სიმართლეს შეეფერება.

ამასთან, ზვიად ძიძიგურის უკმაყოფილებას იწვევს ის ფაქტიც, რომ კულტურის სამინისტრო დავით გარეჯთან დაკავშირებით ორმხრივ მენეჯმენტზე საუბრობს.

„დემოკრატიულ ფრონტში" მიიჩნევენ, რომ ასეთი განცხადებებით კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო დავით გარეჯზე აზერბაიჯანის მხარის გარკვეულ უფლებებს აღიარებს.

### ადმინისტრაციული ერთეულის ჩამოყალიბება – მშვიდობის გარანტი

საპარლამენტო ფრაქცია „მემარჯვენე ოპოზიციის" ლიდერი დავით გამყრელიძე ცხინვალის რეგიონში დროებითი ადმინისტრაციული ერთეულის ჩამოყალიბებას მხარს უჭერს.

მისი განცხადებით, ცხინვალის რეგიონში, დროებითი ადმინისტრაციული ერთეულის მიზანი, კონფლიქტის მშვიდობიანი გზით დარეგულირება უნდა იყოს და როგორც ეთნიკური ქართველების, ისე ოსების ინტერესებს თანაბრად უნდა ითვალისწინებდეს.

ინტერპრესნიუსი

### სეპარატისტთა ჟურნალისტები გაერთიანდნენ

სეპარატისტული სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ჟურნალისტთა კავშირებმა თანამშრომლობისა და ერთიანი და კოორდინირებული საინფორმაციო პოლიტიკის წარმოების ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი. ე.წ. სამხრეთ ოსეთის მხრიდან შეთანხმებას ხელი მოაწერა ე.წ. სამხრეთ ოსეთში ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარემ ბატრაზ ხარებოვმა. აფხაზეთის მხრიდან კი აფხაზ ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარემ სერგეი კვიცინიამ.

შეთანხმების ხელის მოწერის ინიციატორი ე.წ. სამხრეთ ოსური მხარე იყო.

აღსანიშნავია, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ჟურნალისტები ადრეც თანამშრომლობდნენ, მხოლოდ ეს თანამშრომლობა ტელეკომპანიათა შორის თანამშრომლობით შემოიფარგლებოდა. ამჟამად ხელმოწერილი შეთანხმებით კი ერთიან მუშაობაში აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტელესივრცეების კოორდინირებულ მუშაობაში, აღნიშნული რეგიონების ბეჭდვითი მედიაც ჩაერთო.

ХО-ЭИБ-ЭНИ

## ◎ ვითხოვ სიტყვას!

*ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები" მ/წლის მარტის №9-ში აქვეყნებს აფხაზეთში დე ფაქტო ხელისუფლების მიერ მარტის არჩევნებთან დაკავშირებით ინტერვიუს არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელ პაატა დავითაიასთან, რომელმაც უმოწყალოდ გალანძღა აფხაზეთში – გალში დაბრუნებული თანამემამულეები – სამურზაყანოელები, ადამიანები, რომლებმაც სიცოცხლის რისკის ფასად აფხაზეთში ქართული სული გააღვივეს. ამაზრზენია თვით ინტერვიუს სათაური „რატომ არ უყვართ გალში საქართველო". საიდან ასეთი ცილისწამება ადამიანების მიმართ? ნუთუ ეს ხალხი არ უყურებს ტელევიზიას? არ ახსოვთ თუნდაც რამდენიმე თვის წინათ გალის საშუალო სკოლის მოსწავლეთა შეძახილები: „გაუმარჯოს საქართველოს"? ამ ფაქტის გამო რამდენიმე მშობელი საცხოვრებლის დატოვების საფრთხის წინაშეც კი დადგა. ნუთუ არ მოუსმენიათ იმ პატარა გოგონას გაბედული განცხადება, რომელიც ათეული კილომეტრებით დაშორებულ ქართულ სკოლაში მიდიოდა და გამართული ქართულით ამბობდა, „მიუხედავად აკრძალვისა მე მაინც ქართულ სკოლაში ვივლიო".*



*არ „მოგისმენიათ იმ ოქტომბაილი პედაგოგისათვის, რომელმაც განაცხადა: „ვერც ტყვია და ვერც ივიც ვერ გვაიძულებს აქაურ პედაგოგებს და მშობლებს ხელი ავიღოთ სასკოლო საქმეზე. ჩვენ ვერავინ შეგვიცვლის აზრს, ვიცხოვროთ იქ, სადაც დავიბადეთ და გავიზარდეთ, სადაც ჩვენი ფესვებია; ვასწავლოთ მომავალ თაობას, მშობლიურ ენაზე აღვზარდოთ ისინი, ქართული სულისკვეთებით"?*

# საზოგადოებამ უნდა იცოდეს, ვინ არის მოღალატე და ვინ - მართლა „OHO"!

და ყველაფერი ეს ისმოდა ოკუპირებული ტერიტორიიდან, ენგურს გაღმა სოფლიდან, სადაც სეპარატისტული რეჟიმი ბობოქრობს, სადაც ყოველ წუთს შეიძლება დატრიალდეს უმძიმესი ტრაგედია. ამას აკეთებენ იქ მყოფი პედაგოგები პრაქტიკულად ენთუზიაზმის დონეზე, სიცოცხლის რისკის ფასად, მაშინ როცა ადამიანური სითბოსა და მადლობის ნაცვლად აქეთ, სამშვიდობოს, უსაფრთხოდ მყოფნი უზომოდ სცოდავენ, ამათრახებენ, ჯვარს აცვამენ, ცილსაც კი სწამებენ იმ გმირ ადამიანებს, ვინც იქ, იმ ძირძველ ქართულ მიწაზე კვლავ ქართულ სულს ახარებენ, ჭეშმარიტ ქართველებად გვიზრდიან მომავალ თაობას.

თავს უფლებას ვაძლევ შევახსენო სამშვიდობოს მყოფთ, რომ საქართველო ბევრჯერ ყოფილა ურჯულოთა მიერ აოხრებული, აწიოკებული, მაგრამ ისტორიას არ ახსოვს, რომ ქართველები დაპყრობილი ტერიტორიიდან მთლიანად განედევნოთ. ეს მოხდა მხოლოდ აფხაზეთში 1993 წელს, როცა ეს ძირძველი ქართული ტერიტორია თითქმის დაიცალა ქართველთაგან და თუ აქა-იქ ვინმე დარჩა ხანდაზმული, ვინც ვერ დატოვა ხეიბრები და ვერ შეელია წინაპართა საფლავებს, მათაც გაუსწორდნენ უმკაცრესად, სასტიკად.

რა მოხდა გალში? რატომ დარჩა მოხუცთა და ხეიბართა ნაწილი და რატომ დაბრუნდა იქ ქართველობა, ამაზე აუცილებელია მკითხველმა იცოდეს და ქვემოთ მოგახსენებთ. რაც შეეხება ლანძღვას, ეს ისევ და ისევ ძველი გახუნებული და გაცვეთილი თემის – გალელთა კომპრომეტირების ნაცადი გზის გაგრძელებაა, რაც 1993-94 წლებში ისმოდა ხელისუფლების მაღალი ეშელონის წარმომადგენელთაგან და რისი მიზანიც დევნილთა კონსოლიდაციის წინააღმდეგ მიმართული კამპანია იყო. ეს მაღალი თანამდებობის პირები (გენერლები) უშუალოდ იყვნენ პასუხისმგებელი ომის წაგებაზე. ისინი ცალკეულ რაიონებს (და მათ შორის გალის რაიონს) და ადამიანთა ჯგუფებს აბრალებდნენ ომში დამარცხებას. ხალხი ბრძენია, საბედნიეროდ მათ მიზანს ვერ მიაღწიეს, მხოლოდ ჩინმეძლები კი დაირიგეს, არადა, საბრალდებო სკამებზე უნდა მსხდარიყვნენ. მაგრამ დღეს, როცა აღარ არის ის პრეზიდენტი, ხელისუფლებაში აღარ არიან კიტოვანი, იოსელიანი და „ძმანი მათნი", საინტერესოა ვის დავალებას ასრულებენ ის ბატონები, რომლებიც ამ ბინძურ თემას აგრძელებენ?

ბატონი დავითაია თავის ინტერვიუში ამბობს: „გალელი, რომელიც წარმოშობით ქართველია, აქვს რუსეთისა და აფხაზეთის პასპორტი, გადმოდის აქეთ და დევნილის (14-ლარიანძ დახმარებას იღებს, ვინ არის: ქართველი, აფხაზი თუ რუსი? მე არ ვიცი, ის ალბათ „OHO"-ა.

ამ სიტყვების ავტორს, რომელმაც გამოიარა სახელმწიფო მოხელის ბევრი საფეხური (აფხაზეთის იუსტიციის მინისტრი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, პროკურატურის მაღალჩინოსანიძ და უარი არ უთქვამს დევნილის დახმარებაზე, კრინტი არ დაუძრავს მაშინ, როცა „საფოსტო" ბანკი და მისი აფხაზეთის ფილიალი წილში ეჯდა დევნილებს და დღესაც კი არაა ბოლომდე გაცემული მაშინდელი 14-ლარიანი დახმარება, მაშინ როცა აფხაზეთიდან დიდი რაოდენობით გადმოჰქონდათ აფხაზებს ძვირფასი ქონება ენგურს გაღმა და გაჩალებული იყო ალებ-მიცემობა, სად ბრძანდებოდა? რაც შეეხება პასპორტების საკითხს. ამ ყურმოკრულ ჭორს, ცილისწამებას აყოლილ ყოვლისმცოდნე ექსპერტს მინდა განვუმარტო, რომ გალში არც რუსული და არც აფხაზური პასპორტის ქონის არანაირი აუცილებლობა არ არსებობს და არც არავინ აძალებთ მათ პასპორტისა და ეროვნების შეცვლას. რაც შეეხება პასპორტს, საუბედუროდ, 90-იანი წლებიდან ქვეყანაში შექმნილი მძიმე სიტუაციის გამო, უამრავ ქართველს და მათ შორის გალელსაც, შეიძლება თავის გადარჩენის მიზნით ჰქონდეს რუსული პასპორტი, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ მათ ქართველობას უღალატეს. საინტერესოა, რა არგუმენტით, რა უფლებით სწამებთ ცილს ამ მრავალტანჯულ ადამიანებს და მეტად დამამცირებლად უწოდებთ „OHO"-ს. მკითხველისათვის მიმინდვია იმის გარკვევა, ვინ არის „OHO"?

გვერდს ვერ ავუვლი ინტერვიუში არჩევნების მისეულ შეფასებას, სადაც ამბობს: „ხელისუფლება ცდილობს, აჩვენოს, თითქოს გალის ქართულმა მოსახლეობამ აფხაზურ არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადა. მართალია ბოიკოტი იყო, მაგრამ ქართველი მოსახლეობის 20 პროცენტი მაინც მივიდა", – „ზეწოლა 4 მარტს იქნება, აი მაშინ ვნახავთ ქართველების აქტიურობას".

4 მარტიც დადგა და განმეორებითი არჩევნებიც „ჩატარდა". საბედნიეროდ, ქართულმა ტელეარხებმა ფოტომასალაც კი გაავრცელეს გალში არჩევნების ჩაშლასთან დაკავშირებით. ექსპერტსა და ყოვლისმცოდნე დავითაიას კოვზი ნაცარში ჩაუვარდა, ჩანს, გალელებს ცუდად იცნობს. წარმოუდგენელია, გამოუვალ მდგომარეობაში მყოფის გარდა, კაცმა, ვისაც ქართული სისხლი უჩქეფს ძარღვებში, სიდუხჭირეში მყოფი თანამოძმეები ასე უმოწყალოდ მოიხსენიოს აუგად.

ეს ხელმოცარული ყოფილი სახელმწიფო მოხელე, დღეს იოლ გზას რომ ეძებს პოლიტიკაში, ვის უნდა დაეყრდნოს, როცა უსაფუძვლოდ ლაფს ასხამს სრულიად უდანაშაულო გალელებს – რაიონის შვილებს, რომლებიც რიცხობრივად აფხაზეთის ქართული მოსახლეობის თითქმის ნახევარს წარმოადგენენ (იქიდან წასული აფხაზეთის სხვა 5 რაიონში მცხოვრები გალელების გათვალისწინებიძ.

მაშინაც იყვნენ და დღესაც არიან პროვოკატორები, რომლებიც ანგაჟირებულ აფხაზ სეპარატისტთა ზრახვებს თავიანთი უგუნური თუ მიზანმიმართული ქმედებით უბიძგებდნენ სიტუაციის გამძაფრებისკენ, რის მძიმე შედეგებსაც ვიმკით დღეს.

მიუხედავად ზემოთქმულისა, გალში დარჩენილ ხეიბართა და მოხუცთა მიმართ ბოევიკების მიერ გატარებულმა სადამსჯელო ღონისძიებებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდნენ ჩრდილო-კავკასიელები და ბაგრამიანის ბატალიონის წევრები. უმოწყალოდ დახოცეს იქ დარჩენილთა დიდი უმრავლესობა, ენგურს გაღმა გადმოსული მათი ჭირისუფლები კი იძულებული გახდნენ მიცვალებულთა საპატრონოდ გალში დაბრუნებულიყვნენ. **გაჩნდა შურისძიების სინდრომი, ჩამოყალიბდა პარტიზანული ჯგუფები.** გალის რაიონი თითქმის მთელი წელი ცეცხლის ალში იყო გახვეული. დაიხოცა უამრავი ადამიანი, როგორც ქართველი, ისე აფხაზი. თვით არძინბამაც კი აღიარა რამდენიმე სატელევიზიო გამოსვლაში, რომ ომის შემდგომ გალში უფრო მეტი ცოცხალი ძალა დაკარგა, ვიდრე მთლიანად ომში.

1994 წლის 9 თებერვალს რუსი სამხედროების თაოსნობით მოხდა გალის რაიონის ომის შემდეგ პირველი ფართომასშტაბიანი წმენდა. გაუგონარი სისასტიკით გაუსწორდნენ მშვიდობიან მოსახლეობას. იყო ფაქტები, როცა მშობლების თვალწინ ცოცხლად მარხავდნენ, ცეცხლმოკიდებულ სახლში აგდებდნენ დაჭრილ ახალგაზრდებს. ძალადობამ უკურეაქცია გამოიწვია. მოხდა ისე, რომ გალის რაიონის დაბალ ზონაში, რკინიგზის გაყოლებით 1998 წლის მაისის მოვლენებამდე აფხაზური იურისდიქცია არ ვრცელდებოდა. ხალხი თითქმის დაუბრუნდა ცხოვრების ჩვეულებრივ რიტმს. თითქმის ყველა სოფელში გაიხსნა ქართული სკოლა, ზუგდიდიდან აღდგა ავტობუსების მიმოსვლა. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ იყო რეისი ზუგდიდი – მზიური (მზიური გალის ცენტრიდან კილომეტრ – კილომეტრნახევრითაა დაშორებული და რასაც მაშინ აფხაზური დე ფაქტო მხარე ვერ აკონტროლებდა). აფხაზური მხარე იძულებული გახდა მთელ რიგ დათმობებზე წასულიყო. არ იყო პრობლემა გალში ქართულ სწავლებასთან დაკავშირებით, ხოლო დღის 5 საათის შემდეგ ქალაქ გალის ცენტრშიც კი აფხაზთა ჭაჭანება არ იყო.

ყოველივე ამაში ლომის წილი მიუძღოდათ პარტიზანებს, რომლებიც შემდგომ ყაჩაღებად და კონტრაბანდისტებად მოინათლნენ და თუ მართლა ასეა, მაშინ იმ ხელისუფლების დამსახურებაა, რომლის წარმომადგენელიც ბატონი დავითაია იყო. 1998 წლის ცნობილი მოვლენების შემდეგ, როცა გალის რაიონის მთელ ტერიტორიას აკონტროლებდა აფხაზური მხარე, ვის აძლევდა ეს ხელს? ვინ მოითხო ამაზე ხელი? ვინ აგო პასუხი 1998 წლის სისხლიან ტრაგედიაზე, მაშინ როცა გალის რაიონის ერთი მესამედი პირისაგან მიწისა აღიგავა (11 სოფელიძ, დაიხოცა და უგზო-უკვლოდ დაიკარგა უამრავი ადამიანი, დაიწვა 1500-ზე მეტი საცხოვრებელი სახლი, არ დარჩენილა არც ერთი ნაგებობა ამ ტერიტორიაზე?

ჩვენ, სამურზაყანოელები, ვსვამთ საკითხს დღევანდელი ხელისუფლების წინაშე: დაუბრუნდეს ადამიანთა წინაშე ჩადენილი ეს უმძიმესი დანაშაული გამოძიებას და მიეცეს მას ობიექტური შეფასება. საზოგადოებამ უნდა იცოდეს ვინ არის მოღალატე და ვინ – მართლა „OHO".

მიუხედავათ ზემოთქმულისა, მრავალთა გასაკვირად ამ აოხრებულ 11სოფელში კვლავ გიზგიზებს ქართული კერია, კვლავ ხარობს ქართული სული. სასაცილოა, სატირალი რომ არა, გალში დაბრუნებულ ქართველებს „ნალში" უწოდო, როგორც ამას ბატონი დავითაია აკეთებს. მე მას და მისთანებს მოვუწოდებ წაიკითხონ და მოუსმინონ გამოჩენილი მოღვაწეებისა და ექსპერტების შეფასებებს, სადაც ხაზგასმით აღნიშნავენ:

„გალში დაბრუნებული ადამიანები გმირები არიან" (საქართველოს პრეზიდენტი).

„გალში დაბრუნებული ქართველები გრდემლსა და უროს შორის არიან მოქცეულნი" (ექსპერტი, თსუ პროფესორი გიორგი ანჩაბაძე).

„აფხაზეთს ქართველობა გალელებმა შეუნარჩუნეს" (მწერალი და საზოგადო მოღვაწე სერგი საჯაია).

ნამდვილად არ იმსახურებენ ლანძღვა-გინებას აფხაზეთისათვის დაღუპული პატრიოტები და მათი ოჯახები, რომლებმაც არ უღალატეს დედასამშობლოს და ქართველობისათვის ჯვარცმა აირჩიეს.

**მურმან ყოლბაია,**
**საზოგადოებრივ კავშირ „სამურზაყანოს" თავმჯდომარე**

*რედაქციისგან: ჩვენ თითქმის უცვლელად დავბეჭდეთ ბატონ მურმან ყოლბაიას წერილი. ვიტოვებთ უფლებას, ასევე უცვლელად გამოვაქვეყნოთ ბატონ პაატა დავითაიას პასუხიც, თუ ის შეპასუხებას მოინდომებს.*

● ეს უჩვეულო აგებულების წიგნია — ავტორის მიერ „ცხელ კვალზე“ დღიურებად ჩაწერილი ყველა ის მოვლენა, რომლის თვითმხილველიცა და მომსწრეც თვითონ იყო




# იმ დღეთა პირუთვნელად აღმწერი

**მკითხველმა მიიღო ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის ყოფილი დეკანისა და რუსეთის ისტორიის კათედრის ყოფილი გამგის, პროფესორ მერაბ ვაჩნაძის ძალზე ორიგინალური ნაშრომი „ისტორიკოსის ჩანაწერები“ (რედაქტორი — პროფესორი ვახტანგ გურული)**

ეს უჩვეულო აგებულების წიგნია. — ავტორის მიერ „ცხელ კვალზე“ დღიურებად ჩაწერილი ყველა ის მოვლენა, რომლის თვითმხილველიცა და მომსწრეც თვითონ იყო.

ბატონი მერაბი გვამცნობს, რომ ამ ჩანაწერების გაკეთება მისთვის — მაშინ უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილისთვის — 1989 წლის აპრილში უთხოვია შესანიშნავ ისტორიკოსს, აწ გარდაცვლილ პროფესორ უშანგ სიდამონიძეს. 1989 წლის აპრილის მოვლენებში განსაკუთრებულ როლს ისტორიისა და ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები ასრულებდნენ — ჩანაწერები უნდა გაეკეთებინა იმავე დღეს, როგორც კი უნივერსიტეტში რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდებოდა. ბატონმა უშანგმა სინანულით მითხრა, კვლავ ისეთ შეცდომას ნუ დავუშვებთ — 1956 წლის 9 მარტის შესახებ ჩანაწერები მხოლოდ პროფესორ ნოდარ ნათაძეს რომ აქვსო, იგონებს მ. ვაჩნაძე.

მომხდარ ამბავთა კვალდაკვალ ჩაწერილი ეს დღიურები ძალზე ემოციურია. ბევრ მოვლენას, მათში მონაწილე ადამიანების პოზიციას ავტორი დღეს შეიძლება სხვაგვარად აფასებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, შინაარსისა და სტილის შეუცვლელად, „შეუფერადებლად“ აქვეყნებს მაშინდელ ჩანაწერებს, როცა მხოლოდ და მხოლოდ იმას, წერდა, რასაც ფიქრობდა.

„ისტორიკოსის ჩანაწერები“ (1989-2006 წ.წ.) სამ ნაწილად გამოდის. ეს წიგნი ტრილოგიის პირველი ნაწილია (1989-1993 წ.წ.). იწყება 1989 წლის 9 აპრილის ტრაგიკული მოვლენების აღწერით და მთავრდება ასევე ტრაგიკული მოვლენით — პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დაღუპვით.

ეს პერიოდი ურთულესი და ნიშანსვეტური იყო საქართველოს უახლეს ისტორიაში.

კინოკადრებივით ჩაგვივლის ავტორის დაკვირვებული თვალით დანახული მოვლენები: 1989 წლის 8-9 აპრილი და მომდევნო მოელვარე დღეები, 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი, 26 მაისის საპრეზიდენტო არჩევნები, 19-21 აგვისტოს მოსკოვის პუტჩის შემდგომი დღეები, განხეთქილება უზენაეს საბჭოში, გვარდიის ერთი ნაწილის განდგომა, საბედისწერო დაპირისპირება, თანდათანობით სვლა 22 დეკემბერ-6 იანვრის სამარცხვინო, სისხლიანი მოვლენებისკენ, ომი თბილისში, სამხედრო საბჭო, ედუარდ შევარდნაძის ჩამოსვლა, სახელმწიფო საბჭო, ომი აფხაზეთში, დამარცხება, სამოქალაქო ომი, ზვიად გამსახურდიას დაღუპვა...

ეს წიგნი შეულამაზებელი ხედვა, აღწერაა იმ ამბებისა, რომელთაგანაც ბევრი რამ უკვე გაფერმკრთალდა, გაბუნდოვნდა ან სულაც დავიწყებას მიეცა და შემდეგ, წლების მილმა, შეიძლება სულ სხვაგვარად წარმოჩნდეს მონაწილეთა მოგონებებსა და მემუარებში. დღიურები ამით უგებს ათწლეულების შემდეგ, შესუსტებულ მეხსიერებაზე დაყრდნობით აღწერილს...

ისე რომ, მერაბ ვაჩნაძის ეს წიგნი ისტორიკოსთათვის მშვენიერი, მდიდარი წყაროა იმ მოვლენების პირუთვნელად შესაფასებლად.

ველით მეორე და მესამე ნაწილებს.

**სანდრო ალექსიძე.**

## ◉ წიგნის თარო




**ახლახან წიგნის თაროს შეემატა გურამ შენგელიასა და თეიმურაზ ზურმუხტაშვილის მეცნიერულ-პოპულარული ნაშრომი „მე საქართველოს გენერალი ვარ...“, რომელიც გამოჩენილი ქართველი მხედართმთავრის, გენერალ გიორგი ივანეს ძე მაზნიაშვილის ცხოვრებასა და სამხედრო-პატრიოტულ მოღვაწეობას ეხება (რედაქტორია პროფესორი ავთანდილ სონღულაშვილი, გამომცემელი — „პირამიდა +4“)**

# სახელითა ქმნა სახელი

## გენერალ გიორგი მაზნიაშვილის ცხოვრება და მარტვილობა

ქედუხრელი გენერლის ბიოგრაფიული მასალების უმეტესობა, სამწუხაროდ, ომისა და განუკითხაობის ხანძარმა შთანთქა, რის გამოც საქართველოს არქივებში მეტად მწირი ცნობებია დაცული ქართული სამხედრო ინტელიგენციის ამ გამოჩენილი წარმომადგენლის შესახებ. ავტორებს შესაშური გულმოდგინებით, სულ „მარცვალ-მარცვალ“ უგროვებიათ ისინი საარქივო დეპარტამენტის საცავებში და წიგნად აკინძული წარმოუდგენიათ მკითხველის სამსჯავროზე.

კასპის რაიონის სოფელ სასირეთში 1870 წელს დაბადებული გიორგი მაზნიაშვილი, როგორც პროფესიონალი სამხედრო, რუსეთის იმპერიის ერთ-ერთი საუკეთესო გენერალი იყო. მან თავი ისახელა რუსეთ-იაპონიისა და პირველ მსოფლიო ომებში. პეტროგრადის ლაზარეთში მყოფი ვარშავასთან დაჭრილი გენერალი პირადად იმპერატორმა ნიკოლოზ II-მ ინახულა და ფრონტზე გამოჩენილი მამაცობისათვის წმინდა გიორგის ჯვრით დააჯილდოვა.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ გენერალი სამშობლოში დაბრუნდა და თანამოაზრეებთან ერთად ენერგიული საქმიანობა დაიწყო ქართული ჯარის შესაქმნელად.

1917 წ. დეკემბერში ქართველ ოფიცერთა ძალისხმევით, გიორგი მაზნიაშვილის ფასდაუდებელი დამსახურებით, მოხერხდა ის, რომ თურქეთის ფრონტიდან უწესრიგოდ დაბრუნებულ ჯარისკაცთა ბობოქარი მასა თბილისის გაუვლელად გაგზავნეს რუსეთში და დედაქალაქი ოკუპაციისგან იხსნეს.

გენერალმა მაზნიაშვილმა დიდი მუშაობა გასწია ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ძალით ბათუმში, ბათუმის ოლქში (ანუ მთელ აჭარაში) და ოზურგეთში შემოსული თურქი ოკუპანტების განსადევნად და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად.

განუზომელია მისი დამსახურება ბოლშევიკების მოსალოდნელი აგრესიისგან აფხაზეთის დაცვაში. გენერალი მაზნიაშვილი დაინიშნა აფხაზეთის გენერალ-გუბერნატორად და შავი ზღვის სანაპირო ჯარების უფროსად. მან ბრძოლებით განვლო სოჭის, ტუაფსეს რაიონები. (თუმცა მთავრობამ ვერ გამოიყენა ყუბანის ველზე გაჭრილი ქართველი ოფიცრებისა და ჯარისკაცების გმირობა, პატივი ვერ მიაგო სასახელო რაინდებს.)

პატრიოტ გენერალს ყოველთვის „ცხელ წერტილებში“ აგზავნიდნენ, იქ, სადაც სამშობლოს ყველაზე მეტად უჭირდა. 1918 წ. ოქტომბერში გიორგი მაზნიაშვილი თბილისის ოლქის გენერალ-გუბერნატორად ინიშნება, დეკემბერში კი — სომხეთის წინააღმდეგ მოქმედი ჯარის სარდლად. ეს ომი, რომელიც სომხეთმა ქართული ტერიტორიებისადმი უსაფუძვლო პრეტენზიების გამო დაიწყო, მან გამარჯვებით დააგვირგვინა.

როცა ქართულ სახელმწიფოს სერიოზული პრობლემები შეექმნა სამცხე-ჯავახეთში, სადაც რენეგატთა ჯგუფმა ჯაყელთა გვარის დეგრადირებული შთამომავლის სერვერ-ბეგ ათაბაგის მეთაურობით ამ მხარის საქართველოდან ჩამოშორება სცადა, მაზნიაშვილი ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა, მას დაექვემდებარა ყველა სამხედრო და სამოქალაქო პირი და დაწესებულება, იქ დისლოცირებული სასაზღვრო ძალებიც. გენერალმა გადამჭრელი ზომები მიიღო სეპარატისტული დაჯგუფებების ასალაგმავად.

წითელი რუსეთისგან მოახლოებული რეალური საფრთხის პირობებში გენერალ მაზნიაშვილს თბილისის რაიონისა და ქალაქის გარნიზონის უფროსის მოვალეობა დააკისრეს. 1921 წლის თებერვალში სოღანლუღის დაჯგუფების სარდალია, დედაქალაქს ამ მხრიდან იცავს. მის მიერ განხორციელებული შეტევის შედეგად დატყვევებული 1600 „წითელი“ მებრძოლი რუსთაველის პროსპექტზე ჩაატარეს.

საქართველო ბოლშევიკური არმიების რკალში მოექცა. XI არმია — აზერბაიჯანიდან, VIII, IX და XIII არმიები ჩრდილო კავკასიიდან თითქმის ერთდროულად დაიძრნენ საქართველოს დასაპყრობად... საქართველო მარცხდება. მთავრობა საზღვარგარეთ გარბის. სისხლისგან დაწრეტილი ქვეყანა თურქების შესაძლო შემოჭრის საფრთხის წინაშე დგას. ბათუმში უკვე დათარეშობენ თურქი ასკერები. „გენერალი მაზნიაშვილი დათანხმდა ბოლშევიკური რევკომის წინადადებას, მის განკარგულებაში მყოფი ძალებით გაენთავისუფლებინა ქალაქი თურქებისაგან. ქართულმა ჯარმა მისი სარდლობით გააფთრებული ბრძოლების შემდეგ ქალაქი დაიკავა. გენერალმა მაზნიაშვილმა, რომელმაც უზადოდ ჩაატარა ბათუმის თურქებისგან განთავისუფლების ოპერაცია, კიდევ ერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერა თავის მხედრულ ბიოგრაფიაში.

ემიგრაციაში არ წასულა. მან ამაყად და მოსწრებულად უპასუხა სერგო ორჯონიკიძეს, რომელმაც დანაშაულად ჩაუთვალა მენშევიკურ მთავრობასთან თანამშრომლობა: „მე არც მენშევიკების გენერალი ვარ და არც ბოლშევიკებისა, მე საქართველოს გენერალი ვარ!“ ერთხანს, 1921 წლის აპრილ-ივლისში, ქართული წითელი არმიის დივიზიის მეთაურად დაინიშნა, შემდეგ — წითელი არმიის ინსპექციის ქვეითი ჯარის ინსპექტორად. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებამ არად ჩააგდო მისი ღვაწლი ქართული შეიარაღებული ძალების აღმშენებლობის საქმეში, მისი დიდი დამსახურება ერისა და ქვეყნის წინაშე და დააპატიმრა. საბოლოოდ, 1923 წ. მაისში, სიკვდილით დასჯა „საქართველოს საზღვრებიდან 5 წლით გაძევებით“ შეუცვალეს.

ერთხანს პარიზში ცხოვრობდა, სადაც ბედმა მორიგი განსაცდელი მოუვლინა: 1924 წლის აჯანყების გაცემა დააბრალეს. მაგრამ ბილწი ცილისწამების გაბათილება შეძლო.

გაჭირვებამ და მისი პიროვნებისა და პატიოსნების აბუჩად აგდებამ აიძულა საბჭოთა მთავრობისთვის მისი გაძევების ვადის შემოკლება ეთხოვა.

მაგრამ სამშობლოში დაბრუნებულს მუდამ ეჭვის თვალით უცქერდნენ. არც სამსახური შესთავაზეს და არც პენსია დაუნიშნეს. მებრძოლი გენერალი. სოფელში თავისი ხელით მოწეული ჭირნახულით ინახავდა ოჯახს.

1937 წელს ხელახლა დააპატიმრეს და დახვრიტეს. გამოჩენილმა მხედართმთავარმა, რომელმაც, „სახელითა ქმნა სახელი“ (ვახტანგ VIძ, მრავალი მამულიშვილის ტრაგიკული ბედი გაიზიარა .

გ. შენგელიასა და თ. ზურმუხტაშვილის წიგნი თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ გენერალ მაზნიაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა სანიმუშო მაგალითად უნდა იქცეს ყველასთვის, ვისაც სამშობლოსთვის უძგერს გული. ქართველი ახალგაზრდობა ჯეროვნად უნდა აცნობიერებდეს, რომ „წარსულის სიდიადეს მოწყვეტილი თაობა ღირსეულს ვერაფერს შექმნის“ (თამაზ ბიბილურიძ, რომ „დადებითი და მისაბაძი ის კაცი შეიძლება იყოს, ვისაც მაღალი ზნეობრივი იდეალებისთვის გოლგოთაზე შეუძლია ასვლა, ვისაც ხელეწიფება ჯვარი იტვირთოს და მარტოდმარტო ზიდოს სიკვდილის კარამდე“ (აკაკი ბაქრაძეძ.

სწორედ ასეთი კაცი იყო გენერალი გიორგი მაზნიაშვილი. ამიტომ არის იგი „დადებითი და მისაბაძი“... მადლობა ამ მომცრო წიგნის ავტორებს გურამ შენგელიასა და თემურ ზურმუხტაშვილს, რომ მკითხველს ასე თვალნათლივ წარმოუჩინეს ზნეობრივი გმირი, საქართველოს გენერალი გიორგი მაზნიაშვილი.

**სერგო ვარდოსანიძე,**

**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.**

● თავდაცვის მინისტრის მოადგილე ნიკოლეიშვილმა ისე რიხიანად განაცხადა, ბალაფშის ნათქვამი აბსურდი, მომდევნო ნაბოდვარიაო, თითქოს ბალაფში მისი „დენშჩიკი“ ყოფილიყო და სეპარატისტული აფხაზეთი საქართველოს ნებართვის გარეშე სუნთქვასაც ვერა ბედავდეს



◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება პოლიტიკოსების პრეროგატივაა

**ამ ბოლო ხანებში „გაყინული“ კონფლიქტების ხელოვნურად „გალღობის“ პროცესებმა ძალზე აქტუალური გახადა პოსტსაბჭოურ სივრცეში მშვიდობისმყოფლობის პრობლემა. ერთი მხრივ, რუსეთის სამშვიდობო ოპერაციები აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთსა და დნესტრისპირეთში წარმატებულად ითვლება, რომელთა წყალობითაც მოხერხდა არა მარტო შეიარაღებული კონფლიქტების შეწყვეტა, არამედ ლტოლვილთა თუნდაც ნაწილობრივი დაბრუნების უზრუნველყოფა, შემცირდა კრიმინოგენული საფრთხე, გაიოლდა ინფრასტრუქტურის აღდგენა. მეორე მხრივ კი სულ უფრო ხშირად გაისმის უკმაყოფილება საქართველოს და მოლდავეთის, აგრეთვე დასავლეთის მთელი რიგი ქვეყნების მხრიდან, რომლებიც გამოთქვამენ პრეტენზიას იმის გამო, რომ არ შეინიშნება რაიმე პროგრესი „ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის“ საქმეში.**

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ტერიტორიაზე სამშვიდობო ოპერაციების ფორმატის გადასინჯვის მცდელობა გამოვლინდა სუამის სამშვიდობო ბატალიონის ფორმირების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებით და უკრაინის პრეზიდენტის ვიქტორ იუშჩენკოს მიერ გაკეთებული არაერთი განცხადებით, რომელიც აღნიშნავდა, რომ კიევი მზად არის გაგზავნოს ჯარები კავკასიის კონფლიქტურ ზონებში, ასევე გაეროს გენერალური ასამბლეის 61-ე სესიაზე მიღებული რეზოლუციებით.

ამ საკითხში ყველაზე აქტიური პოზიცია უკავია საქართველოს, რომელიც, ქვეყნის პარლამენტის 2005 წლის 11 ოქტომბრის და 2006 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილებების თანახმად, მოითხოვს რუსეთის სამშვიდობო ოპერაციის რაც შეიძლება სწრაფად შეწყვეტას და რუსი სამშვიდობოების საერთაშორისო პოლიციური ძალებით შეცვლას.

არის კიდევ ერთი მიზეზი, რომელიც აღვივებს პოსტსაბჭოურ სივრცეში მშვიდობისმყოფლობისადმი ინტერესს. ეუთოს მინსკის ჯგუფის მიერ 2006 წელს შემუშავებული მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოწესრიგების გეგმის მიხედვით, სომხეთის კონტროლს დაქვემდებარებული აზერბაიჯანის ტერიტორიიდან სომხეთის ჯარების გაყვანის შემდეგ, იქ გათვალისწინებულია საერთაშორისო ძალების შეყვანა, რომლებიც უზრუნველყოფენ მთიან ყარაბაღსა და სომხეთს შორის დერეფნის ფუნქციონირებას. შესაბამისად, იბადება კითხვა: როგორი მანდატით იმოქმედებენ ეს ძალები და რომელი ქვეყნები გაგზავნიან მასში მონაწილეობისთვის სამხედრო მოსამსახურეებს? ბუნებრივია, რომ ბევრს არ სურს იქ რუსი სამშვიდობოების ხილვა.

სამშვიდობოების შეცვლა და სამშვიდობო ოპერაციის ინტერნაციონალიზაცია თბილისის იდეაფიქსი გახდა. თუ რუსების ნაცვლად მეამბოხე რეგიონებში დადგებიან ნატოელი სამშვიდობოები და მათი პარტნიორები სუამიდან, პასუხისმგებლობის ზონა კი გაფართოვდება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მთელ ტერიტორიაზე, ეს საქართველოს მისცემს იმის შანსს, რომ სხვისი დახმარებით აღადგინოს კონტროლი ურჩ ავტონომიებზე. ვფიქრობთ, რომ დნესტრისპირეთის პრობლემის გადაწყვეტაში ასეთივე მხარდაჭერის იმედი უნდა ჰქონდეს კიშინიოვსაც.

ნიშანდობლივია, რომ 2006 წლის ზაფხულის დამლევისა და შემოდგომის დამდეგის პერიოდში საგრძნობლად შეიცვალა შეერთებული შტატების მიდგომა ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების დარეგულირებისადმი. სენატორებმა რიჩარდ ლუგარმა და ჯონ მაკკეინმა, რომლებიც 2006 წლის აგვისტოს დამლევს იმყოფებოდნენ თბილისში, მხარი დაუჭირეს საქართველოდან რუსი სამშვიდობოების გაყვანას და მათ ჩანაცვლებას „ნეიტრალური ძალით“. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამერიკაში ზოგიერთმა გავლენიანმა წრეებმა ასეთი გადაწყვეტილების მიღებით წააქეზეს სააკაშვილი დაეწყო ქართულ-აფხაზური კონფლიქტის „გალღობა“. გარდა ამისა, ეუთოში შეერთებული შტატების მისიის მიერ 2006 წლის 12 აგვისტოს გაკეთებულ განცხადებაში ხაზგასმულია, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე უნდა განლაგდეს „პოლიციის საერთაშორისო სამოქალაქო ძალები“. როგორც ამ დოკუმენტშია აღნიშნული, „შეერთებული შტატები უკვე გარკვეული პერიოდის მანძილზე მხარს უჭერს ასეთი ზომების მიღებას“.

2006 წლის ივლისის დამლევსა და აგვისტოს დამდეგს საქართველოში ვიზიტის დროს, შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილემ ევროპისა და ევრაზიის საკითხებში მეთიუ ბრაიზამ განაცხადა, რომ „საჭიროა საერთაშორისო საპოლიციო შენაერთების განლაგება და, შესაძლოა, არა იმდენად კოდორის ხეობაში, რამდენადაც გალის რაიონში, სადაც არსებობს ანალოგიური პრობლემები კრიმინალური ვითარების თვალსაზრისით, რომლებიც უშლიან ხელს ადგილნაცვალი პირების მშობლიურ კერებში დაბრუნებას“.

თუმცა, ბრაიზამ დააზუსტა: საერთაშორისო პოლიციური ძალები დაემატებიან რუს სამშვიდობოებს, რომლებსაც არ აქვთ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის მანდატიო.

აშკარაა, რომ საქართველოს ხელისუფლება, რომელსაც მხარს უჭერენ ამერიკის ხელმძღვანელობაში საკმაოდ გავლენიანი წრეები, დაადგა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რუსი სამშვიდობოების ყოფნის ლიკვიდაციის კურსს. არ არის გამორიცხული, რომ 2006 წლის ზაფხულში კოდორის ხეობაში განხორციელებული ღონისძიება იყო მხოლოდ კარგად დადგმული გენერალური რეპეტიცია. სამომავლოდ, თბილისისათვის ახალი სამიზნეები შეიძლება გახდეს ენგურჰესის სამართავი პუნქტი ან გალის რაიონის ქვედა ზონა.

ქართული მხარის მიერ გალის რაიონში ძალისმიერი ოპერაციის განხორციელებისა და რუსი სამშვიდობოების უმოქმედობის შემთხვევაში, გარდუვალი იქნება ქართულ-აფხაზური შეიარაღებული შეტაკება, რასაც უთუოდ გამოიყენებენ რუსეთის სამშვიდობო ოპერაციის დისკრედიტაციის მიზნით. და მაინც, დსთ-ს სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოს მიერ მიღებული სამშვიდობოთა მანდატის თანახმად, მათ უნდა უზრუნველყონ „ცეცხლის შეწყვეტის მკაცრად დაცვა, კონფლიქტის ზონაში მშვიდობის დამყარება და იქ საომარი მოქმედების განუახლებლობის თავიდან აცილება დაპირისპირებული შეიარაღებული ფორმირებების დაშორიშორების გზით“. ამრიგად, სამშვიდობოთა მანდატი მათ აძლევს იარაღის გამოყენების საშუალებას არა მარტო თავდაცვის, არამედ დაპირისპირებული მხარეების შეიარაღებული ფორმირებების დაშორიშორების, რომელიმე მხარის მიერ შეიარაღებულ გამოხდომათა აღკვეთის, მოსახლეობის უშიშროების უზრუნველყოფის მიზნითაც. პრინციპში, ეს არის „მშვიდობისადმი იძულება“.

არსებობს სხვა პრობლემაც. ამჟამად მიმდინარეობს მომავალი სამშვიდობო ოპერაციების პარამეტრების შემუშავება, ამასთან, თვით მშვიდობისმყოფლობის ცნება მისი კლასიკური გაგებით, თანდათანობით გადადის საერთაშორისო სამართლის მეორე პლანზე. სამშვიდობო ოპერაციებში სულ უფრო მკაფიოდ იკვეთება ძალის გამოყენებით მშვიდობის დამყარების იძულების, „ერთგულ“ რეჟიმებზე დაყრდნობით და „ორგული“ რეჟიმების დისკრედიტაციის გზით მსოფლიოს პასუხისმგებლობის ზონებად დაყოფის ტენდენცია. ეგრეთ წოდებული „ძალის გამოყენების უფლება“ სულ უფრო მეტად იჩენს თავს საერთაშორისო უშიშროების უზრუნველყოფის საქმეში. ყოველივე ეს კი უთხრის ძირს მსოფლიო გაერთიანების უაღრესად მნიშვნელოვან ფუნქციას, რომელიც გულისხმობს კონფლიქტის ზონებში მშვიდობის უზრუნველყოფის ორგანიზებას.

**ალექსანდრე სკაკოვი, თამარ გუზენკოვა**

НЕЗАВИСИМАЯ

◎ ცივი ომის კონტურები

# ახალი „ანტანტა“ - აშშ, საქართველო, უკრაინა

## ბალაფში მოსკოვს ოფიციალურად იწვევს სოხუმში

**რამდენიმე დღის წინათ აფხაზეთში სამდღიანი მასშტაბური სამხედრო წვრთნები დასრულდა. მასში რუსული ავიაცია და ორივე მხარის უშიშროების სამსახურები მონაწილეობდნენ. ეს პირველად იყო, რომ სეპარატისტულ აფხაზეთში ასე აშკარად გამოჩნდა რუსული საჰაერო ძალები. მანამდე რუსეთი ჭიპზე სკდებოდა, ჩვენი თვითმფრინავების ჭაჭანება არ არის აფხაზეთშიო. წვრთნა რომ დამთავრდა, დე ფაქტო ხელისუფლებამ მოსკოვიდან ჩასულ სპეციალურ დელეგაციას პიონერულად უპატაკა, მზად ვართ მარადო.**

რატომ მიიჩნია ამჯერად რუსეთმა საჭიროდ ასე აგდებულად არაფრად ჩაეგდო ვისიმე აზრი და თავისი ჭუჭყიანი სარეცხი გამოეფინა? ანუ განეცხადებინა ის, რასაც, მრავალი ფაქტის მიუხედავად, აქამდე ასე კერპად უარყოფდა?

ამას რამდენიმე მოვლენა უძღოდა წინ: აშშ აღმოსავლეთ ევროპაში, კერძოდ, ჩეხეთსა და პოლონეთში, რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განლაგებას აპირებს. ჩეხეთი ამას უკვე დაყაბულდა. დაბეჯითებით ამბობენ, იგივე სისტემები საქართველოშიც უნდა დაიდგასო.

მანამდე ამერიკის კონგრესმა დაამტკიცა საქართველოს, უკრაინის, ხორვატიის, მაკედონიისა და ალბანეთის ნატოში შესაძლო მიღების კანონპროექტი. იგი სენატმაც მოიწონა და საქართველოს მოსამზადებლად კანდიდატ ქვეყნებზე ბევრად მეტი — 10 მილიონი დოლარი გამოეყო.

ნატოს ასე გაქანებით შეშფოთებულმა პუტინმა ბუშს დაურეკა. რუსეთი ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებსა და აღმოსავლეთ ევროპასაც, ანუ ყოფილ ე. წ. სოციალისტური ბანაკის ქვეყნებს, კვლავ თავის საბატონოდ მიიჩნევს. ბუშმა „დაარწმუნა“ კოლეგა, ჩეხეთსა და სხვაგანაც რაკეტსაწინააღმდეგო სისტემებს ამ არეალების ირანისა და ჩრდილოეთ კორეის შესაძლო აგრესიისაგან დასაცავად ვამონტაჟებთო. მოსკოვმაც იმდენად „დაუჯერა“ ვაშინგტონს, რომ მყისვე ბალაფში დაარჭო მიკროფონებთან და „ალალადა“, თუ აშშ ჩვენს მეზობელ (!ძ საქართველოში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემებს განალაგებს, უმორჩილესად ვთხოვთ რუსეთს, სოხუმში მისი ანალოგები დაამონტაჟოსო (მიკვირს, კოკოითიც რომ არ მიუსკუპეს გვერდზე; ბევრჯერ ნათქვამიც გაიმეორა, საქართველოს თუ ნატოში უნდა, ნება მისია, ჩვენ იქ არა გვესაქმება რაო. ამ ფონზე რუსეთის სახელმწიფო დუმის დეპუტატები ერთმანეთს აღარ აცდიდნენ აღშფოთების გამოხატვას სტრასბურგში ჩვენი სარჩელის შეტანის გამო და დანანებით აქნევდნენ თავს, ძლივს „მობოშებულ“ ურთიერთობას ეს ხომ კვლავ დაძაბავსო.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომაც განაცხადა, საქართველოს ხელისუფლება მოეშვას მარიონეტ სანაკოევთან ტაკიმასხარაობას, უმჯობესია, კოკოითთან გამონახოს საერთო ენაო. ვითომც კოკოითი „მირონცხებული“ იყოს და არა რუსეთის ლაქია. მოსკოვში კი საქართველოს საელჩოს წინ თხუთმეტიოდე ლაწირაკი ე. წ. პუტინის ფანი შეიკრიბა არასანქცირებულ მიტინგზე და „ჭკუა დაგვარიგა“. მათ ბუშისა და სააკაშვილის პორტრეტებით „დამშვენებული“ ნარინჯისფერი მაისურები ეცვათ. თურმე შეიკრა ახალი „ანტანტა“ — აშშ, საქართველო, უკრაინა.

სწორედ ბუშისა და პუტინის სატელეფონო საუბრის მერე იყო, რომ კონდოლიზა რაისის თანაშემწემ ფრიმანმა წყალი გადაგვიწურა, საქართველოს ნატოში შესვლაზე ლაპარაკი ძალზე (!ძ ნაადრევიაო. ალბათ, აშშ-ში იფიქრეს, ემანდ, გადავამლაშეთო და ერთბაშად ორი მანუგეშებელი — იგივე რაისის მეორე მოადგილე ბრაიზა და ნატოს სპეციალური წარმომადგენელი მოგვაშველეს. მათ, ასე თუ ისე, შეარბილეს ფრიმანის „ნოკაუტი“.

სეპარატისტულ აფხაზეთში კი, როგორც ითქვა, სამხედრო წვრთნები გაიმართა. რუსეთმა პირველად მიიღო მათში აშკარა მონაწილეობა და მსოფლიოს კიდევ ერთხელ ცინიკურად დაანახვა, ვინც იყო „ამ სასტუმროს დირექტორი“. მოსკოვი არც აღმოსავლეთ ევროპას დათმობს, ან მის სანაცვლოდ კარგა გვარიან კომპენსაციას მოითხოვს და, ვაითუ, ეს „კომპენსაცია“ სწორედ ჩვენ ვიყოთ.

რუსეთმა მრავალჯერ დაამტკიცა, რომ საქმე ძალაზე თუ მიდგა, ქვას გახეთქავს და თავისას მაინც გაიტანს. ასევე ატანინებს თავისას სეპარატისტულ რეჟიმებს. ბალაფშიც გამიზნულად დაასკუპა ტელეკამერების წინ.

გელა ბეჟუაშვილმა დე ფაქტო პრეზიდენტის განცხადებაზე კომენტარიც კი ღირსების შელახვად მიიჩნია, რასაც ეგ დააბრეხვებს, ყველაფერზე თუ ყური შევიბერტყეო... თავდაცვის მინისტრის მოადგილე ნიკოლეიშვილმა ისე რიხიანად განაცხადა, ბალაფშის ნათქვამი აბსურდი, მომდევნო ნაბოდვარიაო, თითქოს ბალაფში მისი „დენშჩიკი“ ყოფილიყო და სეპარატისტული აფხაზეთი საქართველოს ნებართვის გარეშე სუნთქვასაც ვერა ბედავდეს. სწორედ იმათი წისქვილი ფქვავს თავისას, თუ ფქვავს, ჩვენი ყველა უძალო შეძახილისა თუ ფარატინა ქაღალდად ქცეული ყველა საერთაშორისო ორგანიზაციის ოფიციალური დოკუმენტის აბუჩად ამგდებლად. საერთაშორისო ვითარება ლარივით სულ უფრო და უფრო იჭიმება. თუ დაძაბულობა არ შენელდა, ლარი, როცა იქნება, აუცილებლად გაწყდება და მისი ერთი ბოლო, შესაძლოა, ყველაზე მწარედ ჩვენ მოგვხვდეს.

აგერ, მოსკოვმა ოფიციალურად უარყო ინფორმაცია, ვითომც, თუ აშშ უშუალოდ რუსეთის საზღვრებთან რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განლაგებაზე უარს იტყოდა, მაშინ ერთობლივ ჰაერსაწინააღმდეგო სისტემებს შექმნიდნენ და ამაზე ოფიციალურად 19 აპრილს ბრიუსელში იმსჯელებდნენ. ამერიკასა და რუსეთის ინტერესები იმდენად დაპირისპირებულია, რომ ცივი ომი, ფაქტობრივად, დაწყებულია.

**კონსტანტინე გურგენიძე**

№ 59. სამშაბათი, 3 აპრილი, 2007 წელი.

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576

ინფორმაცია

## საქართველოში „ჰეროინი“ შემოიტანეს

სამართალდამცველებმა სარფში ნარკოტიკული ნივთიერება „ჰეროინის“ შემოტანის ფაქტზე საქართველოს მოქალაქე დააკავეს.

როგორც სასაზღვრო პოლიციიდან იტყობინებიან, დაკავების ოპერაცია ბათუმის სასაზღვრო-საიმიგრაციო კონტროლის განყოფილება „სარფში“ განხორციელდა.

მესაზღვრეებმა და სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა გატარებული ღონისძიების შედეგად, თურქეთიდან შემოსვლისას საქართველოს მოქალაქე დააკავეს, რომელსაც 10 გრამი ნარკოტიკული ნივთიერება „ჰეროინი“ შემოჰქონდა.

ინტერპრესნიუსი


## ყურადღება

2007 წლის 27 აპრილს, დღის 12 საათზე გაიმართება სააქციო საზოგადოება „ოქსინოს“ დამფუძნებელთა საერთო კრება.

დღის წესრიგი:

1. 2006 წლის საფინანსო-ეკონომიკური მაჩვენებლების განხილვა;
2. მიმდინარე საკითხები.

საალრიცხვო დღეა 6 აპრილი.

მისამართი: ქ. თბილისი, ბაღდადის ქ. №12. სს „ოქსინო“



## შეტყობინება

სააქციო საზოგადოება „ჩითახევი-ბორჯომის“ (იურიდიული მისამართი: 1210 ბორჯომის რ-ნი, სოფ. ჩითახევი) საერთო კრების ჩატარებისთვის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ საალრიცხვო თარიღად დადგენილია 2007 წლის 2 აპრილი.

კრების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი არიან:

ჩვეულებრივი აქციის მფლობელი აქციონერები, თუ ისინი რეგისტრირებულნი არიან საზოგადოების აქციონერთა რეესტრში 2007 წლის 2 აპრილის მდგომარეობით და საერთო კრებაზე წარმოადგენენ რეგისტრატორის მიერ დამოწმებულ აქციონერთა რეესტრიდან ამონაწერს და საკუთარი პირადობის მოწმობას.

აქციონერები კრებაზე მონაწილეობის მიღების უფლებას შეამოწმებენ სს „ჩითახევი-ბორჯომის“ რეგისტრატორთან შპს „კაპიტალ-რეგისტრთან“ შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №55, ტელ: 23-03-84.**

სამეთვალყურეო საბჭო



# შპს „საქართველოს რკინიგზა“ აცხადებს აუქციონს

## შპს „საქართველოს რკინიგზის“ ბალანსზე რიცხული ადმინისტრაციული შენობის 425 კვ.მ. ფართის, მასზე წილობრივად დამაგრებულ მიწასთან ერთად (შემდგომში „საიჯარო ქონება“) აუქციონის ფორმით იჯარით გაცემის მიზნით

*1. ძირითადი საინფორმაციო მონაცემები*

- **ქონების იურიდიული მისამართი –** ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი №15
- **საიჯარო ქონების დახასიათება:** ფართი განთავსებულია შენობის I და II სართულებზე, მათ შორის I სართულზე 231.83 კვ.მ, ხოლო II სართულზე 192.60 კვ.მ.
- **საწყისი თვიური საიჯარო ქირა** – 5730 აშშ დოლარის ეკვივალენტური თანხა ლარებში, დღგ-ს გარეშე.
- **„ბე“** – 5730 აშშ დოლარის ეკვივალენტური თანხა ლარებში.
- **ბიჯი** – 500 აშშ დოლარის ეკვივალენტური თანხა ლარებში.
- **საიჯარო ვადა** – **3** წელი.
- **ბილეთის ფასი** – 100 ლარი.
- **განაცხადების მიღების ადგილი –** ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი №15, შპს „საქართველოს რკინიგზის“ ადმინისტრაციული შენობა, მე-4 სართული, ტელ.: 56-33-48, 56-53-20, 56-65-10
- **განაცხადების მიღების ვადა** –2007 წლის 2 აპრილიდან 2007 წლის 17 აპრილამდე, აუქციონის ჩატარების დღემდე 10.00 საათიდან 18.00 საათამდე, ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 10.00 საათიდან 12.00 საათამდე.
- **აუქციონის ჩატარების თარიღი, ადგილი და დრო –** 2007 წლის 17 აპრილი ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი №15, შპს „საქართველოს რკინიგზის“ ადმინისტრაციული შენობა, 14.00 საათი. იმ შემთხვევაში, როდესაც აუქციონის ჩატარების დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს, 12.00 საათზე, ხოლო აუქციონი ჩატარდება ამავე დღის 14.00 საათზე
- **შპს „საქართველოს რკინიგზის“ საბანკო რეკვიზიტები –** „ბანკი რესპუბლიკა“, ცენტრალური ფილიალი, ა/ა №3407003205, ბანკის კოდი №220101757, საიდენტიფიკაციო კოდი №202886010.
- **აუქციონის მონაწილეობის მიღება შეუძლიათ –** საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

*აუქციონის პირობები*

- მოიჯარის მიერ საიჯარო ქირის ყოველთვიურად გადახდა.
- მოიჯარის მიერ ქონების, კომუნალური და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გადასახადების, აგრეთვე საიჯარო ქონების დაცვის ხარჯების დროულად და სრულად გადახდა.
- მოიჯარემ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უნდა დაიცვას ტექნიკური უსაფრთხოების, ხანძარსაწინააღმდეგო და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები, უზრუნველყოს საიჯარო ქონების მოვლა-პატრონობა.
- იჯარის ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ საიჯარო ქონება უბრუნდება შპს „საქართველოს რკინიგზას“ ნორმალური ფუნქციონირებისათვის ვარგის მდგომარეობაში. ამასთან, საიჯარო ქონების ექსპლოატაციისას დახარჯული თანხები მოიჯარეს არ აუნაზღაურდება.
- იჯარის ხელშეკრულების ვადამდე მოშლის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის №1-1/209 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გადაცემის წესის შესახებ“ დებულების მე-5 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული პირობის დადგომა.

*3. საუკეთესო წინადადებების გამოვლენის კრიტერიუმები*

- საუკეთესო წინადადების გამოვლენის კრიტერიუმია მაქსიმალური საწყისი საიჯარო ქირის შემოთავაზება, რომელიც უნდა აღემატებოდეს გამოცხადებულ საწყის საიჯარო ქირას და აუქციონის პირობების სრულად დაკმაყოფილება

*4. აუქციონის შედეგების ოქმის შედგენა, დამტკიცება და იჯარის ხელშეკრულების დადება*

- სააუქციონო ვაჭრობის დამთავრების შემდეგ დგება აუქციონის შედეგების ოქმი, რომელშიც აისახება ვაჭრობის მსვლელობა და შედეგები. ოქმს ხელს აწერს აუქციონში გამარჯვებული, მეაუქციონე, მდივანი, კომისიის დამსწრე წევრები და სააუქციონო კომისიის თავმჯდომარე. აუქციონის შედეგების ოქმზე ხელმოწერის უარის მთქმელ აუქციონში გამარჯვებულს ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და შეტანილი „ბე“ არ უბრუნდება.
- აუქციონის შედეგების ოქმი მტკიცდება შპს „საქართველოს რკინიგზის“ გენერალური დირექტორის ბრძანებით აუქციონის ჩატარების მომენტიდან 10 დღის ვადაში.
- აუქციონის შედეგების დამტკიცებიდან 20 კალენდარული დღის განმავლობაში გამარჯვებული მონაწილე ვალდებულია შპს „საქართველოს რკინიგზასთან“ გააფორმოს იჯარის ხელშეკრულება, რომელიც უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით. ხელშეკრულების ნოტარიულად დამოწმების და ამისათვის აუცილებელი საბუთების წარდგენის ხარჯებს ფარავს მოიჯარე. მოიჯარე ვალდებულია, ყოველ 6 თვეში ერთხელ, შპს „საქართველოს რკინიგზას“ წარუდგინოს ანგარიში იჯარის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების თაობაზე.
- სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში მოიჯარე იღებს გაფრთხილებას წერილობითი ფორმით, სადაც მიეთითება ვადა დარღვევის აღმასაფხვრელად. ამასთან, თუ მოიჯარე დაარღვევს საიჯარო ქირის გადახდის ვადებს, იგი ჯარიმდება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი საიჯარო ქირის 0,1%-ის ოდენობით (ჯარიმა მოიჯარეს ეკისრება წინასწარი გაფრთხილების გარეშე).
- თუ გაფრთხილებით გათვალისწინებულ ვადაში მოიჯარე არ აღმოფხვრის დარღვევას ან უარს განაცხადებს ჯარიმის გადახდაზე, შპს „საქართველოს რკინიგზას“ უფლება აქვს ცალმხრივად მოშალოს იჯარის ხელშეკრულება. ამ შემთხვევაში მოიჯარე ჰკარგავს გაწეული ხარჯებისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

*5. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტები*

- დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, განთავსების უფლების დასახელებას, რომლის გადაცემაც სურს მას, განთავსების უფლების გაცემის საფასურის საწყის ოდენობას და კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა მონაცემებს. განაცხადში უნდა აისახოს მონაწილის თანხმობა აუქციონის პირობების შესრულებაზე.
- „ბე“-ს და „მონაწილის ბილეთის“ ფასის გადახდის ქვითარი (გადაიხდება შპს „საქართველოს რკინიგზის“ ანგარიშსწორების ანგარიშზე, საზოგადოების საბანკო რეკვიზიტების მიხედვით).
- აუქციონში მონაწილე ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები ან ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.
- იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტების ნოტარიულად დამოწმებულ ასლებს.
- სააუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციისა და „მონაწილის ბილეთის“ შეძენის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს.

*6. შენიშვნები და დათქმები*

- თვიური საიჯარო ქირის ოდენობა, მეიჯარის მოთხოვნით, შეიძლება გადაიხედოს ყოველ 2 წელიწადში ერთხელ, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ორგანოს მიერ დადგენილი ეროვნული სამომხმარებლო ფასების ინდექსის მიხედვით, რისთვისაც ბაზისად აღებული იქნება იჯარის ხელშეკრულების გაფორმების დღე. ამასთან, საიჯარო ქირა არ შეიძლება შემცირდეს მოცემული აუქციონის პირობებით განსაზღვრულთან შედარებით.
- საიჯარო ქირის გადახდა ხორციელდება ანგარიშსწორების მომენტისათვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი სავალუტო კურსის მიხედვით.
- მოიჯარეს გადახდილი „ბე“ ჩაეთვლება ანგარისწორებისას.
- დადგენილი ვადის შემდეგ შემოსული განაცხადი არ მიიღება.
- განაცხადის შემოსვლის თარიღი განისაზღვრება მისი რეგისტრაციის თარიღით.
- მეიჯარეს უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეუფერხებლად დაათვალიეროს იჯარით გაცემული ქონება.

**საიჯარო ქონებისა და აუქციონის პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შპს „საქართველოს რკინიგზაში“.**

***შპს „საქართველოს რკინიგზა“***


№ 59. სამშაბათი, 3 აპრილი, 2007 წელი.

● ციხის ბუნტის ორგანიზებაში ბრალდებულებს თბილისის საქალაქო სასამართლომ განაჩენი გამოუტანა

№ 59. სამშაბათი, 3 აპრილი, 2007 წელი.

◎ ინფორმაცია

## პლატონ მამარდაშვილს 12 წლით პატიმრობა მიუსაჯეს

**ციხის ბუნტის ორგანიზებაში ბრალდებულებს თბილისის საქალაქო სასამართლომ განაჩენი გამოუტანა.**

საქალაქო სასამართლოს მოსამართლე მაია თეთრაულის გადაწყვეტილებით, განსასჯელ პლატონ მამარდაშვილს 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, ნიკოლოზ მახარაძეს



7-წლიანი პატიმრობა, მალხაზ ზედელაშვილს, ზურაბ ვიბლიანს, გიორგი ავალიანს და ლევან ცინდელიანს კი 6-6 წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდათ.

ბრალდების მხარემ პლატონ მამარდაშვილის მიმართ 17-წლიანი პატიმრობა, ზედელაშვილის მიმართ 7 წლით და ოთხი თვით, მახარაძის - 8 წლითა და 6 თვით, ლევან ცინდელიანის, გიორგი ავალიანის და ზურაბ ვიბლიანის მიმართ კი 7-7 წლით თავისუფლების აღკვეთა მოითხოვა. მოსამართლემ როგორც მამარდაშვილის, ისე დანარჩენი ბრალდებულების სასჯელის ზომა შეამცირა.

ყველა განსასჯელს ბრალად 2006 წლის 26 მარტს ციხეებში მომხდარი ბუნტის ორგანიზება ედებათ.

**ინტერპრესნიუსი**

2 აპრილი 2007 წელი

# განცხადება

## სატენდერო შეთავაზებით სს „ხაშურის მინის ტარას“ აქციათა სამართლიან ფასად ყიდვის თაობაზე

**სატენდერო შეთავაზებით სს „ხაშურის მინის ტარას“ აქციათა სამართლიან ფასად შეძენისათვის „გამოსყიდვის საალრიცხვო თარიღად“ დადგენილია 2007 წლის 3 ივნისი, რომლის მდგომარეობითაც არსებულ აქციათა ბენეფიციარ მესაკუთრეთაგან მოხდება მყიდველის მიერ აქციათა გამოსყიდვა.**

**გამოსყივდის პირობები და პროცედურები:**

● მყიდველი ფლობს სს „ხაშურის მინის ტარას“ მიერ გამოშვებულ 1995001 ცალ ჩვეულებრივ სახელობით აქციებს, რაც შეადგენს 72.76 პროცენტს და შემთავაზებელს სურს გამოისყიდოს 746948 ცალი ჩვეულებრივი აქციები, რომელიც არის 27.24 პროცენტი.

● შესყიდვა მოხდება სატენდერო შეთავაზების ვადის (62 დღეძ გასვლის შემდეგ (3.06.2007 წ-ს შემდეგძ და მხოლოდ მაშინ, თუ მყიდველი აღნიშნული რაოდენობის გაყიდვაზე მიიღებს თანხმობას.

●სს „ხაშურის მინის ტარას“ აქციების შესყიდვის თანხა შეადგენს ერთი ცალი აქციისთვის 1,29 (ერთი ლარი და 29 თეთრიძ ლარს.

● სს „ხაშურის მინის ტარას“ აქციონერთაგან გაყიდვაზე განაცხადების შეგროვებას განახორციელებს შპს „თიბისი ბროკერი“ (ლიცენზიის №20020. მისამართი: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 22, ტელ. 251644;

● მყიდველს უფლება აქვს გააუქმოს სატენდერო შეთავაზება, განცხადების გავრცელების ან შეთავაზების ვადის გასვლის შემდეგ, თუ მას აღარ სურს მოცემული ფასიანი ქაღალდების შესყიდვა ან არ იქნა მიღებული თანხმობები სასურველი რაოდენობის ფასიანი ქაღალდების გაყიდვაზე, ანდა აღარ სურს სატენდერო შეთავაზების გზით შესყიდვა.

●სატენდერო შეთავაზების რომელიმე პირობის შეცვლის შემთხვევაში გაკეთდება შეთავაზების განცხადების განახლებული ვერსია და დადგენილი წესით გავრცელება.

● სს „ხაშურის მინის ტარას“ 27.24 პროცენტის 746948 აქციის გაყიდვაზე თანხმობების სრული რაოდენობის არსებობის შემთხვევაში (თუ ყველა აქციონერი თანახმაა გაყიდვაზეძ შემთავაზებელი გამოისყიდის აქციათა მთელ რაოდენობას.

აქციონერებს, საქართველოს კანონის „მეწარმეთა შესახებ“ $53^2$ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გამოსყიდვის ანგარიშის გაცნობა შეუძლიათ დამოუკიდებელი რეგისტრატორი შპს „საქართველოს რეგისტრატორში“ (ლიცენზიის №70006ძ შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 74ა, ტელ. 225351 და საბროკერო კომპანია შპს „თიბისი ბროკერში“ (ლიცენზიის №20020ძ, შემდეგ მისამართზე: თბილისი, ჭავჭავაძის 22, ტ. 251644.

**შპს „ჰოლდინგი საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“**
**გენერალური დირექტორი**
**ზვიად კორძაძე**

№06/4-744

# დადგენილება

## საზოგადოების ლიკვიდატორის დანიშვნის შესახებ

21 თებერვალი, 2007 წელი ქ. თბილისი

**თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ქეთევან კუჭავამ განვიხილე შპს „ნოუ-ჰაუს“ დირექტორის განცხადება საზოგადოების ლიკვიდატორის დანიშვნის შესახებ.**

**დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:**

1. დაიწყოს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ნოუ-ჰაუს“ სალიკვიდაციო პროცესი.

2.შპს „ნოუ-ჰაუს“ ლიკვიდატორად რეგისტრირებულ იქნას:

ზვიად გადელია – (დაბ. 10.11.1977 წ. სოხუმი, პასპორტი №05 აა 22920, პირადი №62003003121 გაც. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ 14.03.2006 წ. მცხ: ქ. თბილისი, დიღმის მასივი, VI კვარტალი, მე-18 კორპუსი, ბინა №68ძ.

3. ლიკვიდატორის რეგისტრაციის შესახებ ეცნობოს თბილისის საგადასახადო ინსპექციას და სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტს.

**მოსამართლე ქ. კუჭავა**

№5/4-4035

# დადგენილება

## საზოგადოების ლიკვიდატორის დანიშვნის შესახებ

15 თებერვალი, 2007 წელი ქ. თბილისი

**თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ასმან კოხრეიძემ განვიხილე შპს „ტექექპრესსერვისი“-ის დამფუძნებლის და დირექტორის პაატა შარაშიძის განცხადება საზოგადოების ლიკვიდატორის დანიშვნის შესახებ.**

**დავადგინე:**

1. დაიწყოს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ტექექსპრესსერვისი“-ის სალიკვიდაციო პროცესი.

2. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ტექექსპრესსერვისი“-ის ლიკვიდატორად რეგისტრირებულ იქნეს:

ზვიად გადელია – დაბადებული 1977 წლის 10 ნოემბერს ქ.სოხუმში, მცხოვრები ქ. თბილისი, დიღმის მასივი VI კვარტალი, მე-18 კორპუსი, ბინა №68.

3. ლიკვიდატორის რეგისტრაციის შესახებ ეცნობოს საგადასახადო ინსპექციას და სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტს.

**მოსამართლე ასმათ კოხრეიძე**



სკანდალური გოლი

◎ ფეხბურთი

# მწარე ქართული რეალობა

**სანაკრებო ორომტრიალის შემდეგ განახლებულ ფეხბურთელთა XVIII ეროვნულ ჩემპიონატში კიდევ ერთი სამსაჯო სკანდალი აგორდა – ამჯერად გამორჩეული ყურადღება დავით ხარიტონაშვილმა „დაიმსახურა“, რომელსაც, მიუხედავად იმისა, რომ ფიფას რამდენიმე არბიტრი გვყავს, თბილისის „დინამოსა“ და ბოლნისის „სიონის“ პრინციპული დუელის გაძღოლა დაეკისრა.**



მასპინძელთა კარში არჩათვლილი გოლი, დაუნიშნავი პენალტი და უკანასკნელ წუთზე იაშვილის ხელით თამაშზე თვალის დახუჭვა, რასაც გადამწყვეტი თერთმეტმეტრიანის დანიშვნა მოჰყვა – აი, ის ეპიზოდები, რამაც ქვემოქართლელებს შეხვედრის შედეგის (1:0ძ გაპროტესტება აფიქრებინათ. რამდენად საფუძვლიანია მათი პრეტენზიები, სფფ-ს შესაბამისი კომიტეტი დაადგენს, თუმცა მთავარი ამთავითვე ნათელია – გათამაშების დებულება არ ითვალისწინებს დასახელებული მიზეზების გამო მატჩის შედეგის გადახედვას, ასე რომ, მომჩივანთ მხოლოდ „შაოსნის“ ერთი ან რამდენიმე თამაშიანი დისკვალიფიკაციის იმედი შეიძლება ჰქონდეთ.

**XVIII ტურის დანარჩენი შეხვედრები ასე დასრულდა:** „ბორჯომი“ – „ამერი“ 1:0, „ვიტ ჯორჯია“ – „ლოკომოტივი“ 3:0, „ჩიხურა“ – „ზესტაფონი“ 0:0, „დილა“ – „ტორპედო“ 1:0, „ბათუმი“ – „კახეთი“ 3:2, „ოლიმპი“ – „მერანი“ 1:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** ოლიმპი“ – 45, „დინამო“ – 42, „ზესტაფონი“ – 39, „ამერი“, „ვიტ ჯორჯია“ – 37-37 ქულა.

**ბომბარდირი:** ფიფია („ზესტაფონი“ძ – 11 გოლი.

**7 აპრილს ითამაშებენ:** „ოლიმპი“ – „ბორჯომი“, „მერანი“ – „ვიტ ჯორჯია“, „ლოკომოტივი“ – „ჩიხურა“, „ზესტაფონი“ – „ბათუმი“, „კახეთი“ – „დინამო“, „სიონი“ – „დილა“, „ტორპედო“ – „ამერი“.

* * *

**იტალია. XXX ტური.** „ინტერი“ – „პარმა“ 2:0, „რომა“ – „მილანი“ 1:1, „უდინეზე“ – „ლაციო“ 2:4.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ინტერი“ – 79, „რომა“ – 59, „ლაციო“ – 51 ქულა.

**ესპანეთი. XXVIII ტური.** „ბარსელონა“ – „დეპორტივო“ 2:1, „ოსასუნა“ – „სევილია“ 0:0, „სელტა“ – „რეალი“ 1:2.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ბარსელონა“ – 56, „სევილია“ – 54, „რეალი“ – 51 ქულა.

**ინგლისი. XXXI ტური.** „მანჩესტერი“ – „ბლექბერნი“ 4:1, „უოტფორდი“ – „ჩელსი“ 0:1, „ლივერპული“ – „არსენალი“ 4:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** „მანჩესტერი“ – „78, „ჩელსი“ – 72, „ლივერპული“ – 57 ქულა.

**გერმანია. XXVII ტური.** „ბაიერნი“ – „შალკე“ 2:0, „კოტბუსი“ – „ვერდერი“ 0:0, „შტუტგარტი“ – „ალემანია“ 3:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** „შალკე“ – 53, „ვერდერი“ – 51, „შტუტგარტი“ – 49 ქულა.

**II ბუნდესლიგა.** „ბრაუნშვაიგი“ – „ფრაიბურგი“ 0:2 (მეორე გოლი პენალტით **ალექსანდრე იაშვილმა** გაიტანაძ. ამ გამარჯვების შემდეგ ფოლკერ ფინკეს გუნდს პირველ ბუნდესლიგაში დაბრუნების რეალური შანსი გაუჩნდა.

**ჰოლანდია. XXX ტური.** „ბრედა“ – „ეინდჰოვენი“ 1:1, „აიაქსი“ – „ჰერაკლესი“ 3:0, „ალკმაარი“ – „ვაალვიკი“ 2:0 (ანგარიში **შოთა არველაძემ** გახსნაძ.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ეინდჰოვენი“ – 69, „აიაქსი“ – 65, „ალკმაარი“ – 63 ქულა.

**ელდარ მალხაზიშვილის ფოტო.**



# სპორტი



● წლეულს თებერვლის მიწურულს ბორდენთაუნში (აშშ მსოფლიო თასის გათამაშებაზე უნივერსიტეტელებმა შვიდი პირველი ადგილი დაიკავეს. წარმატების ერთ-ერთი სულისჩამდგმელი აქაც ზურაბ ჭავჭანიძე გახლდათ

**◎ კალათბურთი**

## ბოლო წამის ფასი



**ერთი ტური და დასრულდება ვაჟთა XVI ეროვნული ჩემპიონატის IV წრე, თუმცა პასუხი კითხვაზე — რომელი გუნდი გახდება ბოლო ნახევარფინალისტი — კვლავაც გაურკვეველია.**

მდგომარეობა მას შემდეგ დაიძაბა, რაც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებმა მძაფრ ბრძოლაში თბილისის „დინამოს" სძლიეს — 85:83 და „პლეიოფში" გასვლის შანსი შეინარჩუნეს. გადამწყვეტი ბურთი ძირითადი დროის უკანასკნელ წამზე მაისურაძემ ჩააგდო.

არანაკლებ საინტერესოდ დაიწყო თსუ-ს და „მაკაბის" შეხვედრა — 41:41. პირველი ნახევრის შემდეგ, თუმცა, აქედან მოყოლებული, სუპერლიგის ერთ-ერთი ფავორიტი აბობოქრდა და სოლიდურ უპირატესობასაც მიაღწია — 107:74. დამარცხებულთა ლიდერი გიორგი შერმადინი (39 ქულა) იმავე საღამოს მემფისში გაფრინდა, სადაც 7 აპრილს მონაწილეობას მიიღებს აშშ-ს და მსოფლიოს ახალგაზრდულ ნაკრებთა საჩვენებელ თამაშში.

რაც შეეხება მეტალურგთა ქალაქში გამართულ პრინციპულ მეტოქეთა მატჩს, „აზოტმა" უპრობლემოდ მოუგო „ავიამშენს" — 97:82.

**სატურნირო მდგომარეობა:** „აზოტი" — 18, „ავიამშენი" — 14, თსუ — 13, „დინამო" — 5, სტუ — 4, „მაკაბი" — 3 მოგება.

**რეგულარული სეზონის დასკვნითი, V წრის სტარტზე 14 აპრილს ითამაშებენ:** სტუ — „აზოტი", „მაკაბი" — „დინამო", თსუ — „ავიამშენი".

**◎ ველოსპორტი**

## ...და ისევ ენთუზიაზმით



**საქართველოს ველოსპორტსმენები საკუთარი სახსრებით გაემგზავრნენ საგზატკეცილო რბოლაში სომხეთის ღია პირველობაზე, რომელიც ერევანში გაიმართა.** იმის მიუხედავად, რომ მასპინძლები ჩვენებს პირობებითა და ინვენტარითაც ჯობდნენ, ქართველმა სპორტსმენებმა ტოლი არაფერში დაუდეს მათ. უფროსებში წარმატებას მიაღწია გიორგი ნადირაძემ — მან 25 კილომეტრზე ინდივიდუალური და 75 კილომეტრზე წრიული რბოლები მოიგო, 90-კილომეტრიან ჯგუფურ რბოლაში კი მესამე ადგილი დაიკავა. სამაგიეროდ, ამ დისტანციაზე არჩილ მახარაშვილმა გაიმარჯვა. მასვე ინდივიდუალურ რბოლაში „ბრინჯაო" ხვდა.

ახალგაზრდებში თავი ისახელა ნოდარ ყვავაძემ, რომელმაც წრიულ რბოლაში ყველას აჯობა.

ჭაბუკებში მესამე ადგილებზე დავით ასკურავა (62-კილომეტრიანი ჯგუფური რბოლა) და ამირან სვანიძე (15-კილომეტრიანი ინდივიდუალური რბოლა) გავიდნენ. ეს შეჯიბრება მათთვის მოსამზადებელი ეტაპიც იყო შავი ზღვის თამაშების, ირანის საერთაშორისო ტურნირისა და ოლიმპიური კვირეულის (ბელგრადი) წინ.

**◎ კრივი**

## უხვი ნადავლით დაბრუნდნენ

**თამამად შეიძლება ითქვას — ქართველ მოკრივეებს მნიშვნელოვან საერთაშორისო ტურნირებზე ასეთი ნადავლი არასდროს მოუხვეჭიათ. ბაქოში დამთავრებულ საერთაშორისო ტურნირზე ერთი ოქროს, ორი ვერცხლისა და ხუთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს საერთო გუნდურ მესამე ადგილთან ერთად.**



კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა კობა ფხაკაძე (57), რომელმაც ყველა მეტოქე დაამარცხა. მხოლოდ ფინალური ორთაბრძოლები დათმეს ზვიად ხადურმა (48) და ბექა ლობჟანიძემ (+91), რომლებიც ვერცხლის მედლებს დასჯერდნენ. მესამე ადგილებზე ვასილ ყაზიშვილი (60), ლევან ღვამიჩავა (64), კახა ჟვანია (69), გიორგი ნაკანი (75) და დავით წიკლაური (81) გავიდნენ.

როგორც ვხედავთ, ნაკრების მთავარი მწვრთნელის ავთანდილ შოშიაშვილის სადებიუტო ტურნირი ფეხბედნიერი გამოდგა. ღმერთმა ქნას, ჩვენმა მოკრივეებმა ამგვარი წარმატებებით იარონ. წლეულს ხომ სალიცენზიო სეზონია და გამარჯვებები ახლა მეტად გვჭირდება.

**ლექსო ცინცაძე**

**◎ რაგბი**

## წაგებით დაიწყეს



**საფრანგეთში 18 წლის მორაგბეთა ევროპის პირველობის სასტარტო შეხვედრა საქართველოს ნაკრებმა ირლანდიასთან 0:27 წააგო. უმაღლეს ეშელონში ადგილის შესანარჩუნებლად ჩვენები ხვალ დაუპირისპირდებიან პორტუგალიელებს, რომლებმაც ასევე პირველი ორთაბრძოლა ინგლისელებთან 0:79 დათმეს.**

დანარჩენ ორ მატჩში ფრანგებმა რუმინელებს მოუგეს 84:6, იტალიელებმა კი რუსები დაამარცხეს — 27:9. ჩემპიონობისთვის ნახევარფინალში პაექრობას განაგრძობენ ინგლისი — ირლანდია და საფრანგეთი — იტალია.

მეხუთე ადგილისთვის საქართველო — პორტუგალია და რუმინეთი — რუსეთი დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

* * *

**ხვალვე ბელფასტში დაიწყება 19 წლის მორაგბეთა მსოფლიო პირველობა. ახალგაზრდა ბორჯღალოსნების მეტოქეა რუმინეთის ნაკრები. ჩვენები ამ შეჯიბრებისთვის ერთი კვირაა, ტურნირის მასპინძლებთან ემზადებიან და ამხანაგური შეხვედრაც კი გამართეს იქაურ „ლისბურნთან", რომელიც 40:7 მოიგეს.**

**◎ ძიუდო**

## იაპონელსაც აჯობა

**იტალიის ქალაქ სიენაში გასულ უქმეებზე ახალგაზრდა ძიუდოისტ ქალთა საერთაშორისო ტურნირი გაიმართა, რომელშიც საქართველოს წარგზავნილებიც მონაწილეობდნენ.** ყველაზე უკეთ დუსკა ქერიმოვამ (57) იასპარეზა. მან ზედიზედ დაამარცხა ორი იტალიელი და ერთი ბრიტანელი მეტოქე, ფინალში იაპონელ იროკო ნომურას სძლია ვაზარით და ოქროს მედალი მოიპოვა, რომელიც პირველი დიდი ჯილდოა მნიშვნელოვან საერთაშორისო შეჯიბრებაზე.



დუსკა ქერიმოვა

გოდერძი ველიჯანაშვილის ხელმძღვანელობით საქართველოს ქალთა ნაკრები (48 — ნაია ვეშაგური, 52 — მაია ტარუაშვილი, 57 — დუსკა ქარუმოვა, 63 — ანა ძაძამია, მძიმე წონა — ირინა ლეონიძე) 7-8 აპრილს ბელგრადში ევროპის ჩემპიონატზე გამოვა.

**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.**

**◎ ათლეტიზმი**

## გული მაინც დარბაზისკენ მიუწევს

**გულშემატკივრები და „საქართველოს რესპუბლიკის" მკითხველები კარგად იცნობენ ძალისმიერ სამჭიდში ვეტერანთა შორის სამგზის მსოფლიო ჩემპიონსა და რეკორდსმენს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს პროფესორ ზურაბ ჭავჭანიძეს, რომელიც წლების განმავლობაში ათლეტიზმის სპეციალურ რუბრიკას უძღვებოდა ჩვენს გაზეთში.**

ბატონი ზურაბის ხელმძღვანელობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძალისმიერმა სამჭიდელებმა არაერთ შეჯიბრებაში ისახელეს თავი. ამ უმაღლესი სასწავლებლის რექტორის პროფესორ გიორგი ხუბუას თანადგომითა და დახმარებით აქაურმა ათლეტებმა 2006 წლის ევროპის ჩემპიონატიდან ორი ბრინჯაოს, მსოფლიო ჩემპიონატიდან კი ოთხი ოქროს და ერთი ვერცხლის მედალი ჩამოიტანეს. წლეულს თებერვლის მიწურულს ბორდენთაუნში (აშშ) მსოფლიო თასის გათამაშებაზე უნივერსიტეტელებმა შვიდი პირველი ადგილი დაიკავეს. წარმატების ერთ-ერთი სულისჩამდგმელი აქაც ზურაბ ჭავჭანიძე გახლდათ.

შარშან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელებული რეორგანიზაციის შემდეგ თსუ-ს სპორტული ცენტრის თანამშრომელთა უმეტესობა, მათ შორის ზურაბ ჭავჭანიძეც, სამსახურიდან დაითხოვეს, თუმცა მაღალკვალიფიციურ სპეციალისტს უმუშევრად ვინ დატოვებდა — რუსთავში, ქვემო ქართლის აკრედიტებულ ინსტიტუტ „რვალში" რექტორის მოადგილეობა შესთავაზეს.



— უმაღლესი სასწავლებლის რექტორმა გულიკო ციცხვაიამ და ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ნუგზარ ჩერქეზიშვილმა სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობისთვის შესანიშნავი პირობები შემიქმნეს, — მითხრა ბატონმა ზურაბმა. — ამ ოთხი თვის განმავლობაში, რაც „რვალში" ვარ, არაერთხელ მომაკითხეს ჩემმა შეგირდებმა — ათლეტიზმის კლუბის წევრებმა. მათი თხოვნით თბილისის უნივერსიტეტში ახლადშექმნილი სპორტისა და კულტურის ცენტრის უფროსის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში ვიღებ მონაწილეობას. იმედია, ნაწყენი არავინ დარჩება, რომ მშობლიური უნივერსიტეტისკენ გამიწია გულმა და სპორტის სიყვარულმა კვლავ დარბაზისკენ მიმახედა. უმწვრთნელოდ დარჩენილ ათლეტიზმის კლუბის წევრებს გაუჭირდებათ საერთაშორისო რეიტინგის შენარჩუნება. არადა, მათ ახალ-ახალი მწვერვალების დალაშქვრა აქვთ გამიზნული და ჩემი თანადგომა სჭირდებათ.

**ვაჟა დანელია**

**სურათზე: მრავალგზის მსოფლიო ჩემპიონები და რეკორდსმენები — გერონტი ჯმუხაძე (მარცხნიდან პირველი) და გენ რიჩლაკი ზურაბ ჭავჭანიძესთან ერთად.**

**◎ ორბიტაზე**

### აბა, ვინ მოიპოვებს?

**პეკინში გაიმართა 2008 წლის ოლიმპიური თამაშების პრიზიორ-გამარჯვებულთათვის დაწესებული მედლების პრეზენტაცია.** მედლების წინა მხარეს ამოტვიფრულია გამარჯვების ქალღმერთი ნიკე ხუთი ოლიმპიური რგოლით დამშვენებული ტრიბუნების ფონზე. უკანა მხარეს გამოსახულია მორბენალი, რომლის სახის ნაკვთები ერთიანდება წარწერით „ცზიან" — „დედაქალაქი". მედალს მიმაგრებული აქვს წითელი მუარის ლენტი, ტრადიციული ჩინური გამოსახულებებით რომაა დამშვენებული.



### ფელპსის „ოქროს" მსოფლიო რეკორდი

**ჩვენი გაზეთის წინა ნომერში ვწერდით, რომ მელბურნში, საწყლოსნო სპორტის სახეობებში მსოფლიო ჩემპიონატზე ამერიკელმა მოცურავემ მაიკლ ფელპსმა ოთხი ოქროს მედალი მოიპოვა და სამი მსოფლიო რეკორდი დაამყარაო.**

ახლა კი უფრო უნდა გაგახაროთ და გაცნობოთ, რომ მაიკლმა მწვანე კონტინენტის წყლის ბილიკებზე 7 „ოქრო" მოიპოვა და 5 მსოფლიო რეკორდი დაამყარა. ჩემპიონატის ბოლო დღეს ამერიკელმა მოცურავემ მეხუთე მსოფლიო რეკორდი დაამყარა 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში — 4 წუთი და 06,33 წამი და მე-7 ოქროს მედალიც დაისაკუთრა, რაც თავისებური მსოფლიო რეკორდია.

„ოქროს" მფლობელები გახდნენ: აგრეთვე ქალთა შორის 50 მეტრზე თავისუფალი სტილით მოცურავე ავსტრალიელი ლიზი ლენტონი, ბრასით კი ამერიკელი ჯესიკა ჰარდი, 400 მეტრზე კომპ-



ლექსურ ცურვაში მსოფლიო რეკორდი დაამყარა კეიტი ჰოფიმ (აშშ).

### როცა წაგებული იმარჯვებს

**ვინც თვალს ადევნებდა მაიამიში ჩოგბურთელ ქალთა ტურნირის ფინალს, ძნელად წარმოიდგენდა, რომ პირველ სეტში ბელგიელ ჟუსტენ ანენთან სამარცხვინო დამარცხების — 0:6 შემდეგ ამერიკელი სერენა უილიამსი ისე „გამოცოცხლდებოდა", რომ მეორე, თითქმის განწირულ სეტსაც მოიგებდა და პარტიასაც.**

შეგახსენებთ, რომ ტურნირის საპრიზო ფონდი 3 მილიონ 450 ათასი დოლარი იყო. ეს 25 წლის ამერიკელი ჩოგბურთელის 28-ე გამარჯვებაა.

ვაჟთა ფინალში კი გამარჯვება სერბიელმა ნოვაკ ჯოკოვიჩმა მოიპოვა, რომელმაც არგენტინელი გილერმო კანიასი დაამარცხა.

№ 59. სამშაბათი, 3 აპრილი, 2007 წელი.

# წარსულის ფურცლები

● მთის ნიავის შემოქმედებითი ცხოვრება, მეომრული ღვაწლი და სიკვდილი ერთი დიდი კანდელია საქართველოს სულიერი ცხოვრების ტაძრის საკურთხეველზე რომ დაანთო ოცი წლის ჭაბუკმა



◎ პოეტის დაბრუნება

# საქართველოსთვის ზვარაკად შეწირული

## პოეტი გრიგოლ მეგრელიშვილი – მთის ნიავი

**მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიის ავყამიანობამ ბევრ ღირსეულ მამულიშვილს დიდი ცხოვრების გარიჟრაჟზე ჩაუქრო სულის ლამპარი. ერთი მათგანი იყო პოეტი გრიგოლ მეგრელიშვილი, რომლის ლექსები, მთის ნიავის ფსევდონიმით, ქვეყნდებოდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში 1914-1919 წლებში. ამის შესახებ, ასე ვთქვათ, შესავლის სახით „სრ“ 28 მარტის ნომერში დაიბეჭდა დურმიშხან ცინცაძის წერილი „მთის ნიავის“ განსასვენებელი მიკვლეულია“. ვაგრძელებთ თემას.**

იგი დაიბადა 1898 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფელ შუა ფარცხმაში. პოეტის მამა გერასიმე მეგრელიშვილი პატივდებული, ჩოხატაურისა და საჯავახოს თემ-სოფელში „მართალკაცობით“ გამორჩეული პიროვნება იყო. ხოლო დედა პისტი ყენია, საჭამიასერელი ტახტის აზნაურის ბიჭია ყენიას ქალიშვილი გახლდათ. იგი ღვიძლი და იყო ბებიაჩემისა – ანასტასიასი. ასე რომ, დედაჩემი ვერა ხაბეიშვილი და გრიგოლ მეგრელიშვილი დეიდაშვილები იყვნენ.

ცხრა თუ ათი წლის ვაჟი გერასიმე მეგრელიშვილს ქუთაისის გიმნაზიაში მიუბარებიათ. ფარცხმიდან ქუთაისში დეიდასა და დეიდაშვილებს მოინახულებდა, ხოლო მერე, როცა დედაჩემიც ქუთაისში მიაბარეს სკოლაში, პატრონობდა დეიდაშვილს. ასე რომ, გრიგოლ მეგრელიშვილის სახელი და აჩრდილი ბავშვობიდან მომყვებოდა, თანდათან ეძსოვებოდა ჩემს ცნობიერებას იმ საუბრებიდან, რომელსაც საჯავახოში (ორპირიდან იქ გადმოსახლდნენ ჩემიანებიძ შევსწრებივარ, როცა დეიდასა და დეიდაშვილს ესტუმრებოდა პოეტის და ოლია (იგივე ოლღაძ.

1914 წელს გრიგოლ მეგრელიშვილი თბილისის პირველი სათავადაზნაურო გიმნაზიის მეხუთე კლასში გადავიდა. ამ წლიდან იბეჭდება მისი ნაწარმოებები. თბილისის გიმნაზიაში გრიგოლ მეგრელიშვილის თანაკლასელები იყვნენ გიორგი ლეონიძე და ნიკო კეცხოველი. ახლო მეგობრობა აკავშირებდა დემნა შენგელაიასა და შიო მღვიმელთან, სიკო ფაშალიშვილთან, შალვა აარმელთან, ალექსანდრე ქუთათელთან, გრიგოლ ცეცხლაძესთან და დავით მეზუკესთან. 1917 წელს გიმნაზია დაუმთავრებია, 1918 წელს უკვე ახალგახსნილი თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტია.

ზუსტად ერთი წლის შემდეგ, სწორედ 30 იანვარს 1919 წლისა, გრიგოლ მეგრელიშვილმა „მტრის ტყვიას მიუშვირა და გაახვრეტინა ის ლამაზი, ცეცხლით ანთებული გული“ (პოეტის დაღუპვასთან დაკავშირებით მწერალ სიკო ფაშალიშვილის მიერ გამოქვეყნებული წერილიდანძ.

მთის ნიავის შემოქმედებითი ცხოვრება, მეომრული ღვაწლი და სიკვდილი ერთი დიდი კანდელია საქართველოს სულიერი ცხოვრების ტაძრის საკურთხეველზე რომ დაანთო ოცი წლის ჭაბუკმა. აი, რას წერდა პოეტის ქუთაისელი მეგობარი ნიკო ასათიანი მთის ნიავის დაღუპვასთან დაკავშირებით: „მახსოვს ორი კვირის წინათ გრიშა თბილისს რომ გაემგზავრა ლეგიონში ჩასაწერად, – სამშობლოს მსხვერპლად უნდა შევეწიროო, მითხრა გრიშამ გამომშვიდობებისას. გიმნაზიის მერხს მოშორდა თუ არა, სტუდენტი გრიშა ჯარში ჩაეწერა. იგი ყველა ფრონტზე გმირულად იბრძოდა. მისი გულმკერდი დამშვენებული იყო გიორგის ჯვრებით (!ძ. იგი აჩქარებული მებრძოლი იყო და სწყუროდა თავისი სისხლი ყველა ფრონტზე დაეღვარა“.

მეორე მეგობარი იგონებდა, რომ „ბათუმის, ტუაფსეს, საჩხერის ომების შემდეგ, რომლებშიც ნაციონალისტი გრიშა მეგრელიშვილი ღირსეულ მონაწილეობას ღებულობდა, უკანასკნელი ახალციხის ფრონტებზედაც პირველი მოთხოვნისთანავე წავიდა“ (ამონარიდი ლ. კიკაბიძის წერილიდანძ.

იმ სამგლოვიარო დღეებში შალვა კარმელი ასე აცოცხლებდა მეგობარი მგოსნის დაღუპვის სურათს: „...მეოთხე საბედისწერო ტყვიაც და ტკივილგაყრუებული უშიშარი ჯაზაირჩი, ძალით, სიკვდილის მუქარით გამოიტაცეს მეგობრებმა ცეცხლის დელგმიდან. დაეცა სათაყვანო მესხეთის თოვლიან ხავერდზე. იმ თოვლის ეტრატზე დაეყინა დასისხლული სახელი გრიშა მეგრელიშვილისა“. ხოლო შალვა ბუაჩელი იტყვის: „მასში გაიღვიძა ძველმა რაინდულმა საქართველომ, მისმა ცეცხლოვანმა ბრძოლის გენიამ წარსული და დღევანდელი საქართველო შეაერთა“. „ხომ დაიცალე, ბიჭო, სისხლიდან ძველი მესხეთის გამოსახსნელად“, – ეხმიანებოდა „თანაშეზრდილი ძმის“ აჩრდილს მისსავე საფლავთან მდგარი გიორგი ლეონიძე 1959 წელს.

30 იავარს ქვაბლოვანის მიდამოებში ასკერთა ოთხი ტყვიით დაცხრილული გრიგოლ მეგრელიშვილი საშველად ბორჯომში ჩამოიყვანეს. ვერ უშველეს. „ცხელ აგონიის საბედისწერო შენელებისას გმირი მგოსნის უკანასკნელი სიტყვები იყო: „ჩემ სოფელში, ჩოხატაურში წამასვენეთო“. (შალვა კარმელის მოგონებიდანძ. 31 იანვარს სული დალია. მეორე დღეს ფარცხმიდან ბორჯომს ჩავიდნენ პოეტის მამა გერასიმე და და ოლღა. ცხედარი მატარებლით საჯავახოში, ხოლო იქიდან ფარცხმას მიასვენეს. შუა ფარცხმის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ცაცხვებით გადაჩრდილულ ეზოში, საგვარეულო სამარხთა შორის, გაუჭრეს განსასვენებელი.

თანამედროვეთა მოგონებებიდან ჩანს, რომ მთის ნიავის მამულიშვილური პათოსი არ იყო იმპულსური. მას აფიქრებდა, სათანადოდ მოუვლიდა თუ არა ძლივს აღორძინებულ სახელმწიფოებრივ თვითმყოფობას მარქსისტული იდეებით ნაკვები ხელისუფლება. ჩვენი აზრით, ამგვარი ეჭვის სამსალა ჟონავს იმ სტრიქონებში მთის ნიავისა, რომელიც 1918 წელსაა დაწერილი და გიორგი ლეონიძეს შემოუნახავს:

**„ჩვენ ჩვენის ხელით**
**დავიჭირით ყელებს,**
**თუ ჩვენთვის დღესაც**
**აღარ გათენდა“.**

აკი არც გათენდა!.. რევოლუციის ნარ-ეკალზე ეკლები ამოვიდა. ურწმუნოებისა და უსულოების ავყამიანობა დავიწყების ფარდად ჩამოეშვა გმირი პოეტის სახელსა და საფლავს.

როგორც ჩანს, მთის ნიავის მღვიძარე სული ტკივილიან ანგელოზად თან ახლდა მის სიყრმის მეგობარს, დიდ პოეტს გიორგი ლეონიძეს. 1959 წლის ზაფხულის მიწურულს იგი ჩოხატაურს ავიდა. აღმოჩნდა, რომ ორმოცი წლის წინათ დაღუპული პოეტის შესახებ იქ არაფერი იცოდნენ. შუა ფარცხმის გვიმრით დაბურულ სასაფლაოზე კითხვა-კითხვით მიუგნიათ ჭაბუკი პოეტის განსასვენებლისთვის, გაუწმენდიათ, მესერიც შემოუვლიათ. იმავე წლის 26 ოქტომბერს გიორგი ლეონიძის თავკაობით ფარცხმას ესტუმრა ქართველ მწერალთა ჯგუფი და გრიგოლ მეგრელიშვილის საფლავთან გამართა ლიტერატურული დილა.

ნ. კეცხოველისა და გ. ლეონიძის გარჯით მთის ნიავის წიგნმა დღის სინათლე იხილა 1973 წ. ეს არის თხზულებათა პატარა კრებული (80 გვ.ძ – „შუქურვარსკვლავი“.

ჯერ კიდევ ამ ოცი წლის წინათ ვთხოვე უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის პედაგოგს ზაურ მეძველიას დაინტერესებულიყო მთის ნიავის პოეტური მემკვიდრეობის ჯერ კიდევ მიუკვლეველი ნიმუშების გამოსავლენად. მან თავისი გარჯის ნაყოფი გადმომცა 2005 წლის ოქტომბერში. აქ არის გასული საუკუნის ათიანი წლების ჟურნალ-გაზეთებში მიმოფანტული თხზულებანი მთის ნიავისა: 16 ლექსი; 10 წერილი მთის ნიავის შესახებ პოეტის თანამედროვე მწერალთა მიერ დაწერილი; თარგმანი ედგარ პოს „ყორანისა“; ბიოგრაფიული ნარკვევი გრიგოლ მეგრელიშვილის შესახებ. ორიოდე თვის შემდეგ ზაურ მეძველია, ნიჭიერი მკვლევარი და სანატრელად გულმართალი კაცი, გარდაიცვალა.

ასე რომ, 1959 და 1973 წლებში და ამ სამზეოში დარჩენილმა მეგობრებმა მთის ნიავისა დავიწყებას გამოსტაცეს პოეტის სახელი და სახე. ვაი, რომ მცირე ხნით. 1998 წელს 100 წელი გახდა გრიგოლ მეგრელიშვილის დაბადებიდან. ეს თარიღი არავის გახსენებია. ზაურ მეძველია წერდა ამ ორი წლის წინათ მთის ნიავის შესახებ: „დიდად გამაოგნებელია უზადო ჭაბუკური სამყარო – ჭეშმარიტად! ცოდო იყო მისი ნაადრევი სიკვდილი. უფრო ცოდვაა მის მიმართ ყველაფრის წამლეკავი დუმილი“. უკვე აღარ ველოდები, რომ 2008 წელს აღინიშნება მთის ნიავის დაბადების 110 წლისთავი. დღეს ხომ ისეთი ამინდი დგას ჩვენს ქვეყანაში, რომ მოგონებისათვის, პოეზიისათვის არავის სცალია. წარსულისთვის კი არა, აწმყოსათვის არა გვცალია, ისე გამალებული ვაშენებთ ბრწყინვალე მომავალს.

ვფიქრობთ, გრიგოლ მეგრელიშვილი უნდა ახსოვდეს საქართველოს, ვითარცა პოეტი და ვითარცა ეროვნული გმირი. შემოქმედება იყო მთელი მისი შეგნებული ცხოვრება, შემოქმედებად გადააქცია მან თავისი სიკვდილი.

ვაპირებთ, დავარღვიოთ „ყველაფრის წამლეკავი დუმილი“, წიგნად გამოვცეთ მთის ნიავის მთელი პოეტური მემკვიდრეობა, თანამედროვეთა მოგონებები, გამოკვლევა (ჩვენი ნარკვევი პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ იბეჭდება ჟურნალ „მნათობში“, 2007 წ. №2 მომავალი აღდგომის მეორე დღეს, ორშაბათს, 9 აპრილს, ჩავალ პოეტის მშობლიურ სოფელ შუა ფარცხმაში. პოეტის საფლავს აკურთხებს იქაური მოძღვარი, მამა ბართლომეძ...

გავეცნოთ მთის ნიავის ორ ლექსს.

**გრივერ ფარულავა**

## ნუ იფიქრებ...

ნუ იფიქრებ, რომ მიყვარდე, ჯადოსნურო სარო ტანო,
როცა შენს წინ ლოცვად ვდგები, მინდა გეუმო, გეთაყვანო,
ნუ იფიქრებ, ნუ იფიქრებ, თითქოს შენში ვეტრფი ქალსა,
როცა მინდა დაგემონო მკერდს მშვენიერს, თეთრს, ფიქალსა.
მე ყოველგვარ სილამაზეს სულის ლტოლვით ვეგებები,
მე თვითვე ვქმნი ტანჯვას. მლიერს, ჩემის ტანჯვით ვიკვებები.
ვეტრფი წმინდა სიყვარულით მარწყვის დილას, წითელს, სისხამს,
ვეტრფი ზეცას, როცა იგი ვარსკვლავთ სამოსს წამოისხამს.
მიყვარს, როცა სიოს სუნთქვით ირხევა და თრთის ფურცელი,
მიყვარს ყანა მოღაღანე, ზღვა მღელვარე, საზღვარ ვრცელი.
მიყვარს მთვარე, როცა მისსა მოვერცხლილსა ისარ-კავებს
ათრთოლებულ ტბისა გული, ვეღარ იჭერს, ვერ აკავებს.
მიყვარს ოხვრა, როცა დარდი გულს ჰირ-ბასრსა ეკალს ასობს,
და შაშვისა სევდით სტვენა ფოთოლთ შორის იკარგება...
მიყვარს ბაღი, სად ყვავილნი დააკმევენ გუნდრუკ სურნელს,
წყარო როცა ჩამჩურჩულებს ყოფნის ზღაპარს საამურს, ნელს,
მიყვარს ოხვრა, როცა დარდი გულს ჰირ-ბასრსა ეკალს ასობს,
მიყვარს ღამე საოცნებო, მაშინ ლტოლვა ერთი ასობს...
მიყვარს ტანჯვა-სილამაზე, და თუ შენს წინ ლოცვად ვდგები,
შენ არ გეტრფი როგორც ქალსა, მე სიტურფეს ვემონები!..

1915

## ჩემი მადამი

ნაღველი მიძღვენ მე სამუდამო,
შენ საქორწინოს ატარებ ოქროს
და ღვთაებრივი ქალწულ მადამი
მავალებ მარად იდუმალ ოხვრას.
ლურჯ სიზმარივით აუხდენელი
დასჭკნა ვარდები დანაპირები.
მიხვალ მადლიან სხივთა მფენელი
მტანჯავს ეგ შენი დანაპირება.
შენაც სტიროდი? ცრემლთა ჩანჩქერით
რომ სახე ასე გაქვს შელახული?
ან როს თვალებში ზრუნვით ჩაგცქერი
შიგ რად სჩანს სევდა ჯერ არ ნახული?
ან რისთვის გითრთის მვირფასი ხელი
ან რად მიცქერი ასე გედურებ?!
იქნებ გამწუხრებს მმიმე ნაღველი
ან იქნებ ფიქრობ, გისაყვედურებ?
სუ, მშვენიერო, ტურფა რჩეულო,
კმარა, ბავშვობას თავი ანებე;
ვარ უბედობას მე დაჩვეული,
უმვირფასესო, ნუ გენებები.
მსურს კვლავ ვისმენდე შენს ხმას, ჰანგებ-ნაზს,
შევსცქერდე თრთოლვით მკერდის დაბუთებს
და ოდეს ფიქრი დაგვიწყებს მებნას
ვნატრობდე მარად ამ წითელ წუთებს.
ისე კი, აბა, რად გებრალები?
ჰგავს სული ჩემი მამაც მეზღვაურს;
ბედის დაცინვას არ ვემალები,
თვითვე დავსცინი ჩემს ხვედრს უცნაურს.
არის მხოლოდ „მე“ და მის გარშემო
მრავალთა „მეთა“ სცეკვავს ლანდები.
სხვანაირია, ნაზო, გზა ჩემი
სულს ვერვინ ეტყვის „კმარა მანდ ები“
თავისუფალი და უუფლებო
ჩემთვის ლამპარიც ნუ აენთება.
სულში მიბრწყინავს მვირფასი თვლები
და ელვარებით თვით ითენთება.
მაშ, ვისაუბროთ სიამე-შვებით,
ვით ორმა, სწორმა, განმზე ფარულზე,
მაგრამ თუ მაინც დრო გამოშვებით
ასევდიანე ჩვენს სიყვარულზე,
ან მოგენატროს ის ხმები ნაზი
ვარდმა რომ უთხრა ერთხელ ზეფირებს,
იცოდე, რომ მას ამ ქვეყანაზე
ეხლა არავინ არ იზეპირებს.
მიუწვდომელო და საქორწინო,
შენ თითს გიმშვენებს ბეჭედი ოქროს;
მაგრამ გაშინებს გზაჯვარედინი
და გრიგალივით ეჭვი ბობოქრობს.
მართალიც არის, მნელია, ბედი
თავისუფალმა ასე სხვას ანდოს;
უფრო მნელია, მოკვდეს იმედი,
მესაფლავესაც დააგვიანდეს;
მაგრამ გიჟ ჟამთა ცვალებადობამ
იცის ხალისის კვლავ განახლება.
ბედნიერება და უბედობა
ლექსებში მწყობრად დაესახლება,
იქნები მარად ჩემი მადამი,
გული ოცნებას კვლავ შეგიყვარებს
და დავიტირებ როგორც ადამი
მე დაკარგული სამოთხის კარებს.

1918.



## ხსოვნა

### ლამარა გიგინეიშვილი-გუდავაძე



გარდაიცვალა რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი-გინეკოლოგი, ქალბატონი ლამარა გიგინეიშვილი-გუდავაძე.

ორმოცდაათი წელი მოახმარა ქალბატონმა ლამარამ ყველაზე საპატიო საქმეს — ახალი სიცოცხლის დაბადებას. მის მადლიერ პაციენტებს არასოდეს დაავიწყდებათ ლამარა ექიმის მშობლიური მზრუნველობა, მისი სითბო და პროფესიონალიზმი. მომავალი დედები განსაკუთრებით ენდობოდნენ ლამარა ექიმს. კოლეგებს კი ყოველთვის ჰქონდათ მისგან პროფესიული რჩევების მიღების იმედი.

ქალბატონი ლამარა ძალიან დააკლდება არა მხოლოდ მის ოჯახს, არამედ ყველა იმ ადამიანს, რომელთაც ერთხელ მაინც ჰქონიათ ამ უსათნოეს ქალბატონთან შეხვედრის ბედნიერება.

მეგობრებისა და თანამშრომლების ჯგუფი

### გიორგი (გოგი) ჯვებენავა



დიდმა მწუხარებამ მოიცვა ინსტიტუტი — მოულოდნელად გარდაიცვალა სს „კ. ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის" II სამეანო განყოფილების ყოფილი ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, მედიკო-სოციალური აკადემიის აკადემიკოსი, ღირსების ორდენის კავალერი, პროფესორი გიორგი გიორგის ძე ჯვებენავა.

როსტოვის სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ გოგი ჯვებენავა მუშაობდა კრასნოდარის სამედიცინო ინსტიტუტის მეანობა-გინეკოლოგიის კათედრაზე. 1968 წლიდან მან დაიწყო მუშაობა კ. ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, ჯერ მეცნიერ-თანამშრომლად, შემდეგ ორსულთა პათოლოგიის და ბოლოს II სამეანო განყოფილების ხელმძღვანელად.

ძირითადი პრობლემა, რომელსაც ბატონმა გოგიმ მიუძღვნა თავისი მეცნიერული კვლევა, იყო ლაზერის სხივის გამოყენება მეანობასა და გინეკოლოგიაში. მან, ერთ-ერთმა პირველმა საქართველოში, დაიწყო ლაზერის სხივის მოქმედების თავისებურებების შესწავლა ფიზიოლოგიურად და პათოლოგიურად მიმდინარე ორსულობის დროს.

1970 წელს მან დაიცვა საკანდიდატო და 1980 წელს — სადოქტორო დისერტაცია. არის 200-ზე მეტი სამეცნიერო შრომის და ოთხი მონოგრაფიის ავტორი. მისი ხელმძღვანელობით მომზადებულია მრავალი საკანდიდატო დისერტაცია. ამავე დროს გოგი ჯვებენავა იყო კარგი პრაქტიკოსი ექიმი, მრავალ დედას და ახალშობილს აჩუქა სიცოცხლე, ბევრი პატარა მოავლინა ამ ქვეყანაზე.

გოგი ჯვებენავა იყო უაღრესად განათლებული, თავისი თაობის ბრწყინვალე წარმომადგენელი, ფართო ინტერესების მქონე პიროვნება, ჭეშმარიტი თბილისელი, კარგი მეგობარი, მოსიყვარულე მამა და მეუღლე.

ბატონი გოგის წასვლამ დიდი გულისტკივილი, დარდი და მწუხარება დაგვიტოვა.

გოგის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი კოლეგების, მეგობრების და მადლიერი პაციენტების გულში.

მსუბუქი იყოს მისთვის საქართველოს მიწა.

საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და
პერინატოლოგთა ასოციაცია,
სს „აკ. კ. ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და
მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი".

---

შვილები ზურა, რუსუდან გუდავაძეები, და ლიანა გიგინეიშვილი, შვილიშვილები მარიამ, ნინო მგელაძეები, სიძე მერაბ მგელაძე, რძლები თათა გოგავა, ელისო ჩიხლაძე, ძმისწულები გია, ზაზა გიგინეიშვილები, დისწულები ნანა, ალიკა ქაჩიბაიები, მძახლები ზაირა, თამაზ გოგავები, ია ორაგველიძე, მამიდა ანეტა გუდავაძე, მული სილვა გუდავაძე და ახლო ნათესავები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლამარა ვლადიმერის ასული
გიგინეიშვილი-გუდავაძე

პანაშვიდი 3,4 IV, 16 სთ. გამოსვენება 5 IV, 14 სთ. გოთუას ქუჩა №16.

---

სს „თელეთის ნავთობის კომპანიის" თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ზურაბ ზურაბის ძე სახელაშვილი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

დავით და მარინე გურგენიძეები ოჯახით ვუთანაგრძნობთ ზურა გუდავაძეს დედის

ლამარა გიგინეიშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

---

მერაბ და ნანა ბალათურიები ოჯახით ვუთანაგრძნობთ ზურა გუდავაძეს დედის

ლამარა გიგინეიშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

---

## გახსენება-მონატრება

### მიხეილ იმერლიშვილი



2004 წლის თხუთმეტ მარტს თბილისში, ვაკის პარკთან, მრავალსართულიანი სახლის მეცამეტე სართულის ერთ-ერთ ჩვეულებრივ ბინაში მძარცველები შეიჭრნენ (ორი ქალი და ორიც კაცი) და წინააღმდეგობის გაწევისას სასიკვდილოდ დაჭრეს მამა-შვილი მიხეილ და ოთარ იმერლიშვილები. შვილი საბედნიეროდ გადარჩა, ბატონი მიხეილი კი დაიღუპა. აგერ უკვე სამი წელიწადი შესრულდა იმ საშინელი დღიდან, მაგრამ გამოძიებამ კვალს მაინც ვერ მიაგნო. როგორც დამწუხრებულ ოჯახს სამართალდამცველები ეუბნებიან, მკვლელებს დღესაც ეძებენ...

მიხეილ დავითის ძე იმერლიშვილი 1924 წელს დაიბადა. მეორე მსოფლიო ომის დაწყების დღიდან ბოლო დღემდე, ანუ 1945 წლის 9 მაისამდე, ჯარისკაცის ფარაჯა არ გაუხდია. ქართულად, ვაჟკაცურად იბრძოდა ოთხი გრძელი წელიწადი და მამა-პაპანი არ შეურცხვენია.

ომის შემდგომ თბილისის უნივერსიტეტი დაამთავრა, იურისტი გახდა და მთელი ცხოვრება სიმართლისა და სამართლიანობისთვის ბრძოლას მოახმარა.

წარმოშობით მცხეთელმა, მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების დიდი ნაწილი სწორედ მცხეთის რაიონში იმსახურა. იქ დღესაც ახსოვთ ხალხის საქმისთვის მართლაც თავგამოდებული მიხეილ იმერლიშვილი, რომელიც თავისი პრინციპულობით მუდამ იქ იდგა, სადაც მართალ ადამიანს უჭირდა.

თავისი ოთხმოცწლიანი სიცოცხლის მანძილზე ბატონ მიხეილს არც თანამდებობები დაჰკლებია და არც სახელმწიფო ჯილდოები, მაგრამ, როგორც თვითონ იტყოდა ხოლმე, თავის ყველაზე დიდ ჯილდოდ იმ ადამიანების გულწრფელ სიყვარულს მიიჩნევდა, რომელთათვისაც სამართალი ეპოვნინებინა და გაჭირვებაში ხელი გაემართა.

სამი წლის წინათ ვერაგულად მოკლული მიხეილ იმერლიშვილი თავის მშობლიურ ნატახტარში განისვენებს. ამ დიდად ღვაწლმოსილი კაცის საფლავს სიყვარულსა და ყურადღებას არ აკლებს თავისი დიდებული ოჯახი — მეუღლე, ქალბატონი სუზი მირიანაშვილი, შვილები ლია და ოთარი, შვილიშვილები სოფო და გიორგი, რომელთა გულებშიც განაგრძობს ბატონი მიხეილი თავის ლამაზ სიცოცხლეს.

დასანანი მხოლოდ ის არის, რომ მკვლელები დღესაც გარეთ დაპარპაშებენ.

მადლიერი მეგობრები

### მარლენ მეტრეველი



ჩემო საყვარელო ძმაო და მეგობარო, დიდო ტკივილო და დიდო მწუხარებავ, რომ იცოდე როგორ მენატრები.

ღამის სამი საათია. მაგიდასთან ვზივარ და ვფიქრობ შენზე, გადავავლე თვალი ჩვენს წარსულ ცხოვრებას, თვალწინ მიდგას შენი ბავშვობა, სტუდენტობა, შენი ოჯახის შექმნა, დისერტაციის დაცვა, შრომების გამოქვეყნება. ვფიქრობ, რით დავიწყო საუბარი. ხომ ვიცი, როგორ გაინტერესებს შენი საყვარელი ცოლშვილის, მშობლების, დისშვილების ამბავი. ჰოდა, მეც სამ აპრილს მოვალ შენს საფლავთან და იქ გეჩურჩულები, ჩუმად მოგიყვები შენი მოხუცების ამბავს. რომ იცოდე, როგორ მენატრები, თანდათან გაუსაძლისი ხდება უშენობა. განვლილმა წლებმა ვერ შეძლო იმ დიდი ტკივილის და დიდი ჭრილობის მოშუშება, რასაც უშენობა ჰქვია.

მენატრები, ძალიან მენატრები. მენატრება შენი მოფერება, შენი ღიმილი, შენთან ჩახუტება. მენატრება შენი ლამაზი სიცილი, შენი საუბარი.

3 აპრილი შენი დაბადების დღეა — 56 წელი გისრულდება. გილოცავ ამ დღეს, ჩემო დიდო სიყვარულო და დიდო ტკივილო. მოვალთ შენს საფლავთან, დაგინთებთ წმინდა სანთლებს და ვილოცებთ, რომ მარადიულ სასუფეველში გვყავდეს შენი ლამაზი და კეთილი სული.

შენი და ნინო

---

„საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციის თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გაზეთის ყოფილი თანამშრომელი, დამსახურებული ჟურნალისტი, შესანიშნავი მოქალაქე, კოლეგა და მეგობარი

ვლადიმერ მჭედლიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

მეუღლე დავით წილოსანი, შვილები თამარი, ნანა, ნინო, და მერი, მული ნუნუ, სიძეები ვახტანგ დარჩია, მალხაზ თევზაძე, დავით ბერიძე, რომან გოგიტიძე, რძალი მანონი სანაძე, შვილიშვილები სოფიკო, დავით დარჩიები, მარიამ, მერაბ თევზაძეები, ლაშა, საბა ბერიძეები, დისწულები, ძმისწულები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მადლენა გიორგის ასული სანაძე-წილოსანი

პანაშვიდი 3, 4 IV, გამოსვენება 5 IV, 15 სთ. ლანჩხუთში, თავისუფლების ქ. №18.

---

მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის პედაგოგიური კოლექტივი თანაუგრძნობს მხატვარ მერაბ მერაბიშვილს მამის

გიორგი მერაბიშვილის

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს ბიზნესის სფეროთა ინტერესების დაცვის კავშირი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ბატონ ოთარ ბრეგვაძის ძმა

ბიჭი ბრეგვაძე

და გულითად სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახის წევრებს და ყველა ახლობელს.

---

სააქციო საზოგადოება თბილისის №1 „ავეჯის სახლის" თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ბატონ კაკო ბრეგვაძეს გარდაეცვალა მამა

რევაზ (ბიჭიძ აკაკის ძე ბრეგვაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და ახლო ნათესავებს.

---

სააქციო საზოგადოება თბილისის №1 „ავეჯის სახლის" თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ბატონ ოთარ ბრეგვაძეს გარდაეცვალა ძმა

რევაზ (ბიჭიძ აკაკის ძე ბრეგვაძე

და სამძიმარს უცხადებენ მას და განსვენებულის ოჯახს.

---

სააქციო საზოგადოება თბილისის №1 „ავეჯის სახლის" თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ბატონებს ოთარ და აკაკი ბრეგვაძეებს გარდაეცვალათ ძმა და მამა

რევაზ (ბიჭიძ აკაკის ძე ბრეგვაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ოფთალმოლოგიის და ნევროლოგიის ეროვნული ცენტრის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ელისო ბრეგვაძეს

მამის

გარდაცვალების გამო.

---



საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაცია, სს „აკ. ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი" ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის ყოფილი თანამშრომელი, ღვაწლმოსილი ექიმ-ნეონატოლოგი

მერი ერისთავი.

წავიდა ჩვენგან ძველი თაობის ლამაზი ქართველი მანდილოსანი, კარგი ექიმი, ერთგული მეგობარი და კეთილშობილი პიროვნება. ქალბატონი მერის ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი კოლეგების, მეგობრების და ახლობლების გულში.

---

ს. ვირსალაძის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ იზოლდა ვერულავას მეუღლის

სერგო დომენტის ძე
რურუას

გარდაცვალების გამო.

---

მეტალურგიული და სამთო მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა დარგის ღვაწლმოსილი მუშაკი, მთავარი ტექნიკური ინსპექტორი

თამაზ რაზმაძე

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

# ბოლო გვერდი

● წითელი პარასკევი ყველაზე მძიმე დღეა მთელი წლის განმავლობაში, ამ დღეს უფალი აცვეს ჯვარს. დღის 2 საათზე ტაძრებში სრულდება ე.წ „გარდამოხსნის გადმოსვენება“ – იესო ქრისტეს სხეულის ჯვარცმიდან გადმოხსნის რიტუალი. საღამოს იკითხება „თორმეტი ვნების სახარება“, ანუ ყველა ის ადგილი სახარებაში, სადაც აღწერილია უფლის წმინდა ვნება ჯვარზე



## ◉ სულიერება

# გუშინ ვნების კვირეული დაიწყო

**ვნების კვირეული აღინიშნება წმინდა დიდმარხვის ბოლო კვირას, იმის აღსანიშნავად, რომ ამ კვირაში მოხდა ვნება უფლისა.**

ვნების შვიდეულის ორშაბათს, სამშაბათს და ოთხშაბათს ტაძრებში სრულდება წირვები პირველშეწირულთა ძღვენითა, როდესაც სახარება იკითხება თავიდან ბოლომდე.

ეს კვირა მძიმე მარხვაა. დიდ ხუთშაბათს კი ზეთით ხსნილია, რადგან ეკლესიაში სრულდება სადღესასწაულო წირვა: ამ დღეს უფალმა იესო ქრისტემ მოიწვია თორმეტი მოწაფის საიდუმლო სერობა და დააწესა ზიარების საიდუმლო. ამ დღეს სამების საკათედრო ტაძარში სრულდება ფეხთაბანის რიტუალი, კათალიკოს-პატრიარქი იწვევს 12 მღვდელს დაბანს ფეხებს. ამით ხდება გახსენება იმისა თუ როგორ დაბანა მაცხოვარმა ფეხები თავის თორმეტ მოწაფეს (იოანე 13, 4-10ძ. დიდი ხუთშაბათიდან მოყოლებული წმინდა ეფრემ ასურის სინანულის ლოცვა „უფალო და მეუფეო“ აღარ იკითხება.



წითელი პარასკევი ყველაზე მძიმე დღეა მთელი წლის განმავლობაში, ამ დღეს უფალი აცვეს ჯვარს. დღის 2 საათზე ტაძრებში სრულდება ე.წ „გარდამოხსნის გადმოსვენება“ – იესო ქრისტეს სხეულის ჯვარცმიდან გადმოხსნის რიტუალი. საღამოს იკითხება „თორმეტი ვნების სახარება“, ანუ ყველა ის ადგილი სახარებაში, სადაც აღწერილია უფლის წმინდა ვნება ჯვარზე.

ვნების შვიდეულის შაბათს, რომელსაც „დიდი შაბათი“ ჰქვია დილით ადრე სრულდება გარდამოხსნის შემოტარება ეკლესიის გარშემო, რის შემდეგადაც მას შუა ტაძარში დაასვენებენ. ეს რიტუალი მომასწავებელია უფლის წმინდა სხეულის გადმოსვენებისა ჯვარცმის ადგილიდან მისთვის განკუთვნილ საფლავში. სრულდება წირვა. შაბათის შემდეგ ქრისტიანები ემზადებიან ბრწყინვალე აღდგომისთვის.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## ◉ „დრო, დრო აღნიშნე!“

# მეოცე საუკუნის ფოტომატიანეს წარმოგვიდგენს ფოტოჟურნალისტი

# გიგი ვახტანგაძე



სამოცდაათიანი წლები. შეხვედრა კრემლის ყრილობათა სასახლეში. სსრ კავშირის სახალხო არტისტი მიხეილ ჟაროვი გულთბილად ესაუბრება საქართველოს დელეგაციის წევრებს – თენგიზ ღვინიაშვილს, გივი წითლიძეს და იოსებ ხაზარაძეს.

## ◉ ჩვენებურები

# ოლეგ ბასილაშვილი რუსეთის „კუმირია“

**ცნობილი რუსი მსახიობი ოლეგ ბასილაშვილი რუსეთის საქმიანი წრეების პრემიის „კუმირიანეს“ ლაურეატი გახდა. ბასილაშვილმა პრემია „ხელოვნებაში შეტანილი წვლილისათვის“ მიიღო.**

„კუმირიანეს“ დაჯილდოების მეათე ცერემონიალზე, რომელიც მოსკოვში გაიმართა პრემიის „წლის კუმირი“ მფლობელი გასული წლებისაგან განსხვავებით, მხოლოდ სამი ლაურეატი გახდა.

რუსეთის საქმიანი წრეების აღიარება ბასილაშვილის გარდა მარია მირონოვასა და ვლადიმერ ვდოვიჩენკოვს ერგოთ.

„წლის კუმირებს“ აღიარებისა და ლაურეატის დიპლომების გარდა, ფულადი პრემიის სახით 20-დან 30 ათას აშშ დოლარის ჩეკები გადაეცათ.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## ◉ ინფორმაცია

# მთავარი ინჟინერი დააკავეს

**ფინანსური პოლიციის იმერეთის სამხარეო სამმართველოს თანამშრომლებმა გუშინ ოზურგეთის საგზაო სამმართველოს მთავარი ინჟინერი კარლო გოგრინიძე დააკავეს.**

სამართალდამცველთა განცხადებით, მას ბრალად გზების სარეაბილიტაციო თანხებიდან 30 ათასი ლარის მითვისება ედება. გამოძიების ინფორმაციით, აღნიშნული თანხა გოგრინიძემ ყალბი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის დამზადებით მიითვისა.

დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში ეჭვმიტანილს 4 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

**ინტერპრესნიუსი**

## ◉ ლარის კურსი

**3 აპრილიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსი**

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,3503 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,6990 ლარი |
| ევრო | 1 | 2,2677 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0654 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 | 1,9599 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,4850 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,3791 ლარი. |

## ◉ კადრი



## ◉ ანეკდოტები

– ექიმო, შეგიძლიათ ისე გააკეთოთ, რომ ფეხები ყურებიდან მეწყებოდეს? – ეკითხება გოგო პლასტიკური ქირურგიის დიდოსტატს.

მან ყურადღებით შეათვალიერა გოგო და უთხრა:

– პრინციპში შემიძლია. ოღონდ ყურები საჯდომზე უნდა მიგაკეროთ.



* * *

– გასულ კვირას გაზეთში განცხადება გამოვაქვეყნე, ცხოვრების თანამგზავრს ვეძებ-მეთქი, – ეუბნება პეტკა ძმაკაცს.

– მერე?

– უამრავი წერილი მივიღე.

– რას გწერენ?

– ჩემი წაიყვანეო, მთავაზობს ავტორთა უმეტესობა.

* * *

სამშობიარო სახლებში პანიკაა! გაუგიათ, საქართველოში ჩინეთის წელი ტარდებაო.

* * *

პატარა ეშმაკობები: მაცივრის შიდა კედლებზე თუ სარკეებს დავამაგრებთ, საჭმელი ოთხჯერ მეტი გექნებათ.

* * *

– ყოჩაღ, ძმაო, შევამჩნიე, რომ ცოლი სულ თვალებში შემოგციცინებს და გესიყვარულება.

– შემომციცინებს და მესიყვარულება არა, უბრალოდ თვალებში მუდამ იმიტომ შემომყურებს, რათა დარწმუნდეს, სხვა ქალებისკენ ხომ არ გამირბის.


**რეკლამა**

„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“.
მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 93-50-22.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემლები

შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებელი ჟურნალისტები. მისამართი: კოსტავას ქ. № 14. ტ: 899 537616; 98-96-33.

შპს „თანადგომა -1“ ქიზიყის ქ. № 12. ტ: 899 797679; 98-96-32.

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი
მორიგე რედაქტორი ოთარ ტურაბელიძე

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.